დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის
27 მაისი - 2 ივნისი
N23 1541
ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი

# ისევ იქ გათხარა, სადაც არ უნდა გაეთხარა!

**2024 წლის 26 მაისს, კვირას, 10 საათსა და 53 წუთზე, თბილისში, თავისუფლების მოედანზე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე** ქართველი ჯარისკაცების წინაშე სიტყვით გამოსვლისას **სალომე ზურაბიშვილმა,** რომელიც, კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტად და უმაღლეს მთავარსარდლად ითვლება, სიტყვასიტყვით განაცხადა: **„არცერთი ომი არ დაწყებულა ევროპის მიერ, მისი დაარსების დღიდან“.**



**სალომე ზურაბიშვილმა** ეს სიტყვები წარმოთქვა 110 წლის შემდეგ პირველი მსოფლიო ომიდან, რომელიც **1914 წელს** ავსტრიის მიერ სერბეთის დედაქალაქ ბელგრადის დაბომბვით დაიწყო და 85 წლის შემდეგ მეორე მსოფლიო ომიდან, რომელიც **1939 წელს** გერმანიის მიერ პოლონეთზე თავდასხმით გაჩაღდა.

აღარაფერს ვამბობთ ევროპის მიერ წარმოებულ **ჯვაროსნულ ლაშქრობებზე** ან თუნდაც სალომე ზურაბიშვილის სამშობლოს — საფრანგეთის მიერ **ნაპოლეონ ბონაპარტის** დროს წარმართულ ომებზე, **აუსტერლიცის ბრძოლით** დაწყებული და **ვატერლოოთი** დამთავრებული.

**„არცერთი ომი არ დაწყებულა ევროპის მიერ!“** — ასეთი კოსმიური მასშტაბის ტყუილითა და სისულელით **ზურაბიშვილმა ისევ იქ გათხარა, სადაც არ უნდა გაეთხარა** და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისგან არათუ პრეზიდენტი, **სალომურიც** არ გამოვიდა!

***ჯაბა ხუბუა***

# სტუდენტ ნიკოლოზ მანაგაძის მშობლები საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ითხოვენ!



**„ამ ხელისუფლების იმდენად არ მეშინია, რამდენადაც იმ ბანდის, რომელიც ნიკოსა და მის თანატოლებს არის ამოფარებული!“**

**„რამე რომ მოხდეს, ნანუკა ჟორჟოლიანის, ეკა კვესიტაძისა და მათნაირებისათვის, ვინც ამ ბავშვებს აქეზებს, ჩემი შვილის სიცოცხლე იქნება ჩვეულებრივი მასალა, ხოლო ოჯახისათვის — ტრაგედია!“**




# ვენეციის "კომისია ჩაიძირა!

## გოგა ხაინდრავა:

### ელჩმა დანიგანმაც და სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმაც ჩემი ამერიკის ვიზა კარგად დაახვიონ და „ერთ ადგილას“ გაიკეთონ!

**ამერიკის იმპერიას არავითარი მომავალი არა აქვს, ის უკვე დაცემული იმპერიაა, რომელსაც ბაიდენის სახით მოსიარულე დემენცია უდგას სათავეში!**




## მერაბ შათირიშვილი:

### როგორც კი ამერიკა სანქციებს დაგვიწესებს, საქართველოს ხელისუფლებამ მაშინვე რუსეთთან დიალოგი უნდა დაიწყოს!

**საქართველოს არ უნდა ჰქონდეს იმ ამერიკის მხარდაჭერის იმედი, რომელმაც 30 მილიონი ინდიელი გაჟუჟა და რეზერვაციებში გამოამწყვდია!**

***დაახლოებით 5 თვეა გასული მას შემდეგ, რაც „ასავალ-დასავალში“ გამოვაქვეყნეთ წერილი — „ვენეციის კომისია უნდა ჩაიძიროს!“ — თუმცა, ნამდვილად არ გვეგონა, რომ ვენეციის კომისია ასე მალე ჩაიძირებოდა.***




არადა, **ვენეციის კომისია უკვე ჩაიძირა!**

რომ დავაკონკრეტოთ, **ვენეციის კომისია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, საბოლოოდ ჩაიძირა გასულ კვირას,** როცა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ ქართულ კანონზე სამართლებრივის მაგივრად პოლიტიკური დასკვნა გამოაქვეყნა.

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ ქართულ კანონზე პოლიტიკური და თანაც, ტყუილებით გაჯერებული დასკვნის გამოქვეყნებით, **ვენეციის კომისია საბოლოოდ იქნა ლუსტრირებული,** როგორც პოლიტიკურ კონიუნქტურას დაქვემდებარებული ინსტრუმენტი, რომელსაც აღარაფერი აქვს საერთო „სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დაცვასთან“.

ჰო, 1990 წელს იტალიის ქალაქ **ვენეციაში** დაფუძნებული და კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისიის სრული სახელწოდება სწორედ ასე ჟღერს — **„ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად“,** თუმცა, ვენეციის კომისია ამ სახელწოდებას თითქმის არასოდეს ამართლებდა და, უმეტეს შემთხვევაში, ორმაგი პოლიტიკური სტანდარტებით ხელმძღვანელობდა, ახლა კი საბოლოოდ უწია იმ პოლიტიკური ჭაობის ფსკერს, სადაც ბოლო წლების განმავლობაში ყურყუმელაობდა.

გაგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილი — **„ვენეციის კომისია უნდა ჩაიძიროს!“** — ეხებოდა დასკვნას, რომელიც ვენეციის კომისიამ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციის დაკომპლექტებისა და საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის არჩევის წესთან დაკავშირებით გამოაქვეყნა. განსაკუთრებით ნიშანდობლივი გახლდათ ის გარემოება, რომ ვენეციის კომისია რეკომენდაციას იძლეოდა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების არჩევა ე.წ. **შარლ მიშელის შეთანხმებაში** გაწერილი წესით მომხდარიყო.

მაშინ დავწერეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ ე.წ. **შარლ მიშელის შეთანხმება,** რომელსაც 2020 წლის აპრილში, კოლექტიური ნაცმოძრაობის მიერ ხელოვნურად შექმნილი პოლიტიკური კრიზისის ფონზე, საქართველოს ხელისუფლებამ კოლექტიური დასავლეთის ზეწოლით მოაწერა ხელი, ცალსახად ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი აქტი იყო. დოკუმენტი, რომელიც ევროსაბჭოს პრეზიდენტ **შარლ მიშელის** აქტიური ჩართულობით მომზადდა, ვითომ საქართველოში პოლიტიკური კრიზისის განმუხტვას ემსახურებოდა, სინამდვილეში კი მიზნად ისახავდა ქართული სახელმწიფოს მაქსიმალურ დასუსტებასა და ძალაუფლების ინსტრუმენტების ეტაპობრივ გადაცემას ოპოზიციად წოდებული „მეხუთე კოლონისათვის“.

კიდევ კარგი, მაშინ „ქართულმა ოცნებამ“ კოლექტიური დასავლეთის ზეწოლისაგან თავის დაღწევა შეძლო და ე.წ. შარლ მიშელის შეთანხმებას გაემიჯნა, თორემ დღეს, დიდი ალბათობით, საქართველოს ხელისუფლებაში კოლექტიური ნაცები ისხდებოდნენ, ქვეყანა ომის ცეცხლში იქნებოდა გახვეული და საქართველოს უკრაინიზაციის გეგმა წარმატებით განხორციელდებოდა.

წერილში — **„ვენეციის კომისია უნდა ჩაიძიროს!“** — რომელიც, ფაქტობრივად, წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, რადგან მისი გამოქვეყნებიდან არასრულ ნახევარ წელიწადში ვენეციის კომისია პოლიტიკურ ჭაობში საბოლოოდ ჩაიძირა, ვწერდით, რომ ე.წ. შარლ მიშელის შეთანხმების ჩარჩოებში საქართველოს ხელისუფლების დაბრუნების მცდელობა ქართული სახელმწიფოს ჩამოშლასა და ოპოზიციად წოდებული „მეხუთე კოლონისათვის“ ძალაუფლების გადაცემას ემსახურებოდა.

ვწერდით იმასაც, რომ, როცა **ვენეციის კომისია სამართლებრივი შეფასების ჩარჩოებს სცდება, იურიდიულად დაუსაბუთებელ რეკომენდაციებს იძლევა და აქცენტს შარლ მიშელის პოლიტიკურ დოკუმენტზე აკეთებს,** ეს ერთადერთ რამეს ნიშნავს — იგი საკუთარ ფუნქციას არ ან ვერ ასრულებს და გადაქცეულია პოლიტიკური ბრძოლის იარაღად კოლექტიური დასავლეთის ხელში.

ჩვენი დასკვნა თუ შეფასება აბსოლუტურად მართებული რომ გახლდათ, ეს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ახლა, როცა **ვენეციის კომისიამ გამჭვირვალობის ქართულ კანონთან დაკავშირებით ვერავითარი სამართლებრივი შენიშვნა ვერ წარმოადგინა და საკუთარი დასკვნა პოლიტიკური დემაგოგიითა და ფაქტობრივი ტყუილებით გაჭყიპა.**

# ვენეციის კომისია ჩაიძირა!

მაგალითად, ვენეციის კომისიის დასკვნაში წერია, რომ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ ქართულმა კანონმა ქვეყანაში „მასობრივი რეაქციები“ გამოიწვია და მიღებული იქნა „ქართველი ხალხის დიდი ნაწილის შეშფოთების ღიად უგულებელყოფით“.

ცხადია, ეს არის სრული სიცრუე და წმინდა წყლის პოლიტიკური მანიპულაცია ვენეციის კომისიის მხრიდან, რადგან კოლექტიური ნაცმოძრაობის მიერ გამჭვირვალობის კანონის წინააღმდეგ აგორებული ძალადობრივი პროტესტი „მასობრივი რეაქციები“ კი არა, მხოლოდ ვიწრო პოლიტიკური და ენჯეო წრეების ფართხალია, რასაც ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის განწყობასა და ინტერესებთან არაფერი აკავშირებს. პირიქით, **საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობას ემხრობა და მიიჩნევს, რომ ეს კანონი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვას ემსახურება!**

შესაბამისად, **ვენეციის კომისია ურცხვად იტყუება,** როცა წერს, რომ გამჭვირვალობის კანონის გამო ქართველი ხალხის „დიდი ნაწილია“ შეშფოთებული, რეალურად კი ნაცსექტა, ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი მცირერიცხოვანი მხარდამჭერები, რომლებსაც უცხოური გავლენის გამჭვირვალობა აშფოთებთ, საქართველოში უმცირესობის უმცირესობას წარმოადგენენ!

**ვენეციის კომისიის დასკვნაში სხვა ტყუილებიც წერია...** მაგალითად: გამჭვირვალობის კანონი ისე იქნა მიღებული, რომ გულწრფელი დისკუსიისა და კონსულტაციებისათვის სივრცე აღარ დარჩაო! არადა, საქართველოს მმართველმა პარტიამ სადისკუსიო სივრცე გამჭვირვალობის კანონპროექტის ინიცირებისთანავე გახსნილად გამოაცხადა და დაინტერესებულ წრეებს რეგულარულად მოუწოდებდა — განხილვაში ჩაერთეთ, კონკრეტული სამართლებრივი შენიშვნები თუ გაქვთ, გვითხარით და დაგვისაბუთეთ, რომელი მუხლი რატომ არ მოგწონთო... იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ გამჭვირვალობის კანონპროექტის განხილვა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში თითქმის ერთი თვის განმავლობაში საათობით მიმდინარეობდა და ტელევიზიების პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. მიუხედავად ამისა, კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ და ლიბერალურმა არასამთავრობო სპექტრმა, უცხოელი პატრონებისაგან მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად, დისკუსიის ყველანაირი სივრცე თავადვე დაახშეს და განაცხადეს — „არანაირ მუხლობრივ განხილვაში არ შევდივართ, ეს კანონი რუსულია და მორჩა!“

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **ვენეციის კომისია, გარდა იმისა, რომ გამჭვირვალობის კანონთან დაკავშირებით არავითარ სამართლებრივ შენიშვნასა თუ რეკომენდაციას არ იძლევა, უტიფრად ცრუობს და ტყუის!**

სხვანაირად რომ ვთქვათ, **ვენეციის კომისიამ საკუთარი უსირცხვილო ტყუილები ფეხებზე წისქვილის ქვებივით გამოიბა და მთელი სიმძიმით დაეშვა იმ პოლიტიკური ჭაობის ფსკერზე, რომელშიც დიდი ხანია, ყელამდე იყო ჩაფლული!**

აკი, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე ჯერ კიდევ 5 თვის წინათ ვწერდით, რომ ვენეციის კომისია, რომელიც თავის დროზე „სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად“ შეიქმნა, **უნდა ჩაძირულიყო,** რადგან დღეს ვეღარც დემოკრატიას იცავს, ვეღარც — სამართალს და მხოლოდ პოლიტიკური წყლის ნაყვით არის დაკავებული.

ჰოდა, ახდა **ის, რასაც 5 თვის წინათ ვწერდით!**

ჰოდა, **ჩაიძირა ვენეციის კომისია ვითარცა ძირგახვრეტილი ვენეციური გონდოლა!**

**ჩაძირული ვენეციის კომისია** პოლიტიკურად და მორალურად ბოლომდე გაკოტრებულ, სახედაკარგულ ევრობიუროკრატიასაც უსათუოდ თან ჩაიყოლებს!

***ჯაბა ხუბუა***

## ხუთი თვის წინათ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული წერილი „ვენეციის კომისია უნდა ჩაიძიროს!“ წინასწარმეტყველური აღმოჩნდა!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**საქართველო არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც ვერასდროს ვერავინ დაშლის.** ჩვენი ქართული ოცნებაა, **2030 წელს ვიცხოვროთ ერთიან საქართველოში აფხაზ და ოს ძმებსა და დებთან ერთად!**

„რუსთავი-2“

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**ერთნაირსქესიანთა ქორწინება ევროკავშირის 27-დან 25 ქვეყანაშია დაკანონებული.** დავალება მიიღეს, გააკეთეს.

„პირველი არხი“

**მამუკა მდინარაძე**
*პარლამენტარი*



ევროკომისიის პრეზიდენტი **უცხოურ ჩარევებს** საარჩევნო კამპანიის მთავარ საკითხად აქცევს. კითხვას — **რა არის კანონში ცუდი?** ემატება მეორე უპასუხო კითხვა — **რაც ევროპისთვისაც მთავარი გამოწვევაა, მისი პრევენცია რატომ არის ჩვენთან არაევროპული?**

„ინტერპრესნიუსი“

**გიგლა ბარამიძე**
*ამერიკათმცოდნე, პოლიტოლოგი*



**დიახ — ხელისუფლების ეროვნულობასა და პრინციპულობას!**

არა — „დაუძინებელი მეგობრების“ მუქარანარევ შანტაჟს!

**დიახ — გამჭვირვალობას!**

არა — მეხუთე კოლონას!

**დიახ — ქვეყნის უსაფრთხოებას!**

არა — ომის პარტიებს!

**დიახ — ერის კონსოლიდაციას!**

არა — პოლარიზებას!

**დიახ — რწმენის ჭეშმარიტებას!**

არა — სექტანტიზმს!

**დიახ — ილიას გზას!**

არა — იუდას!

**თანამემამულენო, საქართველო გაბრწყინდება!**

## „ამერიკის იმპერიას არავითარი მომავალი არა აქვს, ის უკვე დაცემული იმპერიაა, რომელსაც ბაიდენის სახით მოსიარულე დემენცია უდგას სათავეში!“



## გოგა ხაინდრავა:

# მაქვს ამერიკის ათწლიანი ვიზა და საელჩოს მივმართავ – გამიუქმოს!

***მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ თეთრი სახლი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების გამო სავიზო სანქციებს დაუწესებს, ნაცლიბერალური სექტა სიხარულისაგან დაფსა და ნაღარას სცემს, ხოლო საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა ჩვენთან ინტერვიუში ამბობს:***

— მინდა, ოფიციალურად განვაცხადო: **მაქვს ამერიკის შეერთებული შტატების ათწლიანი ვიზა, რომელზეც უარს ვამბობ და ამერიკის საელჩოს მივმართავ — გამიუქმოს!**

**ტოტალიტარულ საბჭოთა კავშირში დიდხანს ვიცხოვრე და არანაირი სურვილი არ მაქვს, ჩავიდე ამერიკაში, რომელიც დღეს თავად არის საბჭოთა კავშირი და ბოროტების იმპერია.**

ასე რომ, ელჩმა დანიგანმაც და სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმაც ჩემი ამერიკის ვიზა კარგად დაახვიონ და „ერთ ადგილას“ გაიკეთონ!

**— თქვენი პროტესტი გასაგებია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი კანონმდებლებისათვის სავიზო სანქციების დაწესებით საქართველო-ამერიკის ურთიერთობას ფორმალურადაც ველარ დავარქმევთ „სტრატეგიულ პარტნიორობას“.**

— სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომაზე სენატორმა **ტედ კრუზმა** სახელმწიფო მდივან **ენტონი ბლინკენს** პირდაპირ უთხრა — თქვენი ადმინისტრაცია კატასტროფულ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს და ამერიკის მეგობრებსა და პარტნიორებს ძირს უთხრისო! **სენატორ კრუზის** სიმართლე **სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა** იმავე სხდომაზე დაადასტურა, როცა განაცხადა, რომ საქართველო, თურმე, „მოსკოვის სახელმძღვანელოდან გადმოწერილ“ კანონს იღებს და ამის გამო ქართველ კანონმდებლებს ამერიკამ სანქციები უნდა დაუწესოს... აი, ასეთ პათოლოგიურ სიცრუეში არიან გადავარდნილი და ამიტომაც განიცდის აშშ-ის სახელმწიფო აბსოლუტურ კრახს.

**— ამერიკის სახელმწიფოს კრახი რაში გამოიხატება?**

— რამდენიმე დღის წინათ საფრანგეთში, კანის კინობაზრობაზე გახლდით და პირადად დავესწარი დიდი ამერიკელი რეჟისორის **ფრენსის ფორდ კოპოლას** პრესკონფერენციას, სადაც მან განაცხადა — *დღეს ამერიკის მდგომარეობა იმის ზუსტი ანალოგია, თუ როგორ დაეცა რომის იმპერიაო!* კოპოლას ახალი ფილმი **„მეგალოპოლისი“** სწორედ ამ თემას ეხება და მასში ნიუ იორკს **ნიუ რომი** ჰქვია.

დიახ, **ამერიკის იმპერიას არავითარი მომავალი არა აქვს, ის უკვე დაცემული იმპერიაა, რომელსაც ბაიდენის სახით მოსიარულე დემენცია უდგას სათავეში**. წარმოგიდგენიათ, რომ მსოფლიო ჰეგემონობის პრეტენზიის მქონე ქვეყანას პრეზიდენტად ეჯდეს ადამიანი, რომელსაც საკუთარი გვარი არ ახსოვს და ცოლი და-ში ერევა?! ეს იმაზე მეტყველებს, რომ, სინამდვილეში, ამერიკას კულისებიდან მართავენ **არალეგიტიმური ადამიანები,** რომლებიც ამერიკელ ხალხს ხელისუფლებად არ აურჩევია.

**— ყოველ შემთხვევაში, აშშ-ს იმდენი ძალა მაინც აქვს, რომ საქართველოსნაირ პატარა ქვეყანას პრობლემები შეუქმნას და ზიანი მიაყენოს!**

— რაღა უნდა გვავნოს **ბაიდენისა და ბლინკენის ადმინისტრაციამ,** რომელსაც ყველაფერი თავზე ენგრევა?! წარმოიდგინეთ, უკვე ისე არიან ჭკუიდან გადასული, რომ დასანქცირებას უპირებენ **ჰააგის სასამართლოს,** რომლის იურისდიქციასაც მსოფლიოს 126 ქვეყანაა მიერთებული.

თუ ზიანის მოყენებაზეა საუბარი, საქართველოს **ხაზარაძე, ჯაფარიძე,** შარვალჩახდილი **ბირჩი, ლიაკა ხოშტარია, სალომე სამადაშვილი, სალომე ზურაბიშვილი** და სხვა ადგილობრივი მანქურთებიც აზიანებენ თავიანთი საქმიანობით, მაგრამ ვერც ესენი და ვერც მათი პატრონი **ბლინკენები** იმდენს მაინც ვერ დაგვიშავებენ, რომ ქართველობა დააჩოქონ. პირიქით, მათ თავიანთი სიგიჟეებით ქართველი ერის კონსოლიდაციასა და ერთ მუშტად შეკვრას შეუწყვეს ხელი, რაც ძალიან კარგად გამოჩნდა 17 მაისს, როცა მთელი საქართველო ფეხზე დადგა თავისი სამშობლოს, ეკლესიის, ოჯახის, აწმყოს, წარსულისა და მომავლის დასაცავად.

ასე რომ, რაც **ბლინკენმა** გააკეთა, სამარცხვინო ლაქად შევა ამერიკის ისტორიაში. რა თქმა უნდა, სანქციების ქვეშ მოყოლა სასიამოვნო არ არის, მაგრამ, მეორე მხრივ, **ნამდვილად საამაყოა, როცა სანქციას შენი სამშობლოსა და შენი სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის გამო გიწესებენ.** მადლობა ღმერთს, ქართველების უდიდესი ნაწილი იქ ვდგავართ, სადაც სამშობლოს ინტერესებია და არა იქ, სადაც **ხაზარაძე, ჯაფარიძე** და საკუთარი ჯიბის ინტერესების დამცველები დგანან.

**— ესე იგი, კოლექტიურ ნაცმოძრაობას ტყუილად აქვს ატეხილი სიხარულის ყიჟინა იმის გამო, რომ აშშ და, ალბათ, ევროკავშირიც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს სანქციებს დაუწესებენ?**

— **იყიჟინონ და იყვნენ, მეტი არაფერი დარჩენიათ ამ მანქურთებს!** სამარცხვინოა, როცა კანონის მიღების გამო სანქციებით ემუქრებიან ქართველ კანონმდებლებს, რომლებიც თავიანთი ქვეყნის სუვერენიტეტს იცავენ, ამ დროს კი **ქეზერაშვილისა და ადეიშვილის** მსგავსი სისხლის სამართლის დამნაშავეები ევროპასა და ამერიკაში თავისუფლად დასეირნობენ. ხომ ხვდებით, როგორ არის გამრუდებული დასავლური დემოკრატია და სამართალი? აბსოლუტურ კატასტროფაში არიან!

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკომისარი ოლივერ ვარჰეი საქარ-**

გაგრძელება მე–4 გვერდზე

## „ელჩმა დანიგანმაც და სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმაც ჩემი ამერიკის ვიზა კარგად დაახვიონ და „ერთ ადგილას“ გაიკეთონ!“



ენტონი ბლინკენი და ჯო ბაიდენი



რობინ დანიგანი

## კვირგვინოსნები

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



რანაირი სტანდარტია, როცა **ევროკავშირი კანდიდატ ქვეყანაში ფარულად აფინანსებს პოლიტიკურ პარტიებს და რადიკალურ ჯგუფებს?** რატომ არ აკეთებენ არაფერს ამ ქვეყნების საელჩოები, რომ ეს ფული გამჭვირვალე იყოს?

„პირველი არხი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**თქვენს ქვეყანაში გამართეთ ომი და მეორე ფრონტი, საქართველოს შეეშვით,** ჩვენ გვჭირდება მშვიდობა, მეგობრები და პარტნიორები. **აღარ გვინდა არც თქვენი შეშფოთება და აღშფოთება.**

„იმედინიუსი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



დასანანი მხოლოდ ის არის, რომ **ჩვენმა ხელისუფლებამ მხოლოდ ახლა დაარქვა ყველაფერს ხმამაღლა სახელი.**

„TV იმედი“

**არჩილ ხიდირბეგიშვილი**
*„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი*



**ირაკლი კობახიძის** ჩასვლა ირანში, **პრეზიდენტ რაისის** პანაშვიდზე, ერეკლე მეფისა და სხვა დიდი ქართველი მეფეების ტრადიციის აღორძინებაა, რომლებიც აღმოსავლეთის მბრძანებლებთან ჩადიოდნენ **ქართული საქმის საკეთებლად** და მათ იქ დიდი პატივით ხვდებოდნენ. **ამიერიდან, რაც არ უნდა მოხდეს, ირანი ამას არასოდეს დაივიწყებს!**

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

# „ხომ არ გგონიათ, მართლა გამჭვირვალობის კანონის გამო ცდილობენ საქართველოს დასჯას?“





ოლივერ ვარჰეი



**„თბილისის ქუჩებში ისეთი უმართავი პროცესები შეიძლება, დაიწყოს, რომ სლოვაკეთის პრემიერივით ხუთი ტყვია გესროლონო! — ეს უთხრა ევროკომისარმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და შეუძლებელია, არსებობდეს რამენაირი კონტექსტი, რომელიც ამ სამარცხვინო მუქარასა და შანტაჟს გაამართლებს!“**

## გოგა ხაინდრავა:

# ნამდვილად საამაყოა, როცა სანქციას შენი სამშობლოსა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის გამო გიწესებენ!

**თველოს პრემიერ-მინისტრს სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის ბედის გაზიარებით დაემუქრა, შემდეგ კი თავის მართლება სცადა — რობერტ ფიცოზე შეიარაღებული თავდასხმა ირაკლი კობახიძესთან საუბარში სულ სხვა კონტექსტით ვახსენეო?**

— კონტექსტთან დაკავშირებული ზღაპრები **ვარჰეიმ** ბებიამისს მოუყვეს! **თბილისის ქუჩებში ისეთი უმართავი პროცესები შეიძლება, დაიწყოს, რომ სლოვაკეთის პრემიერივით ხუთი ტყვია გესროლონო!** — ეს უთხრა ევროკომისარმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და შეუძლებელია, არსებობდეს რამენაირი კონტექსტი, რომელიც ამ სამარცხვინო მუქარასა და შანტაჟს გაამართლებს.

საერთოდ, ტერმინი **„გლობალური ომის პარტია“** ჰაერიდან არ არის მოტანილი და არავის ეგონოს, რომ ამაში რომელიმე ერთი ქვეყანა ან ცალკეული ხელისუფლება იგულისხმება, არამედ ეს არის **გეოპოლიტიკური სცენის კულისებში მოქალაქეებული ძალების ერთობა,** რომელსაც უფრო დიდი ძალაუფლება უპყრია ხელთ, ვიდრე ამერიკისა და ევროკავშირის ხელისუფლებებს ერთად. „ქართული ოცნების“ დეპუტატ **მარიამ ლაშხს** დასცინეს, როცა გლობალური ომის პარტია მასონებს შეადარა, არადა, ეს რეალობაა ისევე, როგორც ჩრდილოვანი მსოფლიო მთავრობა, რომელზეც საუკუნეების განმავლობაში მიდის ლაპარაკი.

**— ბევრს უჩნდება კითხვა — გლობალური ომის პარტია მაინცდამაინც საქართველოს რატომ გადაეკიდა და რატომ სურს რუსეთთან ომში ჩვენი ქვეყნის ჩართვა?**

— საქმე ის არის, რომ რუსეთის საზღვართან საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ნატოს ქოლგა არ იცავს. **გლობალური ომის პარტიას** არ აწყობს, ნატოს წევრი ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი რუსეთთან ომში ჩართოს, რადგან ეს პირდაპირ ნატო-რუსეთის ომს ნიშნავს და როგორ მოიქცევა პუტინი ამ ომში, თუნდაც იმაში ჩანს, რომ რამდენიმე დღის წინათ ბირთვული წვრთნები დაიწყო.

რუსეთთან ომში ვერც აზერბაიჯანს ჩართავენ, რადგან იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ნატოს წევრ თურქეთთან, ხოლო სომხეთს, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ აზერბაიჯანთან ომი წააგო, რუსეთთან ომის თავი არა აქვს. ამდენად,

**რჩება ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია, რუსეთს პრობლემები მის საზღვართანვე შეუქმნას**

**და ეს ქვეყანა საქართველოა, რის გამოც გლობალური ომის პარტიის მთავარ ინტერესსა და სამიზნეს წარმოვადგენთ.**

შეხედეთ, რა გააკეთეს ამერიკელებმა — ერთი პატარა საქართველოს მიერ მიღებული ერთი უბრალო კანონის გამო მთელი თავიანთი ევროპული აგენტურა გაშიფრეს! **გამოჩნდა, რომ ევროკომისრებითა და ევროპარლამენტარებით დაწყებული, ბალტიისპირეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებით გაგრძელებული და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრით დამთავრებული, თითქმის მთელი ევროპული ბიუროკრატია ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეზიდენტურა და აგენტურაა,** რომელიც ხელის ერთ აქნევაზე, ერთდროულად და ერთი და იგივე ტექსტით ალაპარაკდა — საქართველო „რუსულ კანონს“ იღებსო!

**— მაინც როგორ ფიქრობთ, რამდენად მტკიცეა დღეს ქართული სახელმწიფო და რამდენად შეძლებს, ხელისუფლება უზარმაზარ საერთაშორისო ზეწოლას გაუმკლავდეს?**

— დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება სიმტკიცეს შეინარჩუნებს, მე მჯერა ამ ბიჭების და ვიცი, რომ ამის უნარი შესწევთ, რაც ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ ვნახეთ. რაც მთავარია, დღეს საქართველოს ხელისუფლება ქართველი ხალხის გადამწყვეტი უმრავლესობის მტკიცე მხარდაჭერას გრძნობს. **17 მაისს მთელი საქართველოს მასშტაბით ქუჩაში გამოსულმა ლამის მილიონმა ადამიანმა ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა, ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა და სწორედ ამის გამო არიან დღუმორეული კოლექტიური ბლინკენები.**

ხომ არ გგონიათ, მართლა გამჭვირვალობის კანონის გამო ცდილობენ საქართველოს დასჯას? არა,

**ჩვენი დასჯა სურთ მეორე კანონის გამო, რომელიც ლგბტ პროპაგანდის აკრძალვასა და ტრადიციული ოჯახის დაცვას ითვალისწინებს! დიახ, სინამდვილეში, სწორედ ეს აგიჟებთ, რადგან 17 მაისს, ოჯახის სიწმინდის დღეს, ნათლად დაინახეს, ქართველი ერი რა ფასეულობების დასაცავად არის ქუჩაში გამომსვლელი და თავის დამდები.**

**გარწმუნებთ, საქართველო მალე მთელ მსოფლიოში სამაგალითო ქვეყანა იქნება და მეტიც, ევროპაში უკვე ვართ სამაგალითო ქვეყანა.** გითხარით, კანში კინობაზრობაზე ვიმყოფებოდი-მეთქი და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი კოლეგები, განსაკუთრებით ბალტიისპირელები, გაკვირვებითა და აღფრთოვანებით მეუბნებოდნენ — **თქვენ რა ხალხი ყოფილხართ, რამხელა რამეს ბედავთ, რომ ასე იცავთ თქვენი ქვეყნის სუვერენიტეტსო!** იმას აღარ ამატებდნენ — ჩვენ მაგდენს ვერ ვბედავთო, მაგრამ სწორედ ეს იგულისხმებოდა მათ ნათქვამში.

**— და მაინც, ახლა საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მთავარი საფიქრალი ის არის, რამდენად მშვიდობიანად მიაღწევს ქვეყანა 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ან არჩევნების შემდეგ თუ იქნება მშვიდობა?**

— ეს ნამდვილად ჩვენს ხელშია — საქართველოს მოქალაქეების ხელში! საქართველოში არეულობას არ დავუშვებთ! **კონჩიტა უჩააბაშიძეებმა, ცოლებს რომ აქირავებენ, შეიძლება, ერთმანეთში მოაწყონ არეულობა და გადატრიალება, მაგრამ ქვეყანაში ვერ მოაწყობენ, ეს გამორიცხულია!**

*ესაუბრა*

***გიორგი ძაძამია***

## კვირგვინოსნები

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი ეპისკოპოსი*



თუ ნაცმოძრაობა არჩევნებში დამარცხდება, **ე.ი. რუსეთზე საბოლოოდ ვამბობთ უარს.** ჩვენთან თუ ვინმეს არ აწყობს დალაგებული სიტუაცია, ერთ-ერთი რუსეთიცაა. **არ აღმოჩნდეს ისე, რომ ახალგაზრდებს რუსული საქმე გააკეთებინონ.** კარგად შეხედონ, დაფიქრდნენ. **რუსეთის ხელს მე უკვე ვხედავ.**

„TV იმედი“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**გამჭვირვალობის კანონი და ლგბტ პროპაგანდის შესახებ კანონპროექტი არის ღირსების აქტი,** რომელსაც ბოლომდე დაიცავს სახელისუფლებო გუნდი და თითოეული ქართველი, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ჩვენი კულტურა, იდენტობა და ტრადიცია. **არ შეიძლება, მორალს მიკითხავდეს გათხოვილი მამაკაცი, ჩემს სარწმუნოებას ეხებოდეს და აბუჩად იგდებდეს.**

„იმედინიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**თურქეთი ემზადება უცხო ქვეყნის აგენტებზე კანონპროექტის ინიციირებისთვის,** იგი ნატოს წევრი და რეგიონის მთავარი აქტორია და სწორედ **უცხო გავლენებისგან თავის დასაცავად** კანონმდებლობის მოწესრიგებას იწყებს.

„იმედინიუსი“

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



საბოლოოდ სიმართლემ რთულ ბრძოლაში გაიმარჯვა და **სტრასბურგის, უკვე მესამე, გადაწყვეტილების** შემდეგ შავით თეთრზე დადასტურდა, რომ **სააკაშვილი, არც** სინდისის პატიმარი, **არც** პუტინის პირადი ტყვე, არამედ **მსჯავრდებულია,** რომელიც კონკრეტული დანაშაულებისთვის იხდის სასჯელს!

„იმედინიუსი“

# „საქართველოში ზუსტად იგივე სიტუაციაა, რაც 1921 წელს იყო!“

*— ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, არის გეოპოლიტიკური დაპირისპირების გამძაფრებული დასავლეთსა და რუსეთს შორის. დანარჩენი ყველაფერი პროპაგანდაა, —* ***აცხადებს ეკონომისტი, ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე, რომლის პოლიტიკური პროგნოზიც ხშირად ხისტია, მაგრამ დამაფიქრებელი:***

— დღეს ზუსტად იგივე სიტუაცია ვითარდება, რაც იყო 1921 წელს. მაშინაც დიდ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამის შესახებ ისტორიკოსების მიერ შტამპებში მოქცეული შეფასებების გამო 100 წლის შემდეგაც არაფერი იციან ქართველებმა და არც უნდათ, რომ გაიგონ.

**— რა უნდა ვიცოდეთ 100 წლის წინანდელი და დღევანდელი მსოფლიოს გეოპოლიტიკის შესახებ?**

— **ის, რაც 1921 წელს მოხდა, იყო იმ დიდი თამაშის გაგრძელება, რომელიც 1857 წლიდან ბრიტანეთის იმპერიასა და რუსულ იმპერიას შორის მიმდინარეობდა.** ბრიტანელები რუსეთის იზოლაციაში მოქცევას ცდილობდნენ, უნდოდათ, ისე დაელაგებინათ სიტუაცია, მათ შორის, სარკინიგზო მაგისტრალები, რომლებიც საქართველოზეც უნდა გასულიყო, რომ რუსეთი პერიფერიული სახელმწიფო ყოფილიყო. ამიტომაც ააფეთქეს თავის დროზე კავკასია, ავიღოთ თუნდაც **შამილის წინააღმდეგობა,** რომელიც ბრიტანული დაზვერვის პროექტი იყო. პარალელურად პროცესები მიმდინარეობდა შუა აზიაში და ა.შ.

იმ დროს ჩვენ ბოლშევიკური რუსეთის მიერ აღიარებული სახელმწიფო ვიყავით. სიყვარულის გამო არავინ არაფერს ცნობს. მათ სჭირდებოდათ ხელშეწყობა საერთაშორისო აღიარებებში, თუმცა, ჩვენ დავიწყეთ რუსეთის განადგურებისთვის თამაში და ახლაც იმავეს ვაკეთებთ — დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში, სამწუხაროდ, უწინდელივით მხარე ვართ!

კიდევ ერთხელ ვამბობ — რუსეთი არის მოცემულობა და ვის მოსწონს ან ვის არ მოსწონს, ამას პოლიტიკაში მნიშვნელობა არა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოს არა აქვს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა, ის გახლავთ საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორი. მე ვსვამ კითხვას — **რატომ არ არის ევროკავშირი საქართველოს ნომერ პირველი ეკონომიკური სავაჭრო პარტნიორი, მითუმეტეს, როცა ასოცირების ხელშეკრულება არის გაფორმებული?!**

**— თქვენი პასუხი როგორია?**

— იმიტომ, რომ ეს არის ყალბი, არაფრის მომცემი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე საქართველოს ევროპისაგან არანაირი სარგებლის მიღება არ შეუძლია. და, საერთოდ, ევროპა ტყუილად არავის არაფერს ჩუქნის, მას საკუთარი ინტერესები აქვს, რომელთა ფარგლებშიც მოქმედებს დღეს საქართველოში.

**— ამბობთ, საქართველო მხარე არისო... ვის მხარეზეა დღეს საქართველო?**

— რაღა დაზუსტება სჭირდება, ღიად არის გაცხადებული. ჩვენ ამ შემთხვევაში ვებრძვით იმ მხარეს, რომელსაც ებრძვის დასავლეთი და ევროპა.

**— დღეს ქუჩაში გამოსული ხალხი და ახალგაზრდობა ზუსტად იმას საყვედურობს ხელისუფლებას, რომ ევროპულ კურსს გადაუხვიეთ და რუსეთისკენ მიდიხართო...**

— ეს არის თავიდან ბოლომდე სისულელე და შენიღბვა იმ პროცესების, რაზეც ვსაუბრობ. ძალიან ბევრი ახალგაზრდა შეცდომაშია შეყვანილი და მცდარი წარმოდგენა აქვთ პოლიტიკაზე. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ბოლო 30 წელია, საქართველოში ახალგაზრდებს წარმატებით იყენებენ ქართული სახელმწიფოს დასანგრევად. ასე არ გამოიყენეს 1992 წელსაც? ჩაუნერგეს — ის ერთი კაცი იყო, რომელიც მათ ბედნიერებას უშლიდა ხელს და რა შედეგიც მივიღეთ, ყველამ კარგად დავინახეთ.



## „არასწორია ორ სკამზე ჯდომა, არსებობს ერთადერთი – ქართული სკამი!“

კანონის მიღება-არმიღება არის მხოლოდ საბაბი. დავალება სხვა რამეა. აბა, რა ლოზუნგია — **რუსეთის შემადგენლობაში არ გვინდა, ევროკავშირში შესვლა გვინდაო.** პოლიტიკური თვალსაზრისით სუფთა სისულელეა. სად დგას ან ერთი, ან მეორე საკითხი? ევროპაში შესვლის საკითხი დღეს წყდება? არც დღეს და არც არასდროს გადაწყდება, სრულიად გასაგები მიზეზების გამო.

**— ხომ გვპირდებიან?**

— იმიტომ გვპირდებიან, რომ გავლენის არეალში დაგვტოვონ, რუსეთის წინააღმდეგ გამოგვიყენონ. დღეს საქართველოს არანაირი სხვა ფუნქცია არ აკისრია. მოგვწონს ეს? მაშინ დავირაზმოთ და, იმერულად რომ ვთქვათ, ვეტაკოთ! **მეზობლები არ მიგაჩნია არაფრად და ბრიუსელი მიგაჩნია რაღაცად? ამნაირ ხალხს შეიძლება სახელმწიფო ჰქონდეს?**

არ არსებობს არანაირი საფრთხე იმისა, რომ საქართველო რუსეთში შევა ან ევროკავშირში არ მიიღებენ. რუსეთის სიყვარულობანაზე და სიძულვილზე ლაპარაკი პოლიტიკური უტვინობის შედეგია! დავიჯერო, სხვა მეზობელი გვიყვარს ძალიან?

სამწუხაროდ, ქართველების გეოპოლიტიკური უმეცრება საუკუნეებიდან მოდის და ყოველთვის მძიმედ უჯდებოდა ჩვენს ქვეყანას. ახლაც ასეა!

ჩვენ დღეს შტატებიდან და ევროპიდან წამოსული განცხადებები ერთადერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ — **საქართველოში გავლენის შენარჩუნების მცდელობად!**

**— სულ ახლახან ოფიციალურად გამოცხადებული სანქციებიც?**

— ქართველ ხალხს ისეთი მდგომარეობა აქვს გამოვლილი, სანქციებით ვერ შეაშინებენ, მითუმეტეს, სანქციები ინდივიდუალური ხასიათისაა და არ ველი, რომ სახელმწიფოს ან ქართველ ხალხს დასჯიან. ვინც აქტიურად იყო ჩართული კანონის მიღებაში, ისინი დაასანქცირეს. თავიანთი ჭკუით, გააფრთხილეს — ნუ გააგრძელებთ ამ პოლიტიკასო. **ვინც საკუთარი ქვეყნის მესვეურია და სანქციების ეშინია, იმას პოლიტიკაში არაფერი ესაქმება!** თუ არ ეშინიათ და ქართული სახელმწიფოს ინტერესები ამოძრავებთ, მაშინ შედეგზე უნდა გავიდეთ. 12 წელია, არაფერი გაუკეთებიათ და ახლა ვნახოთ, რას იზამენ. საქართველოს ხელისუფლების ძალა მის ხალხშია!

**ქართული სახელმწიფოს მომავალი არც რუსეთშია, არც ევროპაში და არც ამერიკაში, ჩვენი სახელმწიფოს გადასახედიდან და მისი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვითანამშრომლოთ რუსეთთანაც, ევროპასთანაც და ამერიკასთანაც. არ უნდა ვიყოთ მხარე და კარგად გვესმოდეს ჩვენი სახელმწიფოს ზომა-წონა!**

**— ბევრი ჭკუასაკითხავი ადამიანი ამბობს — საქართველო პატარა ქვეყანაა და ვინმეს მხარე თუ არ ვიქნებით, შეუძლებელიაო...**

— სწორედ ეს არის 700-წლოვანი გეოპოლიტიკური უმეცრების შედეგი, პოლიტი-

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

## დემურ გიორხელიძე:

# ბოლო 30 წელია, საქართველოში ახალგაზრდებს წარმატებით იყენებენ ქართული სახელმწიფოს დასანგრევად!



### კვირგვინოსნები

**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*



რატომ გადაწყვიტა პრეზიდენტმა, რომ **ვეტოს ფარგლებში სადისკუსიო სივრცე ჩაეხშო,** ეს ჩვენთვის უკვე გასაგებია. ვხვდებოდით, სავარაუდოდ, თუ რა მიმართულებით აირჩევდა თავის გადაწყვეტილებას — **ეს არის რევოლუციის მიმართულება.**

„იმედინიუსი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



საქართველო, როგორც არასდროს, **ახლოსაა დამოუკიდებლობის დაკარგვასთან, სახელმწიფოებრიობის გაუქმებასთან** — 2008 წელს, როცა რუსეთი იდგა თბილისის კარიბჭესთან, მაშინ ბევრად უფრო მშვიდად ვიყავი.

„იმედინიუსი“

**ლევან დავითაშვილი**
*ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი*



ტერმინის **„რუსული კანონი“** გამოყენება არასწორი და არაკორექტულია, **არის მიზანმიმართული მცდელობა, რომ ადგილობრივი თუ საერთაშორისო საზოგადოება შეცდომაში შევიდეს.**

„პირველი არხი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



საქართველოს **სუვერენიტეტი ამოსავალი წერტილია,** თუ არ იქნება ქართული პოლიტიკა **საქართველოს მოქალაქეების გადასაწყვეტი,** ეს ქვეყანა ვერასდროს დაიცავს საკუთარ ინტერესებს.

„რეზონანსი“

## დემურ გიორხელიძე:

# „ბაბაია“ არასდროს არავის არ უნდა ვექახოთ!

დასაწყისი მე-5 გვერდზე

კური განუვითარებლობა. წმინდა პროფესიული კითხვა მაქვს, რომელიც, წესით, ნებისმიერ საღად მოაზროვნეს უნდა გაუჩნდეს — **ვენეციის კომისიამ — ამ უსიაფანდესმა დაწესებულებამ — რაც საქართველოს მოსწერა სიაფანდ ქართულ კანონთან დაკავშირებით, „გამჭვირვალობა“ რომ ჰქვია და ტვინგალეწული ქართველები „რუსულ კანონად“ მოიხსენიებენ, ეს მონაწერი პროფესიონალი იურისტების საქმიანი ენაა?**

**— ცხადია, არა...**

— დიახ, ეს არის ჩვეულებრივი ქუჩური ენა! ისიც არ მესმის, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება დასავლეთში მიღებული განათლებით რომ ამაყობს, რატომ შესჩერებია ხელებში დასავლური და ევროპული ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციას, რომელიც მიზანმიმართულად არის შექმნილი? საკუთარი სახელმწიფოს კანონების შესახებ რატომ უნდა ჰკითხონ ამ სიაფანდ ვენეციის კომისიას? **არასწორია ორ სკამზე ჯდომა, არსებობს ერთადერთი — ქართული სკამი!**

**— და მაინც, ვის თამაშს თამაშობს ხელისუფლება ამ ურთულეს პოლიტიკურ მოცემულობაში?**

— ხელისუფლება და ოპოზიცია — ეს არის ერთი მედლის ორი მხარე! ასე რომ არ იყოს, 12 წლის განმავლობაში სასათბურე პირობებს არ შეუქმნიდნენ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათთან ერთად არ გაიყოფდნენ ბიზნესებს და არ გაძარცვავდნენ ქვეყანას. თუმცა, დღეს გეოპოლიტიკა შეიცვალა და ეს ცვლილება, შეცდომის შემთხვევაში, პირველ რიგში, ამ ხელისუფლებას გაანადგურებს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ დიდი საფრთხის წინაშე დადგება ქვეყანა! როგორც ჩანს, ვიღაცამ შემოუძახა — გაიღვიძეთ, დეპოში ხართ, სამყარო იცვლებაო... ამიტომ, თუ რაიმეს აკეთებს ხელისუფლება, იმის გამო, რომ არ უნდა, თვითონაც განადგურდეს.

ახლა საკითხი ასე დგას — დააშვებინებენ თუ არა საქართველოს ხელისუფლებას შეცდომას? კიდევ ერთხელ ვამბობ — **იმდენად სასტიკია დაპირისპირება, რომ ქართველების გეოპოლიტიკური შეცდომა და სახელმწიფოებრიობის დასასრული ერთი იქნება!** მერე დავსხდეთ და ვიძახოთ, ევროპაში გვინდა და რუსეთში არ გვინდაო!

**— რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ უშეცდომოდ გაიაროს ეს ბეწვის ხიდი?**

— **ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას საქართველოში მეორე ფრონტი!** ეს ანტირუსული სიგიჟეები სწორედ იმიტომ არის, რომ საქართველოში მეორე ფრონტი გაიხსნას და უკრაინა-2 გახდეს!

### თუ შენ სხვა ქვეყნის განადგურებაში დაეხმარები დასავლეთს, მიიღებ ომს!

დაიკავე რუსეთთან, როგორც მეზობელთან ცივი, ოფიციალური ურთიერთობა და არ მიეხმარო დასავლეთს, რომლის ამოცანაც არის რუსული სახელმწიფოსა და რუსი ხალხის განადგურება!

დღეს ქართული სახელმწიფოს ამოცანაა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ამ მძიმე სიტუაციაში სახელმწიფოს დანის პირზე გატარება და არა მხარედ ყოფნა. ორი დიდი სახელმწიფო ებრძვის ერთმანეთს და უჩვენოდაც დაალაგებენ სიტუაციას. **ჩვენ „ბაბაია“ არასდროს არავის არ უნდა ვექახოთ!**

აბსოლუტურად უშედეგო იქნება პროტესტები, არანაირი საფრთხე საქართველოს დამოუკიდებლობას არ დაემუქრება, თუ ხელისუფლება გეოპოლიტიკურ შეცდომას არ დაუშვებს და საკუთარ ქვეყანას არ უღალატებს!

**— იმ ახალგაზრდებს რას ეტყოდით, რომლებიც ქუჩაში დგანან და, როგორც თავად ამბობენ, საქართველოს გადასარჩენად იბრძვიან?**

**– უკრაინაში, ფაქტობრივად, მთელი თაობა განადგურდა. ჩვენთან კი მეორე უკრაინას ამზადებენ! გინდათ ეს? თქვენ არ იცით კულისები, მე კი ქართული პოლიტიკის ყველა ბნელი კუნჭული მაქვს ნანახი. ლიდერები, რომელთა გვერდითაც დგახართ, კარგად არიან დაფინანსებული. არ გამოაყენებინოთ თავი და არ მოსპოთ ქართული სახელმწიფო! არ არსებობს მიზანი, რომელსაც შეიძლება სახელმწიფოებრიობა შეეწიროს!**

*ესაუბრა ნატო ფოცხიშვილი*



# სტუდენტ ნიკოლოზ მანაგაძის მშობლები საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ითხოვენ!

***უკანასკნელ ხანს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინციდენტი უკვე მესამედ შეემთხვა. სამივე ორომტრიალაში აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ნიკოლოზ მანაგაძე, რომელიც სტუდენტური მოძრაობა „თავისუფლებისთვის“ ლიდერად მოიაზრება და იმ ცნობილი ქუთაისური ოჯახის შვილია, რომელიც წესიერებასთან, პატრიოტიზმთან, ეროვნულ მოძრაობასთან, ზვიად გამსახურდიასთან, განათლებასა და ინტელექტთან ასოცირდება. ნიკოლოზის ბებია — ქალბატონი ნატა კაპანაძე-კვიტაშვილი და დედა — ქალბატონი ევა (ვიკა კვიტაშვილი) თქვენი მონა-მორჩილის ძველი და სათაყვანებელი მეგობრები არიან, რომლებიც შვილიშვილისა და შვილის ბედზე წუხან, ნერვიულობენ, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი კობახიძეს საგანგებოდ მიმართავენ და აუდიენციას სთხოვენ!***

*უნდა ითქვას რომ ნიკო მანაგაძის ოჯახი კეთილგანწყობითა და პატივისცემით არის განწყობილი საქართველოს ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრის მიმართ და 2012 წლიდან აქტიურად მხარს უჭერს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.*

***ქალბატონი ნატა, ქალბატონი ვიკა და ნიკოს მამა — ბატონი იმედა მანაგაძე, რომლებიც „ასავალ-დასავალს“ ქუთაისიდან საგანგებოდ ეწვივნენ, აცხადებენ რომ***

*გულანთებული და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული სტუდენტის არასწორი, მაგრამ მაინც გულწრფელი ემოციებით შესაძლოა, იმ ბნელმა ძალებმა იხეირონ, რომლებიც ნიკოსა და მისი თანატოლების გვერდით დგანან.*

**ვიკა კვიტაშვილი**, ***ნიკო მანაგაძის დედა:*** — ვფიქრობ, ჩემი დუმილისა და უმოქმედობის დრო აღარ არის, რადგან შვილი მყავს გადასარჩენი! ოჯახი მის მოსაქცევად ბოლომდე ვიბრძოლებთ, ფარ-ხმალს არ დავყრით და ყოველმხრივ ვეცდებით ბიჭის მობრუნებას. მინდა, იმით დავიწყო, რომ **ნიკო მანაგაძე,** „ქართული ოცნების“ გულშემატკივარი და გულანთებული მხარდამჭერი იყო. ის მმართველი პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთ აქტივისტად ითვლებოდა, მაგრამ ყველაფერი აირია მას შემდეგ, რაც ქუთაისის მესამე საჯარო სკოლაში, რომელიც მთელ ქალაქში ერთ-ერთ პრესტიჟულ და გამორჩეულ სასწავლებლად ითვლება, რომელიღაც „ენჯეომ“ შეაღწია და ბავშვის დატრენინგება დაიწყო. ვერ ვიტყვი, რამდენად ხდებოდა ეს სკოლის კედლებში, მაგრამ დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ სკოლის ფარგლებს გარეთ ნამდვილად ასე იყო. ნიკო სახლში მოდიოდა გაურკვეველი ბუკლეტებით, დროდადრო რადიკალურად იცვლებოდა... დღეს ახლობლებიც მეუბნებიან, რომ იგი აგრესიული ძალების მიერ არის მართული და საფრთხის წინაშე დგას. ამიტომაც ვამბობ, რომ ჩვენი მოდუნების დრო აღარ არის. ახლობლები ნიკოს გონიერებისკენ და სიფრთხილისკენ მოუწოდებენ, მაგრამ ეს ე.წ. ჟურნალისტები, რომლებიც სააკაშვილთან და მის დამნაშავე გუნდთან არიან დაკავშირებული, გამუდმებით წერენ და უკიჟინებენ: „მიდი ნიკო, არ შეშინდე, მაგარი ხარ!“ პირადად გადავაწყდი **ეკა კვესიტაძისა და ნანუკა ჟორჟოლიანის** გამქეზებლურ კომენტარებს. რამე რომ მოხდეს, მათნაირებისთვის, ვინც ამ ბავშვებს აქეზებს, ჩემი შვილის სიცოცხლე იქნება ჩვეულებრივი მასალა, ხოლო ოჯახისთვის — ტრაგედია!

**როგორც ვატყობ, ახალგაზრდებით მანიპულირების საქმეში ამოქმედებულია მძლავრი და ავანტიურისტული პროპაგანდისტული მანქანა,** კვესიტაძეების, ჟორჟოლიანების და მათნაირთა ჩართულობით, რათა ახალგაზრდები პერმანენტულად აამხედრონ ხელისუფლების წინააღმდეგ. მინდა მივმართო ზემოხსენებულ პირებს: **თქვენი**

## ვიკა კვიტაშვილი:

### რამე რომ მოხდეს, ნანუკა ჟორჟოლიანის, ეკა კვესიტაძისა და მათნაირებისათვის, ვინც ამ ბავშვებს აქეზებს, ჩემი შვილის სიცოცხლე იქნება ჩვეულებრივი მასალა, ხოლო ოჯახისათვის – ტრაგედია!





ნიკოლოზ მანაგაძე



## იმედა მანაგაძე:

### ამ ხელისუფლების იმდენად არ მეშინია, რამდენადაც იმ ბანდის, რომელიც ნიკოსა და მის თანატოლებს არის ამოფარებული!

შვილები მიმართეთ იმ საქმეზე, რასაც ემსახურებით ანგარებით და ძალაგებთ საზოგადოებისთვის ასე შემაწუხებლად! იქონიეთ სინდისი და სხვისი შვილებით არ იმანიპულიროთ!

**იმედა მანაგაძე**, *ნიკო მანაგაძის მამა:* — სიმართლე გითხრათ, მე ამ ხელისუფლების იმდენად არ მეშინია, რამდენადაც იმ ბანდის, რომელიც ნიკოსა და მის თანატოლებს არის ამოფარებული! ეს ხალხი ყველანაირ სიბინძურეზეა წამსვლელი, გაუკეთებიათ კიდეც, თანაც ბევრჯერ, რათა მერე მთავრობისათვის დაებრალებინათ ყველაფერი. ამჯერად საფრთხე საიდან შეიძლება წამოვიდეს, არ ვიცი და ამიტომაც მივმართავთ **ბატონ ირაკლი კობახიძეს,** მიგვიღოს და მოგვისმინოს! ეგ ბავშვი უპატრონოდ არ არის ქუჩაში, არ გაგვიმეტებია, მის უკან ობიექტურად მოაზროვნე ოჯახი და გულშემატკივრები დგანან. **ყველამ იცის, რომ ნიკო არასოდეს ყოფილა ნაცი და მათი გუნდის წევრი, როგორც ბოლო ხანს ტელევიზიები მოიხსენიებენ, თუმცა, მისი ქმედებები აშკარად ნაცების წისქვილზე ასხამს წყალს!**

**ნატა კაპანაძე-კვიტაშვილი**, *ნიკო მანაგაძის ბებია:* — ჩემი შვილიშვილი გავზარდე ეროვნული მუხტით, მუდამ სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებას ვუნერგავდი. მჯეროდა, რომ ჭეშმარიტი ქართველი გაიზრდებოდა და საქართველოს სამსახურში ჩადგებოდა. როდესაც სკოლაში 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება მოეწყო, თავად იყო ინიციატორიც და წამყვანიც... გული სიამაყით ამევსო და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩემს შრომას ფუჭად არ ჩაუვლია, დღეს კი ტკივილამდე განვიცდი, რომ ჩემი გაზრდილი შვილიშვილი რადიკალურად არის შეცვლილი და საკუთარი ოჯახის წევრების მიმართაც გაუცხოვდა. მიუხედავად ამისა, ყოველმხრივ გვერდში ვუდგავარ, სითბოს არ ვაკლებ, თუმცა, ხშირად ვკამათობთ კიდეც მისი პოზიციის გამო... ვცდილობ, ბავშვს დავანახო რეალობა, თუ რა საფრთხის წინაშე დგას. **თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა ხმა მივაწვდინო და ვთხოვო პრემიერ-მინისტრ ბატონ ირაკლი კობახიძეს, მიგვიღოს, რათა დეტალურად შევძლოთ მასთან გასაუბრება.**

**ვიკა კვიტაშვილი**: — მინდა დავუბრუნდე რამდენიმე დღის წინათ ნიკოს მიერ ტელევიზიით, ერთ-ერთ გადაცემაში გასაჯაროებული ფოტოების ფაქტს! ტელეკომპანია „პირველის" ე.წ. ჟურნალისტებმა, რომლებიც ნიკოს ინტერვიუს ჩასაწერად საცხოვრებელი კორპუსის ეზოში ელოდებოდნენ, ბავშვს ტელეფონით შეატყობინეს და შესაბამისი ფოტოებიც გადაუგზავნეს — ვიღაც საეჭვო ტიპები ქვემოთ გელოდებიანო! ნიკომ ეს ინფორმაცია ტელევიზიის პირდაპირ ეთერშივე გაასაჯაროა... მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, ვიფიქრო, რომ სიტუაციის დრამატიზების მიზნით, ნიკოს ამ პროვოკაციასაც სწორედ ის ხალხი უწყობდა, ვინც მის უკან დგას, ანუ თავისივე თანაგუნდელები... თუ რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ეს, ამის შესახებ უკვე მოგახსენეთ!

**— როგორც ვიცი, შარშან, მარტის ცნობილი აქციების დროს, თქვენი ვაჟი დააპატიმრეს!**

— დიახ, შარშან, 2023 წლის 8 მარტს, ნიკო დააპატიმრეს და 2-3 დღის შემდეგ გაათავისუფლეს. თავადაც თქვა, რომ კარგად ექცეოდნენ... არც ადმინისტრაციული ჯარიმა გამოუწერიათ.

**— ამის შემდეგ მან ოფისი იქირავა... რა მიზნით?**

— ამის შემდეგ, ჩემდა გასაკვირად, მართლაც იქირავა ვაკეში ოფისი, როგორც თავად თქვა — ერთი წლით! კითხვა დამებადა, რა საჭიროებას წარმოადგენდა ეს ყოველივე? ამაზე მან მიპასუხა, რომ სტუდენტურ-ახალგაზრდული მოძრაობის ჩამოყალიბებას გეგმავდა და სახელწოდებაც მოფიქრებული ჰქონდა — **„თავისუფლებისთვის".** ამ ყველაფერმა რასაკვირველია, ჩემში პროტესტის გრძნობა გამოიწვია. ოჯახის შეკითხვაზე, თუ ვინ დაუფინანსებდა ოფისს, პასუხის გაცემისგან თავს იკავებდა. აღნიშნა, რომ მოძრაობა იქნებოდა სრულიად გულწრფელი, მებრძოლი, სტუდენტების მიერ შექმნილი, ხოლო ოფისის ხარჯებს ანგარიშის ნომერზე ხალხის მიერ დარიცხული თანხით დაფარავდა. **ერთხელაც, დაჟინებული კითხვის შემდეგ, ნიკომ გვითხრა, რომ კეზერაშვილის ვაჟი მისი მეგობარია და შესაძლოა, ოფისის ხარჯები მამამისს გაეწია.** ბუნებრივია, ამან აღგვაშფოთა...

## ნიკოს ვაფრთხილებდით და ვთხოვდით, რომ უარი ეთქვა კეზერაშვილის მხრიდან ყველანაირ დაფინანსებაზე.

**თუ მართლაც კეზერაშვილის მიერ ფინანსდება ამ ხნის განმავლობაში მოძრაობის ხარჯები, მაშინ გამოდის, რომ ამ ბავშვებსაც სათავისოდ იყენებენ,** რადგან ფულს ტყუილად არავინ იხდის... სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ **დავით კეზერაშვილისგან** ჩემი შვილი არანაირ დაფინანსებას არ იღებს, რადგან მისი პირადი, ყოველდღიური ხარჯების გაწევა ოჯახს გვიწევს.

**— ამბობენ, რომ აქტივისტების ოჯახებს სატელეფონო ზარებით უკავშირდებიან და ხდება ზეწოლა თუ სიტყვიერი შეურაცყოფა... თქვენთან თუ ყოფილა მსგავსი ფაქტები?**

— პირადად მე ვაიბერის საშუალებით დამირეკეს, მაგრამ ზარი მაშინვე შეწყდა... ანალოგიურად, ჩემს გოგონასთანაც დარეკეს გამთენიისას და შუადღისას, ხოლო მეუღლესთან და უფროს ვაჟთან ზარები მეტად გამძაფრებულად ხორციელდებოდა, მუქარისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის სახით. ეს ზარები განსაკუთრებით ძლიერდებოდა ნიკოს ყოველი სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ. მეუღლეს უთხრეს, თითქოს ჩვენი შვილები ორივე აქციაზე იმყოფებოდნენ და სთხოვეს, იქაურობისთვის გაერიდებინა. ცნობისათვის, ჩემი უფროსი ვაჟი აქციაზე არასოდეს ყოფილა და ძმასაც სულ სიმშვიდისა და სიფრთხილისკენ მოუწოდებს!

**— პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის ინიციატივა, როგორც ვიცი, თქვენგან წამოვიდა.**

— ჩემმა ქალაქმა, მეგობრებმა, მერიამ და საკრებულომ კარგად იციან, რომ 2012 წლიდან „ქართული ოცნების" აქტიური წევრი ვარ. ოჯახი ახლაც იზიარებს დღევანდელი ხელისუფლების არჩეულ კურსს, **დიდ პატივს ვცემთ ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ირაკლი კობახიძეს** და შეხვედრას ვთხოვთ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით!

**იმედა მანაგაძე**: — სხვათაშორის, ამ ბოლო დროს „იმედზე" მომზადდა სიუჟეტი, სადაც **ნიკო** ნაციონალად მოიხსენიეს, არადა, ნაცი ნამდვილად არ არის და მაგათ ლიდერებს ხშირად უპირისპირდება კიდეც, მაგრამ ნაცების წრეში რომ არის გარეული, ფაქტია! **საფრთხე საიდან წამოვა, კაცმა არ იცის და სწორედ ამიტომაც გვინდა პრემიერთან შეხვედრა!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# გლობალურ ომის პარტიასთან ბრძოლას ალტერნატივა არა აქვს!



## ირაკლი კობახიძე:

როდის და როგორ იყო ჩართული **გლობალური ომის პარტია** საქართველოში მძიმე პროცესების განვითარებაში, ამაზე ნამდვილად გვაქვს ინფორმაცია და ამ ინფორმაციის გასაჯაროების ნამდვილად უნდა ეშინოდეს **გლობალურ ომის პარტიას!..** ამიტომ ვერავის ვერ დააშანტაჟებენ, ვერანაირი ინფორმაცია ვერ იარსებებს... ერთადერთი, რაზეც შეიძლება არსებობდეს ინფორმაცია, ეს არის ჩვენი გუნდის მიერ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა. და რაც შეეხება იმ ძალებს, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ამ ქვეყანაში **გლობალურ ომის პარტიას,** ისინი პირდაპირ და უხეშად უპირისპირდებოდნენ ამ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, რამაც გამოიწვია საქართველოს ტერიტორიების 20%-ის დაკარგვა 2008 წელს.

**გლობალურ ომის პარტიასთან** ბრძოლას ალტერნატივა არა აქვს. ეს არის ძალიან რთული ბრძოლა, მათ შორის, პერსონალური კუთხითაც. ჩემთვის პირადად, მაგალითად, საერთოდ, არ არის სასიამოვნო ამ ბრძოლაში ყოფნა. სერიოზულ რისკებთან არის დაკავშირებული ეს ბრძოლა, მაგრამ **ალტერნატივა არის დანებება და დანებების ერთადერთი გაგრძელება ეს არის ამ ქვეყნის უკრაინიზაცია.**

***ქართველი მწერალი მერაბ შათირიშვილი ბოლო დროს განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ ახლა საუკეთესო დროა იმისათვის, რათა საქართველომ ამერიკისა და ევროპის საპირწონედ რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა განაახლოს, დიპლომატიური კავშირი აღადგინოს და მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს:***






# მერაბ შათირიშვილი:

# როგორც კი ამერიკა სანქციებს დაგვიწესებს, საქართველოს ხელისუფლებამ მაშინვე რუსეთთან დიალოგი უნდა დაიწყოს!

— ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ქართველები წამებული ერი ვართ. დამპყრობლები და მოძალადეები არასდროს ვყოფილვართ... მხოლოდ თამარის მეფობის უკანასკნელ პერიოდში, 1210-1211 წლებში მოხდა ფაქტი, როცა ქართველებმა სხვისი მიწა, სხვისი ტერიტორია, ამ შემთხვევაში ჩრდილოეთ ირანის პროვინციები დაიკავეს, აიკლეს და თითქმის ავღანეთის საზღვრამდე გავიდნენ. ყველა სხვა შემთხვევაში, მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში, თავს ვიცავდით და ფიზიკური გადარჩენისთვის ვიბრძოდით. **არავის უბედურებით ჩვენ არ გვისარგებლია, არავისთვის არაფერი წაგვირთმევია.** რაც შეეხებათ ანგლოსაქსურ იმპერიებს — დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ფაქტია, რომ **დიდმა ბრიტანეთმა, სადაც კი შევიდა, ინდოეთით დაწყებული, აფრიკის ქვეყნებითა და ავსტრალიით დამთავრებული, ყველგან სისხლის ტბები დააყენა და მოსახლეობა და ქვეყნები პირწმინდად გაძარცვა,** ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები პირდაპირ ინდიელების ძვლებზე აშენდა. ამერიკელები ინდიელი ქალების ბოქვენის ტყავისგან საკვოიაჟებსა და საფულეებს აკეთებდნენ, ინდიელებს ცოცხლად ატყავებდნენ და ინდიელ ბავშვებს გოჭებივით კლავდნენ!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე,

**დროა, ქართველები გამოვიდეთ ცრუ მოლოდინების რეჟიმიდან, თავი გავანებოთ მშვიდობიანი ერების მწამებელი და მწვალებელი კოლონიზატორების გაფეტიშებას და გვახსოვდეს, რომ ეს ხალხები თავიანთ ზნეს არასოდეს მოიშლიან.**

ესენი მიჩვეული არიან სხვა ერებისა და ხალხების ჩაგვრას, წამებას, ძარცვას და სანამ იქნებიან, ასე იცხოვრებენ. სწორედ ამიტომ ვაცხადებ, რომ **საქართველოს არ უნდა ჰქონდეს იმ ამერიკის მხარდაჭერის იმედი, რომელმაც 30 მილიონი ინდიელი გაჟუჟა და რეზერვაციებში გამოამწყვდია!** ბოლოს და ბოლოს, ქართველი ხალხი უნდა მიხვდეს, რომ, სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს!

**— რას გულისხმობთ, საქართველომ ამერიკას ზურგი უნდა აქციოს?**

— საქართველო არის ხეიბარი სახელმწიფო, რომელსაც აფხაზეთი და სამაჩაბლო დაკარგული აქვს. **ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთი ჩვენ არ აღგვიქვამენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და მიგვიჩნევენ თავიანთ კოლონიად.** საქართველოს ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ ვერც ნატო, ვერც ევროკავშირი და ვერც ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ვერ დაუბრუნებენ. თავის მხრივ, იარაღის ძალით ვერც საქართველო შეძლებს ამ ტერიტორიების დაბრუნებას და რუსის ჯარის დამარცხებას. აქედან გამომდინარე, **მაშინ, როცა ამერიკა და ევროკავშირი სანქციებით გვემუქრებიან და, ფაქტობრივად, გვსჯიან იმის გამო, რომ უკრაინის ომში რუსეთის წინააღმდეგ არ ჩავებით, გვრჩება ერთადერთი გზა — მივმართოთ ჩვენი წინაპრების მიერ მრავალგზის აპრობირებულ ე.წ. „ბალანსის პოლიტიკას“!**

ჩვენი წინაპრები თურქული აგრესიის შესაკავებლად ირანს შეეკვრებოდნენ, ხოლო ყიზილბაშური ირანის გასანეიტრალებლად — თურქეთთან კავშირს ირჩევდნენ. სწორედ **„ბალანსის პოლიტიკამ“** მიიყვანა საქართველო რუსეთის კარზე და ასე გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატი. **ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, რაშიც შეერთებული შტატების წვლილი ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველომ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, როცა რუსეთის საპირწონედ შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ქვეყნების გამოყენება სცადა. ეს იყო მცდარი გზა!**

**— რატომ იყო მცდარი გზა?**

— მცდარი გზა იმიტომ იყო, რომ **ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ ამერიკელებისა და ევროპელი იმპერიალისტების მტაცებლური ბუნება და დავიჯერეთ, რომ მწამებლები სახელმწიფოს გაძლიერებასა და დაკარგული მიწების დაბრუნებაში დაგვეხმარებოდნენ.** სინამდვილეში ამერიკისა და ევროკავშირის ინტერესებში საქართველოს გაძლიერება და სუვერენიტეტი კი არა, ჩვენი დაკაბალება და კოლონიურ ან ნახევრად კოლონიურ დამოკიდებულებაში ჩაგდება შედის. საქართველო უნდა იყოს მათი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი, მათი მონა-მორჩილი. ყველაზე ცუდი და ამაზრზენი, იცით, რა არის? **ევროპელებმა და ამერიკელებმა იციან, რომ ჩვენ ისინი რუსეთის საპირწონედ ავირჩიეთ, რათა ამოგვესუნთქა, მაგრამ ისარგებლეს ჩვენი უმწეო მდგომარეობით და დაგვიმონეს!** დღეს საქართველოს ხელისუფლება სწორედ ამ მონობის უღლის გადასაგდებად იბრძვის და სწორედ იმიტომაც აწყდება ამდენ წინააღმდეგობას.

**ევროპელმა და ამერიკელმა მოკავშირეებმა არათუ აფხაზეთი და სამაჩაბლო ვერ დაგვიბრუნეს, არამედ პირიქით, ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის რღვევა დაიწყეს!**

**— რას გვთავაზობთ?**

— ახლა საქართველომ ამერიკისა და ევროპის საპირწონედ რუსეთთან უნდა განაახლოს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა, აღადგინოს დიპლომატიური კავშირი და გახსნას მოლაპარაკების მაგიდა! **შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩვენი გულისთვის ვინმე ვინმეს დაუპირისპირდება, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობა უნდა დაიწყოს!**

**— ბლინკენმა ქართველ კანონმდებლებს სანქციები უკვე დაუანონსა. როგორ ფიქ-**

# „ამერიკელები ინდიელი ქალების ბოქვენის ტყავისგან საკვოიაჟებსა და საფულეებს აკეთებდნენ, ინდიელებს ცოცხლად ატყავებდნენ და ინდიელ ბავშვებს გოჭებივით კლავდნენ!“

## კვირგვინოსნები

**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



ახლა ვის დააჯერებ, რომ **„ფეესბეს“ ოფიცერი სააკაშვილი** ნამდვილად ებრძოდა რუსეთს საქართველოში. **მოსკოვის დიპლომატიური სასწავლებლების კურსდამთავრებულებით არის სავსე ოპოზიციური სპექტრი.** შესაბამისად, დასავლეთი მათგან პოლიტიკური სპექტრის გასუფთავებას ისევე გეგმავს, როგორც პოლონეთში მოხდა თავის დროზე. სინამდვილეში, **ოპოზიციაში მყოფ ზოგიერთ პოლიტიკოსს ისევე არ უნდა დასავლეთში ინტეგრაცია, როგორც ხელისუფლებაში მყოფ რუსეთუმეებს.**

„კვირის პალიტრა“

**ლევან ალაფიშვილი**
*ექსპერტი, იურისტი*



პრეზიდენტს შეეძლო, **ვენეციის კომისიის შენიშვნები აესახა ახალ კანონპროექტში** — ეს იქნებოდა ყველაზე სწორი გზა.

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ კანონის შესახებ **ვენეციის კომისიის შენიშვნებს მიიღებენ,** ამით კი კომპრომისზე წასვლის განწყობას დააფიქსირებენ. **„ოცნებას“ სურს ევროკავშირთან ინტეგრირება, ოღონდ თავისი პირობებით და ახლა ამაზე ვაჭრობს. ეს კანონიც ამის მიმანიშნებელია.**

„კვირის პალიტრა“

**ბიძინა ლებანიძე**
*იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის მკვლევარი*



აშშ-საც და ევროკავშირსაც აქვთ იმედი, რომ **საქართველოში ამ კრიზისს როგორმე მოაგვარებენ.** შეიძლება, წავიდნენ იმ დათმობაზე, რომ **ეს კანონი ისე შერბილდეს, დიდად არ დააზიანოს საქართველოს დემოკრატიული განვითარება.** ჯერ კიდევ აქვთ იმედი დასავლეთში, რომ შეიძლება ამ სიტუაციიდან ისე გამოსვლა, რომ **საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობა ძალიან არ დაზარალდეს.**

„კვირის პალიტრა“




„ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთი ჩვენ არ ალგვიქვამენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და მიგვიჩნევენ თავიანთ კოლონიად!“

# „საქართველოს არ უნდა ჰქონდეს იმ ამერიკის მხარდაჭერის იმედი, რომელმაც 30 მილიონი ინდიელი გაჟუჟა და რეზერვაციებში გამოამწყვდია!“

**როზთ, სანქციები ნამდვილად იქნება?**

— **როგორც კი ამერიკა სანქციებს დაგვიწესებს, საქართველოს ხელისუფლებამ მაშინვე რუსეთთან დიალოგი უნდა დაიწყოს!** პარალელურად სავაჭრო ურთიერთობა უნდა გავაძლიეროთ ჩინეთთან და არაბულ ქვეყნებთან.

**— მერედა, ამერიკა, რომელსაც საქართველოში ასეთი ძლიერი „მეხუთე კოლონა“ ჰყავს, ამას შეეგუება?**

— 17 მაისმა დაამტკიცა, რომ ერის გადარჩენის სადავეები ხელში ეკლესიამ აიღო! აქედან გამომდინარე, მაგათი „მეხუთე კოლონა“ ვერაფერს იზამს და ყველას, ვინც საქართველოში უბედურების დატრიალებას შეეცდება, ღვთის რისხვა დაატყდება თავს!

**— ისეც ხომ არ ხდება, რომ ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაცია თავისი განცხადებებით და ქმედებით, როცა საქართველოში ხელისუფლების დამხობას აფინანსებს, თბილისში რუსის ჯარს ეპატიჟება? რუსები და ამერიკელები გარიგებული ხომ არ არიან?**

— **რუსებსა და ამერიკელებს ერთმანეთთან გარიგება არ უჭირთ. ასე გარიგდნენ ისინი იალტასა და პოტსდამში. აშკარა გარიგება ჰქონდა ადგილი 90-იან წლებშიც, როცა ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას რუსებიც და ამერიკელებიც ერთნაირი გაალმასებით ებრძოდნენ** — ამერიკელები — იდეურად, ხოლო რუსები — ტანკით! რუსი რომ თბილისში შემოვიდეს, ამერიკა ამით რას მოიგებს?!

**— მაშ, რა ხდება, რა უნდათ ჩვენგან, რას გვერჩიან?**

— იმას გვერჩიან, რომ **ამერიკელების კოლონია საქართველომ** უარი თქვა, მონაწილეობა მიიღოს უკრაინის სასაკლაოში, რომელიც სწორედ ამერიკელებმა და ევროპელებმა მოაწყვეს. უკრაინის განადგურების გამო სწორედ ამერიკელებსა და ევროპელებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა. ეს მათ ძალიან კარგად იციან და ისე არიან გაბოროტებული, ცდილობენ, საქართველო და ყველა ის ქვეყანა, რომელიც მათ ეურჩება, უკრაინის ჯოჯოხეთში შეტენონ! **დღევანდელი ხელისუფლება ხალხის ნების წინააღმდეგ არ მიდის და უკრაინის ომში არ ერთვება, რაც ამერიკელებისთვის საკმარისზე მეტია მიზეზია იმისათვის, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად ყველაფერი გააკეთონ და დაგვისვან ისეთი მარიონეტი, რომელიც ქვეყანას უკრაინის ომში ჩართავს.** ეს იქნება საქართველოს დაღუპვა, რასაც, სხვათაშორის, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა კარგად აცნობიერებს.

**— მერედა, გამოუვათ?**

— არ გამოუვათ, გადატრიალება ვერ მოხდება!

**— ოლივერ ვარჰეიმ ირაკლი კობახიძეს სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის რობერტ ფიცოს ბედის გაზიარების შესახებ მიანიშნა, რაც ნებისმიერ შემთხვევაში მუქარაა. ე.ი. რა გამოდის, ფიცოს ამერიკელებმა ესროლეს?**

**– ვერ დავიჯერებ, ამერიკის სპეცსამსახურებმა არ იცოდნენ, რომ რობერტ ფიცოზე თავდასხმა იგეგმებოდა!**

რაც დღეს ხდება, ეს დემოკრატია კი არა, საზიზღრობაა. ხელისუფლებამ იცის, „მეხუთე კოლონა“ ყველაფერზე რომ არის წამსვლელი და ფრთხილობს, თორემ რუსეთის მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა უკვე აუცილებელია. **ჩვენი კურსი უნდა იყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რაც რუსეთთან ურთიერთობისა და მოლაპარაკების დაწყების გარეშე წარმოუდგენელია!** ჩვენ იმიტომ ვისჯებით, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად დღემდე არავითარი ნაბიჯი არ გადავდგით. გადავდგათ ეს ნაბიჯი და ნახავთ, საქართველოს რა ფასი დაედება!

**— ბოლოს და ბოლოს, ვინ არის სალომე ზურაბიშვილი?**

— **სალომე ზურაბიშვილი არის პროფესიონალი მოღალატე და აგენტი, რომელსაც ამ ბოლო დროს კლიმაქსიც უტევს.** ზურაბიშვილს თავი მართლა „ლიდერი“ ჰგონია და დარწმუნებული ვარ, საკაშვილს მხოლოდ იმიტომ არ იწყალებს, რომ ეშინია, მიშამ „ლიდერობა“ არ წაართვას!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „სალომე ზურაბიშვილი არის პროფესიონალი მოღალატე და აგენტი, რომელსაც ამ ბოლო დროს კლიმაქსიც უტევს!“

## კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ანალიტიკოსი*



**„გლობალურმა ომის პარტიამ“,** თუ ამის თავი აქვს, **ე.წ. მეორე ფრონტის გახსნაზე ზეწოლა მოახდინოს პოლონეთზე, ნორვეგიაზე, ფინეთზე, ბალტიის ქვეყნებზე** და შეეშვან სუვერენულ საქართველოს!

„იმედინიუსი“

**ლევან ბერძენიშვილი**
*პოლიტოლოგი*



საქართველოს სჯიან იმის გამო, რომ მან **უარი განაცხადა თვითგანადგურებასა და თვითმკვლელობაზე.** ამის დასტურია ის, რომ **ვენეციის კომისიამ** სამართლებრივი შენიშვნები კი არ გააკეთა, არამედ **პირდაპირ პოლიტიკური განცხადება გამოგვიგზავნა.**

„იმედინიუსი“

**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*



ხელისუფლებისთვის დღეს ერთადერთი შანსი ოპოზიციაა. **ოპოზიცია საზოგადოებას არაფერს სთავაზობს,** გარდა იმისა, ესენი გავუშვათ და მე კარგად მოვიქცევიო.

„კვირის პალიტრა“

**მაია ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



ყველამ ვიცით, რომ, **მინიმუმ, 10 წლით რევოლუციას უკან მიჰყავს საქართველო,** ზოგჯერ მეტითაც, ამ სცენარის განმეორება არცერთ ოდნავ მაინც მოაზროვნე ადამიანს არ უნდა.

„TV იმედი“

# არის ასეთი

*— ჩვენ გვაქვს იმედი და ოპტიმიზმის სერიოზული საფუძველი, რომ მოხდება ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დეოლიგარქიზაცია. დღეს ამ კუთხით სერიოზული პრობლემებია და ქვეყნების სუვერენიტეტი არის სერიოზული ზეწოლის ქვეშ. იმედი გვაქვს, უახლოეს წლებში ევროკავშირი მოახერხებს გათავისუფლებას ამ მავნე გავლენებისგან და მოხდება ევროკავშირისა და აშშ-ის დეოლიგარქიზაცია, —* ***განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გასულ კვირას საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მიცემულ ინტერვიუში.***




## გლობალური ომის პარტია საფრთხეს არამარტო საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს უქადის და მისგან თავის დაღწევა მხოლოდ ევროკავშირისა და ამერიკის დეოლიგარქიზაციით არის შესაძლებელი!

**ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დეოლიგარქიზაცია!**

ეს სიტყვები, რბილად რომ ვთქვათ, არაორდინარულად ჟღერს, თანაც, იმ ქვეყნის პრემიერ-მინისტრისაგან, რომელსაც ევროკავშირელი პარლამენტარებისა და ამერიკელი კონგრესმენების ერთი ნაწილი დღენიადაგ უკიჟინებს **„დეოლიგარქიზაციას“**, ანუ **„დე-ბი-ძი-ნი-ზა-ციას“,** როგორც ერთხელ ენის ბორძიკით დამარცვლა ბალტიისპირელმა ევროდეპუტატმა **რასა იუკნევიჩიენემ.**

რაკი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ამბობს — **ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დეოლიგარქიზაცია უნდა მოხდესო** — ეს თავისთავად ნიშნავს იმის თქმას, რომ ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს დღეს ოლიგარქები მართავენ.

თავისთავად ცხადია ისიც, რომ **ევროკავშირისა და აშშ-ის მმართველ ოლიგარქატში** ამერიკისა და ევროკავშირის ქვეყნების ოფიციალური ხელისუფლებები კი არა, ე.წ. **ჩრდილოვანი მმართველები** იგულისხმებიან — ისინი, ვინც პოლიტიკურ ავანსცენაზე არ ჩანან, მაგრამ უზარმაზარი ძალაუფლება უპყრიათ და პოლიტიკური კულისებიდან განაგებენ მთელ მსოფლიოს.

ეს არის სწორედ **გლობალური ომის პარტია!**

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან მუდმივად გვესმის:

**გლობალური ომის პარტია** საქართველოს ომში ჩათრევას ცდილობს!

**გლობალური ომის პარტიის** ინტერესია საქართველოს უკრაინიზაცია!

**გლობალური ომის პარტია** საქართველოს სუვერენიტეტს ემუქრება!

**გლობალური ომის პარტია** საქართველოში ე.წ. ფერადი რევოლუციის მოწყობას ცდილობს!

როცა მედიის წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკითხებიან — **„მაინც ვის გულისხმობთ გლობალურ ომის პარტიაში?“** — ისინი პასუხობენ, რომ ვერ დააკონკრეტებენ და ყველაფერს ვერ გაშიფრავენ, რადგან ეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას დააზიანებს.

სამაგიეროდ, **გლობალური ომის პარტიის,** ანუ მსოფლიოს ჩრდილოვანი მმართველების შესახებ ღიად საუბრობენ ცალკეული ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები, ექსპერტები და ჟურნალისტები, რომლებიც რამდენიმე უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კომპანიაზე აკეთებენ აქცენტს. ძირითადად, საუბარია ოლიგარქიული კლანების მფლობელობაში მყოფ გიგანტურ კომპანიებზე — **„ბლექროკზე“, „ვენგარდზე“, „სთეით სთრითსა“** და **„ფიდელიტზე“,** რომლებიც აშშ-ისა და ევროკავშირის ოფიციალურ სტრუქტურებს თითქმის სრულად აკონტროლებენ.

**„ბლექროკი“ და „ვენგარდი“,** რომელთა ფინანსური აქტივების ღირებულება რამდენიმე ათეულ ტრილიონ აშშ დოლარს აღემატება, მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილი კომპანიების — **„გუგლის“, „ეფლის“, „მაიკროსოფტის“, „ამაზონისა“** და **„ფეისბუქის“** უმსხვილესი აქციონერები არიან. ისინი მსოფლიო მასშტაბით აკონტროლებენ სამხედრო მრეწველობას, საბანკო სისტემას, ფარმაცევტულ და სატრანსპორტო ბიზნესს და მსხვილ მედიაკორპორაციებს, რომლებსაც პოლიტიკური და იდეოლოგიური გავლენების ინსტრუმენტად იყენებენ.

აი, რას აცხადებს ფრანგი გამომძიებელი ჟურნალისტი და პროფესორი **ქარელ ვერესკენი** კომპანია **„ბლექროკის“** შესახებ:

*„ბლექროკს“ ოთხი წლის წინათ გადავეყარე, როცა* ***პრეზიდენტმა მაკრონმა*** *მის დამფუძნებელ* ***ლარი ფინქს*** *პარიზში, თავის სასახლეში, წითელი ხალიჩა გაუშალა შეხვედრაზე, რომელსაც ყველა მინისტრი ესწრებოდა, ეს კი ძალიან უცნაურია. როგორც შემდეგ გავარკვიე, „ბლექროკი“ ჩრდილოვანი გლობალური მთავრობაა, რომელიც ბირჟებზე კომპანიების 80 პროცენტს აკონტროლებს“.*

იმავე **ქარელ ვერესკენის** განცხადებით:

*„ბლექროკის“ წარმომადგენელი* ***ერიკ ვან ნორსთრუმი*** *ბაიდენის მთავარი მრჩეველია რუსეთისა და უკრაინის საკითხებში, ხოლო* ***მაიკლ ფაილი*** *— ასევე „ბლექროკიდან“, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტს აძლევს რჩევებს. აშკარაა, რომ „ბლექროკს“ ხელში ჰყავს ამერიკის მთავრობა“.*

„ბლექროკის“ ოლიგარქატი ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ეკონომიკას თითქმის სრულად რომ აკონტროლებს, ამის შესახებ ამერიკელი სენატორი **ბერნი სანდერსიც** საუბრობს:

*„ბლექროკი“ და მისი კომპანიები —* ***„ვენგარდი“ და „სთეით სთრითი“*** *ჯამში 22 ტრილიონი დოლარის აქტივებს, ანუ ამერიკის მთლიან შიდა პროდუქტს აკონტროლებენ“.*

მაშ, რა კავშირი აქვთ **„ბლექროკისა“** და მასთან დაკავშირებული გლობალური კომპანიების მმართველ ოლიგარქიულ კლანებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ომების გაჩაღებასთან, ანუ რატომ უნდა მოვიაზროთ ისინი **გლობალურ ომის პარტიად?**

საქმე ის არის, რომ **„ბლექროკი“** აქტივებს ფლობს იარაღის მწარმოებელ და იარაღით მოვაჭრე უმსხვილეს კომპანიებში, რომელთათვისაც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ყოველი ახალი ომის კერა პირდაპირ ნიშნავს ახალი ტრილიონების მოქაფვასა და კიდევ უფრო გამდიდრებას. მაგალითისთვის, **„ბლექროკი“** გახლავთ კომპანია **„ლოქჰიდ მარტინ კორპორეიშენის“** აქციონერი, რომელიც „ჯაველინის“ ტანკსაწინააღმდეგო სისტემებს აწარმოებს. სწორედ ეს კომპანიაა ერთ-ერთი, რომლის მეშვეობითაც **„ბლექროკი“** იარაღს ყიდის საუდის არაბეთში, იემენში, ერაყში, ავღანეთსა და, რაღა თქმა უნდა, უკრაინაში.

თუმცა, გლობალური ომის პარტია, ანუ „ბლექროკი“ და მისი მსგავსი ოლიგარქატი სარგებელს არამხოლოდ საომარ, არამედ პოსტსაომარ ვითარებაშიც ნახულობს, რადგან ომით განადგურებულ ქვეყნებში ფინანსურ ინტერვენციას ახორციელებს და მათ ეკონომიკებს ეპატრონე-

## პატარა საქართველომ გაბედა და ამ პარტიას დაუპირისპირდა!

### კვირგვინოსნები

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



**საკუთარი ქვეყნის ამოსაგდებად უცხოეთში დაძრწიან, იქაურ ფადიშაჰებს ფეხქვეშ უვარდებიან** და ყოველგვარი მანქანებით რისხვის მოწევას ცდილობენ. **მოღალატეები ჩვენს ქვეყანას ყველა დროში ჰყავდა, მაგრამ ასეთი მრავალრიცხოვანი მოღალატე ისტორიას არ ახსოვს.** რაღაც განსაკუთრებულ ეპოქაში ვართ და განსაკუთრებული მისია გვაკისრია. **309 ქართული სირცხვილი,** რომელიც აღწერა და შეაჯამა მამამ — **ლევან სანიკიძემ,** ბედის ირონიით გამგრძელებელი და **310-ე მოქმედი პირი შვილი** — **გუბაზ სანიკიძე** გახდა კოლექტიურ გუბაზებთან ერთად.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გუბაზ სანიკიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ახალგაზრდების ტაშისცემა არ ისმის, **როცა პოლიტიკოსები გამოჩნდებიან.** რაღაც დასკვნები გამოვიტანოთ, ხალხნო.

„რეზონანსი“

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



**12 წლის განმავლობაში სად დაიღუპა საქართველო?** გაიხსენეთ, მანამდე რა ხდებოდა, **ეს ადამიანები ხელისუფლებაში რომ დაბრუნდნენ, სკამების გამოგლეჯაში ერთმანეთს ყელს გამოჭამენ.**

„ახალი თაობა“

**მაია ბითაძე**
*პარლამენტარი*



ყოველდღე ვფიქრობ, **სადამდე მივა ოპოზიციონერი ქალი დეპუტატების, აქტივის, ჟურნალისტების ზიზღი და აგრესია** — სავარაუდოდ, საკონცენტრაციო ბანაკებსაც შექმნიდნენ სიამოვნებით.

„ინტერპრესნიუსი“

# პარტია!








## ბარაქალა მარიამ ლაშხს – ახალგაზრდა ქართველ პოლიტიკოსს, ქალსა და დედას, რომელმაც გლობალურ ომის პარტიას ყველაზე ზუსტი შეფასება მისცა, როცა იგი მასონებს შეადარა!

ბა. მაგალითად, იგივე **„ბლექროკმა“,** როგორც იარაღის მწარმოებელმა და დისტრიბუტორმა, უკრაინის ომის წყალობით უკვე მოიხვეჭა ათეულობით მილიარდი დოლარი, ომის დასრულების შემდეგ კი პასუხისმგებლობას იღებს უკრაინის ეკონომიკის აღდგენაზე, რის შესახებაც ზელენსკის ხელისუფლებასთან ხელშეკრულება გააფორმა.

„ბლექროკის“ პრეზიდენტი **ლარი ფინქსი** აცხადებს:

***„ვფიქრობ, უკრაინის აღსადგენად 750 მილიარდი დოლარი იქნება საჭირო. პრეზიდენტ ზელენსკის ვუთხარი, რომ ფულის ნაწილი ევროპისა და ამერიკის სახელმწიფო სააგენტოებიდან, ასევე კერძო ინვესტორებისგან წამოვა. ჩემი კომპანია, ასევე „გოლდმან საქსი“ და სხვებიც, ვისაც კაპიტალიზმის სჯერა, უკრაინაში ფულს ჩადებენ. რა თქმა უნდა, ეს ქველმოქმედება არ იქნება, მაგრამ სამუშაოებზე უკრაინელებს დავიქირავებთ“.***

ვფიქრობთ, ყველაფერი მარტივად გასაგებია: **გლობალური ომის პარტია,** ანუ მსოფლიოს კულისებიდან მმართველი ოლიგარქატი ახლა იმით მდიდრდება, რომ რუსეთს უკრაინის ტერიტორიაზე უკრაინელების სიცოცხლის ხარჯზე ეომება, ომის დასრულების შემდეგ კი იმავე ომში ნაშოვნი მილიარდებით მთლიანად დაეპატრონება უკრაინის ტერიტორიის, სასარგებლო წიაღისეულისა და, ზოგადად, უკრაინული ეკონომიკის იმ ნაწილს, რომელიც რუსეთის გავლენის ზონის მიღმა დარჩება.

ასე მუშაობს **გლობალური ომის პარტია!**

ამას ნიშნავს **გლობალური ომის პარტია!**

ამიტომ სურს **გლობალური ომის პარტიას** საქართველოს უკრაინიზაცია!

ამიტომ ცდილობს **გლობალური ომის პარტია** საქართველოში ხელისუფლების დამხობასა და ძალაუფლების გადაცემას საკუთარი მარიონეტებისათვის, რომლებიც დაუყოვნებლივ გახსნიან რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტს და ქვეყანას ომის ცეცხლში გახვევენ ისევე, როგორც 2008 წლის აგვისტოში გააკეთეს.

ასე რომ, კოლექტიური ნაცმოძრაობა და მისი პროპაგანდისტული ქვედანაყოფები სულ ტყუილად ცდილობენ, **გლობალური ომის პარტიის** შესახებ საქართველოს ხელისუფალთა განცხადებები „შავრაზმულ კონსპიროლოგიად“ და „შეთქმულების თეორიად“ მონათლონ.

იმავე **კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ, მისმა პროპაგანდისტულმა ქვედანაყოფებმა და სოციალურ ქსელებში მობილიზებულმა ტროლ-ბოტებმა** სულ ტყუილად გაიხადეს ე.წ. ბულინგისა და დაცინვის ობიექტად საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი **მარიამ ლაშხი,** რომელმაც უცხოურ მედიასთან ინტერვიუში გლობალური ომის პარტია მასონებს შეადარა.

კერძოდ, ერთ-ერთი ბრიტანული პოდკასტის წამყვანმა **ლუის გუდალმა** „ქართული ოცნების“ წევრ **მარიამ ლაშხს** ინტერვიუს დროს ჰკითხა:

**— თქვენმა პრემიერ-მინისტრმა გლობალურ ომის პარტიაზე ისაუბრა. რა არის გლობალური ომის პარტია?**

— გჯერათ მასონების, თავისუფალი მასონების? იმათი, ვისზეც ათწლეულების განმავლობაში გვესმოდა და ვხედავდით, რომ მსოფლიო პოლიტიკასა და ყველაფერზე აქვთ გავლენა.

— რას აკეთებენ თავისუფალი მასონები? თქვენი აზრით ისინი გლობალური ომით მანიპულირებენ? — **კვლავ ჩაეკითხა ბრიტანელი ჟურნალისტი ქართველ დეპუტატს.**

— უბრალოდ, მათ ვადარებ თავისუფალ მასონებს, რომელიც რაღაც ცალკე მდგომი ძალაა. მასონები, რომლებსაც გავლენა აქვთ და, ხომ ვაღიარებთ, რომ მათ აქვთ გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე, ამის მსგავსი ძალაა გლობალური ომის პარტია. — უპასუხა **მარიამ ლაშხმა.**

ქართველ დეპუტატს ამის გამო დასცინეს, ფსიქოლოგიური ტერორი მოუწყვეს, შერცხვენა და მორალურ წნეხში გატარება მოუნდომეს, რაც არახალი ხერხია იმ ადამიანების გასაჩუმებლად, რომლებიც მასონური მოძრაობისა თუ საიდუმლო მსოფლიო მთავრობის ტაბუდადებულ თემებს ეხებიან და ამით საფრთხეს უქმნიან იმათ, ვინც თავად წარმოადგენენ საფრთხეს მთელი კაცობრიობისათვის.

**ბარაქალა მარიამ ლაშხს — ახალგაზრდა ქართველ პოლიტიკოსს, ქალსა და დედას, რომელმაც გლობალურ ომის პარტიას ყველაზე ზუსტი შეფასება მისცა, როცა იგი მასონებს შეადარა!**

საერთოდ, მასონების, გლობალური ომის პარტიისა თუ მსოფლიოს ჩრდილოვანი მმართველების არსებობას შეიძლება, მხოლოდ ორი კატეგორიის ხალხი არ აღიარებდეს — ის, ვინც წერა-კითხვასთან მწყრალად არის და ის, ვინც თავად წარმოადგენს მსოფლიოს ფარული ოლიგარქატის პაიკს!

დღეს გლობალური ომის პარტია საფრთხეს უქადის არამარტო საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს და ამ საფრთხისგან თავის დაღწევა მხოლოდ **ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დეოლიგარქიზაციით** არის შესაძლებელი, როგორც განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ,** რომელსაც იგივე გლობალური ომის პარტია, ევროკომისარ **ოლივერ ვარჰეის** პირით, სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ **რობერტ ფიცოს** ბედის გაზიარებით, ანუ ტერორისტული თავდასხმითა და ტყვიის სროლით ემუქრება.

1917 წელს, როცა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობაზე მენშევიკმა **კაკი წერეთელმა** თქვა — **დღეს რუსეთში არ არის პარტია, რომელიც ძალაუფლებას ხელში აიღებსო,** ვლადიმერ ლენინმა მაშინვე შესძახა — **„არის ასეთი პარტია!“**

დღეს თუ ვინმეს კიდევ დარჩა კითხვა — არსებობს თუ არა გლობალური ომის პარტია? — ამ კითხვაზე ერთადერთი სწორი პასუხია — **არის ასეთი პარტია!**

პატარა საქართველომ გაბედა და ამ პარტიას დაუპირისპირდა!

იმედია, ამას საქართველოზე გაცილებით ძლიერი ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატებიც გაბედავენ!

**ჯაბა ხუბუა**

## ასე მუშაობს და ამას ნიშნავს გლობალური ომის პარტია!

## კვირგვინოსნები

**სანდრო ბრეგაძე**
*„ქართული მარშის“ ლიდერი*



ამ ქვეყანაში **ცვლილებები აუცილებელია,** მაგრამ არ უნდა მოხდეს მათი ჩანაცვლება **„კოლექტიური ლაზარეებით“ — სააკაშვილი, ბოკერია, „ბირჩი-მირჩი“, უგულავა, მევახშე ხაზარაძე, ორი ნიკა...** ამ ხალხს ვგულისხმობ. ესენი ცდილობენ, ხალხის გულწრფელი პროტესტი გამოიყენონ საიმისოდ, რომ თავად მოვიდნენ ხელისუფლებაში. **ესენი თუ მოვიდნენ ხელისუფლებაში, ძალიან რთული პროცესების მომსწრეები გავხდებით.** შემიძლია გითხრათ, რომ **რუსები ამ ხელისუფლებას არ დაიცავენ,** რადგან თავად რუსების ინტერესებშია დღეს ამ ხელისუფლების ცვლილება.

„ალია“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ექსპერტი*



გულუბრყვილო ვინმე თუ იფიქრებდა, რომ **ვენეციის კომისიის დასკვნა** ოდნავ მაინც განსხვავებული იქნებოდა ევროსტრუქტურების მიერ ერთ ხმაში გაჟღერებული პოზიციისგან — **მართლდება ცნობილი ანდაზა, რომ ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს.**

„იმედინიუსი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი*



ჩვენ გვიყურებენ, როგორც **მეორად ქვეყანას** და გვექცევიან შესაფერისად, არადა, ჰქვიათ პარტნიორები. **იარაღის მოწოდებას და „ჭკვიანად მოქცევის“ შემთხვევაში** აშშ-ის ვიზების ლიბერალიზაციის დაპირებას **ქუჩის წახალისების სუნი უფრო უდის,** ვიდრე საქართველოს მიმართ კეთილგანწყობის.

„იმედინიუსი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



რთულია, მაგრამ **არჩევნებამდე როგორმე მშვიდობიანად უნდა მივიდეთ.**

„კვირის პალიტრა“

# ეს უკვე მეტისმეტიც აღარ არის!




## გერმანიის ბუნდესტაგში ბავშვთა პორნოგრაფიის დეკრიმინალიზაციას ითხოვენ!

***წინა კვირას გერმანიის ბუნდესტაგში შეიტანეს კანონპროექტი, რომლის თანახმადაც ქვეყანაში ბავშვთა პორნოგრაფია დაშვებული და დეკრიმინალიზებული უნდა გახდეს!***

კანონპროექტის მიხედვით, პატარების გარყვნა და ბავშვთა პორნოგრაფიის ამსახველი ფილმების, ფოტოსურათებისა და ვიდეორგოლების გავრცელება არა **სისხლის სამართლის დანაშაულად,** არამედ **„გადაცდომად“** უნდა ჩაითვალოს. ბინძურ ინიციატივას ბუნდესტაგში ჯერჯერობით კომიტეტის დონეზე განიხილავენ... **თუ კომიტეტმა კანონპროექტს მხარი დაუჭირა, მაშინ ბუნდესტაგს მოუწევს, გარყვნილ ნოუ ჰაუს კენჭი უყაროს...** ხოლო გერმანიის ბუნდესტაგში, სადაც არაერთი ჰომოსექსუალი და აყროლებული კონჩიტა ლაპარაკობს გუთენბერგის, გოეთეს, შილერის, ბეთჰოვენისა და თომას მანის მშობელი ერის სახელით, რა მოხდება და კენჭისყრა რა შედეგით დასრულდება, ეშმაკმა უწყის!

საისტორიო ბედისწერამ გერმანიას ისე მწარედ დასცინა, რომ რომაელებთან მებრძოლი მამაცი და გაუტეხელი ალემანების, შვაბების, გოთების, მარკომანების, ტევტონების, გმირთაგმირი კარლოს დიდის, გენიალური კარლ ფონ კლაუზევიცის, პოლიტიკის ჯადოქარ ოტო ფონ ბისმარკისა და ომის ღმერთ ერიხ ფონ მანშტაიმის სამშობლოს დიადი ისტორია თომას ნოივირთის, ანუ იმავე კონჩიტა ვურსთის მაქმანიან ნიფხავთან გაჩერდა...

1815 წლის 18 ივნისს ბელგიაში, ვატერლოოსთან, ინგლისელ ჰერცოგ უელინგტონს გერმანელი გენერალ-ფელდმარშალი **გებჰარდ ლებერეხტ ფონ ბლიუხერი** რომ არ დახმარებოდა, ხოლო ფრანგ მარშალ **ემანუელ დე ბრუშის** საფრანგეთის დღევანდელ პრეზიდენტ **ემანუელ მაკრონიზე** ოდნავ მეტი ტვინი ჰქონოდა, ბრიტანელები ნაპოლეონს ფეხებს მოსჭამდნენ და ევროპის ბედი სულ სხვა გზით წარიმართებოდა.

1821 წლის 5 მაისს, როცა ინგლისელებმა ნაპოლეონი მოწამლეს და მოკლეს, ერთმა დიდმა კაცმა თქვა — **ევროპაში დამთავრდა გმირების ეპოქა და დაიწყო ვირთხებისა და ვაჭრების ხანა!**

ზუსტად იგივე დაემართა ევროპას **შარლ დე გოლის** პოლიტიკური არენიდან წასვლის შემდეგ, რომელიც ვიდრე ცოცხალი იყო, დიდ ბრიტანეთს ევროკავშირს არ აკარებდა, რადგან **ინგლისელებს ამერიკელების „ტროას ცხენად“ მიიჩნევდა.** მას შემდეგ, რაც **დე გოლი** ფრანგებმა ამერიკის სპეცსამსახურების წაქეზებით დაამხეს, ევროპაში **მიხაელ როთის** მსგავსი კონჩიტებისა და **ოლივერ ვარჰეის** დარი პოლიტიკური ვირთხების დრო დადგა...

როგორც ჩანს, მიზეზშედეგობრივი კავშირი ყველგან და ყველაფერში უნდა ვეძებოთ. აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, ბავშვთა პორნოგრაფიის დეკრიმინალიზაციის შესახებ კანონი იმ ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღოს, რომლის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, გათხოვილი კაცი **მიხაელ როთი** თბილისში ოპოზიციის მიტინგზე სააკაშვილის ხარჭებთან თუ ხადუმებთან ერთად ვარდებით ხელში კუნტრუშობდა და მართლმადიდებლობას აგინებდა?

**როგორც ჩანს, სოდომიამ და გარყვნილებამ ბოლომდე უნდა წალეკოს და შთანთქას ოდესღაც დიადი გერმანია, რომლის სახელოვანი შვილებიც მთელ ევროპას საუკეთესო ფილოსოფოსებით, მუსიკოსებით, საჭურვლის ოსტატებით, მწიგნობრებით, რეფორმატორებითა და მინისტრებით ამარაგებდნენ.** ბუნდესტაგში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **მიხაელ როთის** მსგავსი კონჩიტა რომ გეყოლება, რომელიც 2012 წლის 24 აგვისტოს როტენბურგში **მიხაელ კლოპნერზე** გათხოვდა, ბუნებრივია, იმის ალბათობაც დიდზე დიდია, რომ გერმანული პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე გათხოვილი კაცი თუ არა, ცოლიანი ქალი ან ვიღაც საშუალო სქესის წარმომადგენელი იქნება, რომელიც გერმანიაში ბავშვთა პორნოგრაფიის დაკანონებას მწვანე შუქს აუნთებს.

ამრიგად, **მოლოდინი იმისა,**






კარლოს დიდი, კარლ ფონ კლაუზევიცი, ოტო ფონ ბისმარკი, ერიხ ფონ მანშტაიმი

**საისტორიო ბედისწერამ გერმანიას ისე მწარედ დასცინა, რომ ტევტონების, გმირთაგმირი კარლოს დიდის, გენიალური კარლ ფონ კლაუზევიცის, პოლიტიკის ჯადოქარ ოტო ფონ ბისმარკისა და ომის ღმერთ ერიხ ფონ მანშტაიმის სამშობლოს დიადი ისტორია თომას ნოივირთის, ანუ იმავე კონჩიტა ვურსთის მაქმანიან ნიფხავთან გაჩერდა...**

## კვირგვინოსნები

**ბალაჟ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური მრჩეველი*



**სუვერენიტეტის დაცვა** არასასურველი უცხოური ჩარევისგან საფრთხეს კი არ წარმოადგენს, არამედ **დემოკრატიის აუცილებელი პირობაა** — ამაზეა საუბარი კანონში, რომელიც კი არ უნდა დაგმო, არამედ **ევროკავშირმაც უნდა გადმოიღოს მაგალითი.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ვალერი გელბახიანი**
*ჟურნალისტი*



წინ გველის **უვადო დიქტატურა,** უვადო სისხლის ღვრა, დაჭერები, ხალხის რბევა და ათასი უბედურება. **ესენი რომ იკადრებენ, იმას ცხოველი არ იკადრებს.** ყველაფერს იკადრებენ, **ოღონდ ძალაუფლება შეინარჩუნონ.**

„ალია“

**მარია პეიჩინოვიჩ-ბურიჩი**
*ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი*



მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, **განახორციელოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციები** გამჭვირვალობის კანონის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

„პირველი არხი“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



ხელისუფლებას თუ ჰგონია, რომ, **ვინც 17 მაისს გამოვიდა,** ყველა მისი მხარდამჭერია, ძალიან ცდება.

„რეზონანსი“

**ბექა ბასილაია**
*ჟურნალისტი*



შსს **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონპროექტის მოწინააღმდეგე დემონსტრანტებს **გამოკითხვაზე მასიურად იბარებს.**

„ახალი თაობა“

# გერმანული გარყვნილების უკან ამერიკული სოდომია დგას!

**რომ გერმანიის ბუნდესტაგი კანონპროექტს „ბავშვთა პორნოგრაფიის დეკრიმინალიზაციის“ შესახებ კანონად აქცევს, გერმანიაშიც და საქართველოშიც ბევრს აქვს.** კანონი რომც ჩავარდეს და ბუნდესტაგმა მის მიღებაზე უარი თქვას, ჩვენთვის მოსახდენი უკვე მომხდარია და ყველაფერი გარკვეულია. კერძოდ, ნატოსა და ევროკავშირის წევრი იმ გერმანიის პარლამენტში, რომელიც საფრანგეთთან ერთად, წესით, ევროპის ლოკომოტივი და მებაირახტრე უნდა იყოს, სახელმწიფო მოღვაწენი კი არა, რუსების მიერ გაუპატიურებული და ამერიკელების მიერ მოღორებული გარყვნილი პედოფილები და ინცესტის ნაყოფები სხედან, რომლებსაც მსგავსი ბილწი იდეები აწუხებთ!

**თუ ჩვენ ასეთი ევროპისკენ მივდივართ და თუ საქართველოსთვის სამაგალითო ის გერმანია უნდა იყოს, რომლის პარლამენტის წევრებიც ბავშვთა პორნოგრაფიის დეკრიმინალიზაციას უჭერენ მხარს, მაშინ ჩვენი საქმე იმაზე უფრო ცუდად ყოფილა, ვიდრე წარმოგვიდგენია!**

ამიტომ ჯერ კარგად დავფიქრდეთ, საითკენ მივდივართ და მერე დავიძრათ...

თუ ბუნდესტაგმა ზემოხსენებული **წყეული კანონპროექტი** მიიღო და დაამტკიცა, მაშინ გერმანიაში პედოფილია, როგორც უმძიმესი დანაშაული, ავტომატურად დეკრიმინალიზებული გახდება. ყოველივე ზემოთქმულის ფონზე საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული კონსტიტუციური პროექტი **„ლგბტ პროპაგანდის აკრძალვისა და არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის შესახებ“** ერთადერთი ხსნაა იმ უბედურებისგან გადასარჩენად, რათა ნაცაქტივისტი და ზნედაცემული **უჩა აბაშიძისა** და მისი ცოლის **მარიამ იაშვილის** საოჯახო ბორდელში ქართველი ბავშვებიც არ აღმოჩნდნენ!

გერმანიის საქმე მაშინ წახდა, როცა ამერიკელებმა გოეთესა და ბეთჰოვენის სამშობლოს კანცლერებს ე.წ. კანცლერაქტზე, ანუ მონობის რაყამზე, ხელმოწერა აიძულეს. ამიტომაა, რომ ამერიკელების დასტურის გარეშე გერმანიაში კანცლერი დღემდე ვერავინ გახდება.

**საფიქრალია, რომ ეს ბინძური ტრადიცია კანონმდებლობაშიც თავს იჩენს და გერმანული გარყვნილების უკან, რასაც ბავშვთა პორნოგრაფიის დეკრიმინალიზაცია ჰქვია, სწორედ ამერიკული სოდომია დგას!**

*დიტო ჩუბინიძე*





მიხაელ როთი, ოლივერ ვარჰეი

**მას შემდეგ, რაც დე გოლი ფრანგებმა ამერიკის სპეცსამსახურების წაქეზებით დაამხეს, ევროპაში მიხაელ როთის მსგავსი კონჩიტებისა და ოლივერ ვარჰეის დარი პოლიტიკური ვირთხების დრო დადგა...**



# მო**გელა**ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# სამაგიეროდ, ჩვენ ხინკალს აღარ გაჭმევთ!



ენტონი ბლინკენის განცხადება

უნდა დაგასანქციროთო. არა, ქართველი ხალხი კი არა, მარტო ხელისუფლებაო. გეგონება, ხელისუფლებაში ქართველები არ არიან. ამათ რამსები აქვთ არეული და ბოლო დროს „პიპკიდანაც“ ხშირად უშვებენ. **მე არც მიკვირს, როცა პრეზიდენტი ვარაუდზე დადის და თან საკუთარ აჩრდილთან თათბირობს, ეგრეც უნდა იყოს.** დიახ, მთელ აშუშუეთს ერთი დიდი სანქცია მაშინ დაედო, როცა თათარიახნად **მძინარე ჯო** აირჩიეს და დღემდე ვერ გაუგიათ, რატომ იქცევა ტრაპზე ასვლისას თუ ჩამოსვლისას.

მე ვეტყვი ეხლა მაგათ: იმიტომ იქცევა, რომე **ეგ წინა ცხოვრებაში სუსლოვის ძმაკაცი იყო და ლეონიდ ილიჩსაც** კარგად იცნობდა. ისინი წინა საუკუნეში წავიდნენ და ეს კიდე ჯერ ისევ აქ არი!

☺

თუ მაგ კანონს არ გაიწვევთ, უახლოეს ხანში საქართველო-აშუშუეთის სტრატეგიული პარტნიორობის საკითხიც გადაიხედებაო.

**გადაიხედება და გადაიხედოს!**

ისე გველაპარაკებიან, გეგონება, საშვილთაშვილოდ ვალი გვაქვს. არადა, რაც **საქართველომ სისხლი გაიღო ამათ მიერ წამოწყებულ ომებში,** ამდენი პროცენტულად არავის გაუღია. **თუ ნატოს წევრი ზოგიერთი ქვეყანა ავღანეთსა და ერაყში 5 ჯარისკაცს აგზავნიდა, ჩვენ ასჯერ მეტს ვაგზავნიდით.**

ჩვენნაირად მსხვერპლის გამღებ ქვეყანას ასე არ უნდა ელაპარაკებოდნენ.

☺

თან გვამუნათებენ კიდევაც!

გეგონება, მაგათი საყრდენი არ იყოს საქართველო ამ რეგიონში. საყრდენი და პარტნიორი ერთია, **აქ ომის გაჩაღება** კიდე მეორე. ეგ არ მოხდება, აქ მეორე ფრონტის გახსნას ვერავინ ეღირსება.

**რუსეთთან მარცხდებიან და ამიტომაც იკბინებიან ცოფიანი ძაღლებივით!**

☺

ესენი ან ვერ ხვდებიან, ან არ იმჩნევენ, რომ **სანქციებმა არანაირი შედეგი არ მოიტანა,** პირიქით, რუსეთში ისეთი პროცესები წავიდა, ამ ქვეყანამ უფრო მეტი ხეირი ნახა.

უკრაინელებს აქეზებენ, მიდით, ბიჭებო, მომავალი წლის შემოდგომაზე რამდენიმე მილიონ დოლარს გამოგიყოფთო. ისინიც მიდიან და კვდებიან პანტაპუნტით.

☺

მოდოთ, ვთქვათ სიმართლე!

**განა დედამიწის ზურგზე არსებობს სხვა ქვეყანა, რომელიც აბორიგენი მოსახლეობის ამოწყვეტის ხარჯზე შეიქმნა?**

არა, სხვა მსგავსი ქვეყანა არ არსებობს!

**განა დედამიწის ზურგზე არსებობს სხვა ქვეყანა, რომელმაც იაპონიაში ატომური ბომბები ჩამოყარა, ხიროსიმასა და ნაგასაკში მოსახლეობა გაჟლიტა და ამის გამკეთებლები დღეს დემოკრატიასა თუ ადამიანის უფლებებზე გველაპარაკებიან?**

არა, სხვა მსგავსი ქვეყანა არ არსებობს!

**განა დედამიწის ზურგზე არსებობს სხვა ქვეყანა, რომელიც მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას მხოლოდ საკუთარ თავზე იწერს და საბჭოთა კავშირს საერთოდ არ ახსენებს?**

არა, სხვა მსგავსი პლაგიატი ქვეყანა არ არსებობს!

☺

ევროპა?

ჰოოოოოო... რაც ევროპამ 1939-1945 წლებში ჩაიდინა, მაგას დემოკრატია ნამდვილად არ ჰქვია. აღარაფერს ვამბობ წინა საუკუნეებზე, გილიოტინის გამოგონებასა და კოცონზე ადამიანის აშიშხინებაზე!

**ჰოდა, ქაღალდზე ჩამოწერილი სანქციების სია კარგად დაახვიონ და დანარჩენი თვითონ იციან!**

☺

ჰმ... უნდა დაგასანქციროთო!

**ამ ჩვენ ფეხებს, სამაგიეროდ, ჩვენ კიდე ხინკალს აღარ გაჭმევთ!**

## ვენეციელი ვაჭრები




**ვენეციელმა ვაჭრებმა** გუშინ მოგვწერეს — თქვენ რო კანონი მიიღეთ, დასახევია, როგორ შეიძლება, არასამთავრობოებისა და მედიის დაფინანსება გამჭვირვალე იყოსო?

გასაგებია! დღეს მსოფლიოს მართავს **შავი ფული.** დიახ, მილიარდობით **შავი ფული** ტრიალებს უკრაინაში და იმავე **შავი ფულით** უნდათ კავკასიის აფეთქება, რათა შემდეგ შემოგვიყარონ თავიანთი დამპალი იარაღი.

**რა დემოკრატია?**

**რა პლურალიზმი?**

**რომელი სტრატეგიული პარტნიორობა და მეგობრობა?**

**რომელი გაგება და დახეული ჯინსები?**

**ამათთან ყველაფერი მიდის დოლარამდე!**

კი ვიგდებთ მასხრად **ვლადიმერ ულიანოვს,** მაგრამ ეგეც მართალი ყოფილა, როცა თქვა — კაპიტალიზმი დალპაო!

☺

მოკლედ:

**შინ ქვეყნის ბედით მოვაჭრეები, გარეთ ქვეყნის ბედით მოვაჭრეები, სულ ვირთხები, ვირთხები და ვირთხები!**

ეგრემც დაძირულხართ მაგ თქვენი **ვენეციის კომისიიანად.** მეტი არაა ჩვენი მტერი, თქვენი ჩახრჩობა ვიდარდოთ!

გაგრძელება მე-14 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



**ერთიანი სიის** იდეას მხარს ვუჭერთ, მოვუწოდებთ, **ყველა ნაცი და თითქმის ნაციც ნაცში გაერთიანდეს.**

„პირველი არხი“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ევროპული საქართველოს“ წევრი*



**ერთიანი სია** არის საჩუქარი **ბიძინასთვის,** შეგიძლიათ, იხილოთ **ორბანის** მაგალითი, როდესაც **გაერთიანებული ოპოზიცია მასთან სასტიკად დამარცხდა.**

„პირველი არხი“

**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ ლიდერი*



ყველა, ვინც წინასწარ საუბრობს პარტიებს შორის საარჩევნო დაჯგუფებაზე, **უპასუხისმგებლოდ იქცევა** და **ივანიშვილის** რეჟიმის წინააღმდეგ კოორდინაციას საფრთხის ქვეშ აყენებს.

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



ბრძოლა გრძელდება! **რუსული კანონის** კანონად გაფორმების შემდეგ, **არა რუსულ კანონს,** უნდა შეიცვალოს — **არა რუსულ რეჟიმს!**

„ახალი თაობა“

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

დასაწყისი მე-13 გვერდზე

# ქოპოზიციის ლიდერი



ხომ გაინტერესებთ, როგორ გამოიყურება დღევანდელი **ჟოპოზიცია?**

**შორს წასვლა არ გჭირდებათ, თქვენ მას ფოტოზე ხედავთ — მიჩაჩულ-მოჩაჩულს, აწეწილ-დაწეწილს, მიჭყანულ-მოჭყანულს, მურიანს, ჭუჭყიანს, დაუბანელს, დაუვარცხნელსა და გაუბედურებულს.**

ეს ქალი ერთ დროს პარლამენტარი გახლდათ! ალბათ, გახსოვთ, ამან და კიდე ერთმა, მისი ვინაობა რომ აღარავინ იცის, სესიის დროს შენობაში რაღაც ხსნარი დაღვარეს და **ძალიან ცუდი სუნი დააყენეს,** ბევრს გული შეუღონდა, ბევრმა გარეთ გაასწრო, ბევრმა ივიშვიშა.

მაშინ კი იყო განყოფილებაში დასაბარებელი, მაგრამ არ დაიბარეს, აპატიეს, კოლეგააო.

კოლეგა არა, შაშა და კოლა!

☺

ამ ბოლოს აღარ ჩანდა, სადღაც გადაიხვეწა, ალბათ, არდან-ბურდანს იყო. ახლა გამოჩნდა, „გამოანათა", **გამოირმანდირაშვილდა! რა აცვია, რანაირი „ტრიაპკები" შემოუხვევია, ვერ გაიგებთ... ან კი სად იშოვა ამდენი ფართალ-ფურთალი?** ნახეთ, წითელი, გაქუცული ჩანთა ლამის კოჭებთან ჰკიდია.

**სახლიდან ტაფა წამოუღია,** გაურეცხავ-გაუხეხავი, ქვაბის სახურავს ლობიოს მონახარში ისევ ეტყობა. **არახუნა და არახუნა, ურტყა და ურტყა ტაფა ქვაბის სახურავს.** უთხრეს, უნდა იხმაურო, **„წუნაური"** არ გვაწყობსო და იხმაურა.

ეგეთზე იტყვიან ხოლმე, სახლში კი არა, „ბუტკაშიც" არ შეიშვებაო!

**მერე ვინ აპირებს შეშვებას, იქ რო მოისაქმოს, როგორია?**

# რავა ყველა ვარჰეი და ვარჰალალო ჩვენ უნდა გადაგვეკიდოს?!




ამას „უთქმია" **(თქვენგან მარცხნივ რო დგას და თქვენგან მარჯვნივ მდგომს თვალებში შესციცინებს)** ირაკლი კობახიძისთვის — **ფრთხილად იყავი, ემანდ სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის ბედი არ გაიზიარო-ვო.**

წარმოგიდგენიათ, როგორ ავანტიურაზე მიდიან? პირდაპირ გვეუბნებიან — ეგ კანონი უკან გაიწვიეთ, თორემ ამას გიზამთ, იმას გიზამთო!

ზოგიერთნი იძახიან, ეს უკვე შანტაჟიაო. შანტაჟი კი არა, ეს უკვე პირდაპირი მუქარაა. ხუთჯერ თუ ექვსჯერ სცადეს ამ ხელისუფლების აყირავება, მგონი, მილიარდები დახარჯეს და მოსახლეობა მაინც ვერ ჩაითრიეს, **გამოთაყვანებული ბალღების გარდა ვერავინ აიყოლიეს.** მაგათაც ვერ გაქაჩეს და ახლა პირდაპირ მუქარაზე გადავიდნენ, ანუ იმას გვპირდებიან, რაც სლოვაკეთის პრემიერს **რობერტ ფიცოს** გაუკეთეს. მე თქვენ გეტყვით, რომელიმე მდარე ხარისხის მწერალს ვერ მოისყიდიან თუ რა?!

☺

**თქვენგან მარცხნივ რო დგას და თქვენგან მარჯვნივ მდგომს თვალებში შესციცინებს, ოლივერ ვარჰეი ვარჰალალოა.** რაღა დაგიმალოთ და ეს ცოტა უფრო ნორმალური მეგონა სხვა ჩათლახებთან შედარებით... მაგალითად, მარჯვნივ მდგომ **ჟოზეფ ბორელთან** შედარებით...

რავი, ეს **ვარჰალალო** პერიოდულად ჩამოდიოდა, თითქოს კანდიდატის სტატუსის მიღებაშიც გვეხმარებოდა, ცოტა დიპლომატიურადაც ლაპარაკობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ესეც გაიყიდა მწვანე თუმნიანებზე.

ჰმ... ყველა გაიყიდა და „ვითამ" ეს რატომ არ უნდა გაყიდულიყო, ვისზე ნაკლები მადა აქვს?!

☺

სიტუაცია კი არის დაძაბული, მაგრამ, სანამ ქართველი ხალხი თავის პრინციპებზე დგას, ეგეთი **ვარჰალალოები** ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ. ამათ ივლისში არჩევნები აქვთ, ან იქნებიან, ან არა. ალბათ, სხვა „სასტავი" მოვა და ყველაფერი დალაგდება, ანუ ევროკავშირთან ურთიერთობის ახალი ფურცელი გადაიშლება. ესენი ისე არიან კორუფციაში ჩამპლები, შანსი არ არი, კიდევ აირჩიონ. როგორც ამბობენ, ევროკავშირის ქვეყნებშიც დიდი უკმაყოფილებაა ამათ მიმართ.

☺

ჩემი აზრით, კიდევ იქნება მხილება ხელისუფლების მხრიდან და ეს აუცილებელია. თუნდაც ის უნდა იცოდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ, როგორ აშანტაჟებდა აშშ-ის ელჩი **ირაკლი ღარიბაშვილს** და როგორ გაუძლო მან არნახულ ზეწოლას. თუნდაც ის უნდა იცოდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ, რა პირობები წაუყენა იმავე ელჩმა **ბიძინა ივანიშვილს** და ასე შემდეგ.

ჰო... ამ **ვარჰალალოს** განცხადებაც გაუკეთებია, ჩემი ნათქვამი კონტექსტიდან არის ამოგლეჯილიო. ამას ჰგონია, ჩვენ არ ვიცით, საიდან რა არის ამოგლეჯილი. ეს კარგად იციან ხოლმე, როცა გაიჭედებიან, კონტექსტიო.

ამოგლეჯილიო... **ამოგლეჯილი** კი არა, თავად გაქვს **ამოსაგლეჯი** ეგ ენა, საოხრესავით რო ჩაგიკერებია პირში!



# ჯღაბნე, ამ ჩვენ ფეხებს!

**მიხო,** ისევ გაგამტყუნა სტრასბურგის ევროპიულმა სასამართლომ? **როდემდე უნდა სწერო საჩივრები და „დანოსები"** მსოფლიო მასშტაბით, ხომ ხედავ, მოსამართლეებს კი არა, საკუთარ ცოლებსაც აღარ სჯერათ შენი? **სად არი ის უკრაინელი ქალი, წამდაუწუმ რო დაბოდიალობდა აქა და შენთან გატარებულ რომანტიკულ დღეებზე გვიყვებოდა, სად გადაიკარგა?** ან სხვები სად არიან, რატო აღარავინა სწუხს შენი „ტრაკი... კული" ბედის თაობაზედ?

☺

**ვის უჩივი, რას უჩივი, მიდი, საკუთარ წარსულს ჩაუფიქრდი, 150-ზე მეტი ახალგაზრდა ქუჩაში ჩაცხრილე, ზოგს სახლში მიაკითხე, ზოგს სახლიდან მილიონები მიატანინე, ზოგს ცოლი გაუბახე, ზოგს ძუძუები მოაჭამე,** ბევრი გამოყენებული შენი გარემოცვის წევრებს შერთე, ვითომ ოჯახები შეაქმნევინე, ციხეებში სასაკლაო გამართე, ხალხს „დუბინკები" და ცოცხები უკეთე... რომელი სტრასბურგი და რომელი ქართული სასამართლო გაგამართლებს? რომც გაგამართლონ, ჩვენ ხომ ყველაფერი კარგად გვახსოვს?!

☺

წერას შენ ვეღარ ისწავლი და სასვენი ნიშნები სად უნდა დასვა, ვერც მაგას გაიგებ, ჯღაბნე შენი ბატიფეხურით. აკი, გიპასუხა სტრასბურგის სასამართლომ — **საჩივარში აზრი საერთოდ არ გაქვს ჩამოყალიბებულიო.** იცი, ეგ რას ნიშნავს? კულტურულად გითხრეს, ჯერ წერა-კითხვა ისწავლეო.

### რა გეგონა, შე აფრაკო, გიულის ოქროს უზალთუნები რომ ჩაპქონდა ევროპა-ამერიკებში, სტრასბურგის სასამართლოსაც გადაიბირებდა?

ვიცი, შენ წერას არ მეეშვები და ჯღაბნე, ამ ჩვენ ფეხებს!

# გულბოზ-ხანი მოცოცაამს!




წვეტიანი კარავი უნდა დავცეთ ეზოშიო...

**ყორჩიხა-ხანი ხარ, შე ჩემა? მერე... ბუკი, ნაღარა და ტამტამი გაქვს? მეზარბაზნეები გყავს?**

ჰო, კაი, ტამტამზე **სალომე ბაბო** შემოსცხებს, ბუკს **ხაზარაძე** ჩაჰბერავს, ნაღარას **ანიკო ნაცვლიშვილი** აახმიანებს... დანარჩენი? დანარჩენს რას უზამ, ზარბაზნებს ვინ დაგიტენის?!

**ისე, გულბოზ-ხან! შენ ეგ სასახლე პაპაშენის ნაანდერძევი ხომ არა გგონია?** იქნებ სალომე ბაბოს წინაპრებიდან გადმოყოლილი გგონია?

**მე მზად ვარო... რისთვის ხარ მზად, ჯოხი უნდა გადაგვილეწო?** ეგ ბევრმა სცადა, მაგრამ ჩემი... ფეხები!

№27 (263) ★ 2024 წლის 27 მაისი ★ გამოდის 2003 წლიდან



## ხვალ იყო გუშინ! ★

# 80 წლის წინათ, სტალინის მითითებით, საქართველოს კავკასიონის ჩრდილოეთით შეემატა ტერიტორია — ქლუხორის რაიონი




## ქლუხორის რაიონი

სტატია განხილვა შემოწმებული სტატია რედაქტირება

მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია

**ქლუხორის რაიონი** — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოს სსრ-ში 1943-1955 წლებში.

1943 წელს საქართველოს შეუერთდა ჩრდილო კავკასიური ტერიტორია ქლუხორი, ამ ტერიტორიებზე ქართველებმა დასახლება დაიწყეს. 1955 წლის 14 მარტს საქართველოს სსრ-ს ქლუხორი კვლავ ჩამოერთვა და შეუერთდა სტავროპოლის მხარეს, ქართველებმა ეს ტერიტორიები დატოვეს და აქ კვლავ ძველი მოსახლეობა დაბრუნდა. ამჟამად ეს ტერიტორიები ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის რაიონ ყარაჩაევსკის შემადგენლობაშია.




### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა**
**საქართველოს სსრ ქლუხორის რაიონის აულების გადარქმევისა და სასოფლო საბჭოებისა და სადაბო საბჭოს შექმნის შესახებ**

1. შეეცვალოს სახელწოდება საქართველოს სსრ ქლუხორის რაიონის შემდეგ აულებს და ეწოდოს:

ა) აულ ზემო ტებერდას—სოფელი ტებერდა

ბ) აულ ქვემო ტებერდას—სოფელი მზისა

გ) აულ კამენომოსტს — სოფელი ახალშენი

დ) აულ უჩკულანს—სოფელი მადნისხევი

ე) აულ კარჯურტს—სოფელი მთისძირი

ვ) აულ ხურზუკს—სოფელი ზედვაკე.

2. გაერთიანდეს ხუტორები: ლასტოჩკა, მელნიჩნაია, ბოინია, ტებერდა პირველი, ტებერდა მეორე და ტებერდა მესამე ერთ სოფლად და ეწოდოს სოფელი ხიდისკარი.

3. შეიქმნას ქლუხორის რაიონის შემდეგი სასოფლო საბჭოები:

ა) ტებერდის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ტებერდაში

ბ) მზისის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ მზისაში

გ) ახალშენის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ახალშენში

დ) მადნისხევის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ მადნისხევში.

4. კურორტი ტებერდა გარდაიქმნას დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტად) და შეიქმნას დაბა ტებერდაში სადაბო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. გეგნატაშვილი**

1944 წლის 4 სექტემბერი. ქ. თბილისი.

### I. Общие сведения.

Грузинская ССР — союзная советская социалистическая республика. Образована 25 февр. 1921. С 12 марта 1922 по 5 дек. 1936 входила в состав Закавказской Федерации (ЗСФСР) С 5 дек. 1936 входит непосредственно в СССР. Граничит на С.-З. с Краснодарским и Ставропольским краями РСФСР, на С.— с Кабардинской и Северо-Осетинской АССР и Грозненской областью РСФСР, на С.-В.— с Дагестанской АССР (РСФСР), на Ю.-В.— с Азербайджанской ССР, на Ю.— с Армянской ССР и Турцией. Грузинская ССР делится на Тбилисскую и Кутаисскую области; в её состав входят Абхазская АССР, Аджарская АССР и Юго-Осетинская автономная область. Территория 76,4 тыс. км². Население 3542 тыс. чел. (1939). Столица — город Тбилиси.

დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“. 2024 წლის №22-26

## საუბრები იმპერიის ნანგრევებზე



რაულ ჩილაჩავა

# ლავრენტი ბერიას ვაჟი

### ომის წინ ჩვენს სახლში ცხოვრობდა თვით რობერტ ოპენჰაიმერი

**— ცნობილია, რომ ომის წინ ლავრენტი ბერიამ შინსახკომთან სპეციალური ტექნიკური ბიურო შექმნა. რა ფუნქცია ჰქონდა მას?**

— 30-იანი წლების მიწურულს საბჭოთა ციხეებსა და ბანაკებში იჯდა არამარტო შემოქმედებითი, არამედ ტექნიკური ინტელიგენციაც. ამ ღრმად განათლებულ და ნიჭიერ ხალხს ქვეყნისთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო და ის ბიუროც მამამ მათთვის გაახსნევინა. ალბათ, იკითხავთ: რაღა ციხეში ახსნევინებდა, გამოეშვა ისინი და სამსახურს თვითონაც იშოვიდნენო. სწორი ბრძანებაა, მაგრამ სცადე, გამოუშვა კაცი, რომელმაც უმძიმესი დანაშაულის ჩადენა აღიარა! თუმცა, ცნობილი იყო, რომ ბევრი ძალით მიიყვანეს ამ აღიარებამდე (რასაც გენერალური პროკურორი **ანდრია ვიშინსკი** „მტკიცებათა დედოფლად“ თვლიდა), სახალხო კომისარი უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერ გადასინჯავდა. როგორც ადრე გითხარით, არ გააჩნდა საამისო უფლებამოსილება. გამოჩენილი ავიაკონსტრუქტორი **ანდრია ტუპოლევი** მომიყვა — მამაშენმა რამდენჯერმე გამომიძახა და ადრე მიცემულ ჩვენებათა გადათქმა მთხოვა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდაო. ბოლოს და ბოლოს, მამამ გადაწყვიტა, ტუსაღი მეცნიერები სპეციალიზებულ საკონსტრუქტორო ბიუროებში გაეერთიანებინა. დავალების შესრულების შემდეგ მათ ანთავისუფლებდნენ. ასე გამოუშვეს **ვლადიმერ პეტლიაკოვი, ვლადიმერ მიასიშჩევი,** თვით **ანდრია ტუპოლევიც.** კონსტრუქტორთა აბსოლუტური უმრავლესობა **იაგოდა-ეჟოვის** დროს დააპატიმრეს და ამდენად, ზოგი ისტორიკოსის თუ პუბლიცისტის მტკიცება, ბერია ცნობილ სპეციალისტებს ციხის შიგნითა საწარმოების კვალიფიციური მუშახელით შესავსებად იჭერდაო, სინამდვილეს არ შეესაბამება.

**— თქვენი თქმით, მამა მშვენივრად ხატავდა, ეტრფოდა ხელოვნებას. იქნებ ამით იყო გამოწვეული შინსახკომის ცენტრალური ანსამბლის შექმნაც, რომელსაც ნებისმიერი სახელგანთქმული კოლექტივისთვის შეეძლო მეტოქეობის გაწევა. ლავრენტი ბერიას ხელოვანთა მთელი თანავარსკვლავედი მიუწვევია: სერგეი იუტკევიჩი, რუბენ სიმონოვი, ალექსანდრე ივანოვ-კრამსკოი, დიმიტრი შოსტაკოვიჩი...**

— თქვენ გამოგრჩათ **პავლო ვირსკი,** გამოჩენილი უკრაინელი ქორეოგრაფი, რომელიც იმ ანსამბლში მოცეკვავეთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა. უკვე კიევში გადმოსულს, ეს თვით მაესტრომ მიამბო. ვერ ვიტყვი, მამაჩემი შინსახკომის ანსამბლს გადაყოლილი იყომეთქი, რადგან მას მაშინ მინდობილი ჰქონდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა დაზვერვა, თავდაცვა, ატომური ბომბი.

**— ატომური ბომბი? კი მაგრამ, ჩვენ ხომ 1939 წელზე ვსაუბრობთ!**

— დიახაც! სწორედ 1939 წლის მიწურულს შესთავაზა მამამ მთავრობას ატომურ ბომბზე მუშაობის დაწყება. სადაზვერვო მონაცემები ცხადყოფდნენ, რომ გერმანელები, ინგლისელები და ამერიკელები მსგავს პროექტს უკვე ამუშავებდნენ. იმხანად ჩვენს სახლში ორი ახალგაზრდა ამერიკელი სტუმრობდა, რომლებიც მზად იყვნენ, შესაბამისი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის შემთხვევაში ატომური ბომბის პროექტი შეექმნათ. ახალგაზრდა საბჭოთა ფიზიკოსების საექსპერტო შეფასებებით შემტიცებული ეს წინადადება მამამ პოლიტბიუროზე განსახილველად გამოიტანა. იქ მას ორადორი კითხვა დაუსვეს: რამდენად რეალურია შემოთავაზებული წინადადების განხორციელება და რა დრო დასჭირდება მას? ჰაერში უკვე დენთის სუნი ტრიალებდა, ამიტომ სახელმწიფოს არ შეეძლო გრძელვადიან პროექტზე მუშაობა. თვით იდეის წინააღმდეგ კატეგორიულად გაილაშქრა აკადემიკოსმა **პეტრე კაპიცამ.**

**— რატომ?**

— კაპიცას საბჭოთა წყობილება არ მოსწონდა და ამას არც ოდესმე მალავდა. იგი სრულიად ახალგაზრდა გაემგზავრა ინგლისში და იქ **რეზერფორდთან** ერთად ატომური ბირთვის გახლეჩვაზე მუშაობდა. ავადმყოფი სიმამრის, აკადემიკოს **ნ. კრილოვის** სანახავად ჩამოსული **კაპიცა** ძალით დააკავა საბჭოთა მთავრობამ. **მოლოტოვმა** ჰკითხა მას: **„რაა საჭირო საიმისოდ, რომ აქ დარჩეთ?“ „რეზერფორდის ლაბორატორია!“** — იყო პასუხი. ჩამოუტანეს მას რეზერფორდის ლაბორატორია და უბრძანეს: **„განაგრძეთ მუშაობა, აკეთეთ ის, რასაც ინგლისში აკეთებდით!“** მან ეს პრინციპულად არ ისურვა და სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან და საინტერესო პრობლემას მოჰკიდა ხელი. **პეტრე კაპიცა** ჭკვიანი, მამაცი და გულმართალი კაცი იყო. უდიდესი მადლიერებითა და პატივისცემით ვიხსენებ მას, როგორც ერთ-ერთ მათგანს, ვინც მთავრობას განუცხადა: **უსამართლობაა ბერიას ვაჟის ციხეში გაჩერებაო.**

**— კაპიცამ პროექტი დაამუხრუჭა?**

— დამუხრუჭება მას არ შეეძლო, მაგრამ ეჭვები კი დაბადა. იმ დროს ჩვენი ელექტრონიკა ძლიერ ჩამორჩებოდა, არც სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა გაგვაჩნდა სუპერთანამედროვე იარაღის მეტისმეტად მჭიდრო ვადებში შესაქმნელად. ამიტომაც წამოწყება ნაადრევად ჩათვალეს. მამამ გული მაინც არ გაიტეხა და განაგრძო ურთიერთობა მათთან, ვისაც ევროპელ და ამერიკელ მეატომეთა საქმიანობაზე ინფორმაციის მოწოდება შეეძლო. 1942 წელს, როცა საკმაო ცნობები დაუგროვდა, მან ისევ მიმართა პოლიტბიუროს ადრინდელი წინადადებით: განეხილათ ატომური ბომბის საკითხი. სტალინი დათანხმდა, მაგრამ ძვირფასი დრო ხელიდან გაშვებული აღმოჩნდა. სპეციალისტები, თავის დროზე სამსახურს რომ გვთავაზობდნენ, უკვე ამერიკულ პროექტს ედგნენ სათავეში და მათი უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო.

საბჭოთა მთავრობა, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, აღიარა ატომური ბომბის შექმნის აუცილებლობა, ითვალისწინებდა ამერიკელების რეალურ შანსს, ჰქონოდათ მასობრივი განადგურების იარაღი ომის დამთავრებამდე თუ არა, დამთავრებისთანავე მაინც. ასეთ შემთხვევაში ამერიკა მსოფლიოს ერთპიროვნული ლიდერი გახდებოდა, ჩვენ კი დაუცველნი დავრჩებოდით. ყველაფერი ნულიდან რომ არ დაგვეწყო, შესაბამისმა სამსახურებმა რამდენიმე ინგლისელი სპეციალისტი მოიტაცეს და წყალქვეშა ნავით ჩვენთან ჩამოიყვანეს. მომავალ პროექტზე სამუშაოდ მამამ შეარჩია ახალგაზრდა კადრების ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელადაც დანიშნეს ნიჭიერი, ბეჯითი, სიმპათიური და ასევე ახალგაზრდა **იგორ კურჩატოვი.** მათ შეუერთდნენ გამოჩენილი აკადემიკოსები — **ხარიტონი, დუხოვი, სემიონოვი** და სხვები, რომლებსაც დაუყოვნებლივ გადაეცემოდათ დაზვერვის მიერ მოპოვებული სპეციფიკური მონაცემები. პროექტზე მუშაობა ძლიერ გააქტიურა ებრაული წარმოშობის იტალიელმა ფიზიკოსმა **ბრუნო პონტეკორვომ.**

**— პონტეკორვოც მოიტაცეს?**

— არა, ის კომუნისტი იყო და ჩვენთან თანამშრომლობა თვითონ გადაწყვიტა. ეს იყო 1950 წელს, როცა მას ინგლისის მოქალაქეობა ჰქონდა მიღებული და სულ მალე ლივერპულის უნივერსიტეტში კათედრის გამგეობა უნდა ჩაებარებინა.

**— მერე?**

— მეცნიერმა მოულოდნელად შვებულება აიღო და ცოლშვილთან ერთად ჰელსინკში ჩავიდა, სადაც მეუღლის მშობლები ცხოვრობდნენ. იქიდან კი რუსეთი ხელის გაწვდენაზე იყო. სხვათაშორის, **ბრუნო პონტეკორვოს** მეორე მეუღლე გახლდათ ჩვენი სახელოვანი მწერლის **ჭაბუა ამირეჯიბის** უფროსი და **როდამი.** არ გამოვრიცხავ, რომ მათ ქორწი-



რობერტ ოპენჰაიმერი



ანდრეი სახაროვი

**„— თქვენ იცნობდით ანდრეი სახაროვს?**

— ჩვენ საკმაოდ კარგი ნაცნობობა გვქონდა. ეს იყო ოჯახის მოყვარული მორცხვი ჭაბუკი. მახსოვს, მის წინააღმდეგ ბევრი გამოჩენილი მეცნიერი ილაშქრებდა...“

**„იმ საბედისწერო დღეს მისთვის წყალბადის ბომბის გამოსაცდელად მზადყოფნა უნდა მოგვეხსენებინა. ჩვენ იგი ამერიკელებზე ერთი წლით ადრე შევქმენით!“**






# მოგვითხრობს!

ნებაში მამის სამსახურების ხელი ერია.

**— განაგრძეთ, გეთაყვა!**

— ერთი სიტყვით, გაგანია ომში, 1943 წელს, როცა ბერლინამდე ათასობით ცეცხლოვანი კილომეტრი რჩებოდა, საბჭოთა კავშირი არამარტო ფიქრობდა, არამედ ზრუნავდა კიდეც ომის შემდგომი მსოფლიოს ბედზე. როცა პოტსდამის კონფერენციაზე **ჰარი ტრუმენმა** გაკვრით შენიშნა, საიდუმლო იარაღს ვფლობთო, **სტალინს** წარბიც არ შეუხრია, მაგრამ შესვენებაზე მამაჩემი მოიხმო (და არა **კურჩატოვი,** როგორც წერენ და ფილმებში აჩვენებენ) და მკაცრად ჰკითხა — **ბომბი აქამდე მზად რატომ არ არისო?** ბომბი 1946 წელს უკვე მზად იყო, მაგრამ აფეთქება პოლიტიკური მოსაზრებით გადადეს.

**— მე დამაინტერესა იმ ორმა ამერიკელმა, რომლებიც ომის წინ თქვენს სახლში ცხოვრობდნენ. აკი, ადრე ბრძანეთ, უცხო პირებს ჩვენთან არასოდეს უცხოვრიათო!**

— ჯერ ერთი, მე მხედველობაში მყავდა მდედრობითი სქესის უცხო პირები. მეორეც, ის ორი ამერიკელი, რომლებიც, ალბათ, მამასთან დაზვერვის ხაზით იყვნენ დაკავშირებული, გამონაკლისი გახლდათ. კარგად მახსოვს, რომ ერთ მათგანს **რობერტს** ეძახდნენ. მოგვიანებით იმ დასკვნამდე მივედი, რომ ის **რობერტ ოპენჰაიმერი** იყო.

**— ოპენჰაიმერი?!**

— დიახ, **რობერტ ოპენჰაიმერი,** მომავალში ე. წ. „მანჰეტენის პროექტის“ ავტორი და „ატომური ბომბის მამა“. რატომ მიმაჩნია ასე? შევეცდები, აგიხსნათ. მას შემდეგაც, როცა პოლიტბიურომ ნაადრევად ჩათვალა ატომურ ბომბზე მუშაობა, მამა განაგრძობდა მასზე ფიქრს. არ გამოვრიცხავ, რომ ის ორი პირი მისი ინფორმატორი იყო. ცხადია, პიროვნების იდენტიფიცირებისთვის მარტო სახელის დამთხვევა არ კმარა, მაგრამ როცა ვიხსენებ **რობერტის** სადაურობას, გარეგნობას, ასაკს, ღრმა განსწავლულობას, მაინც მგონია, რომ ის **რობერტ ოპენჰაიმერი** უნდა ყოფილიყო.

**— გავრცელებულია აზრი, რომ ატომური ბომბის შექმნაზე საბჭოთა მეცნიერებს ძალდატანებით, ლამის პატიმრობაში ამუშავებდნენ...**

— არანაირ ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო ის, რომ საიდუმლო ლაბორატორია არსებობდა, სადაც ყველას არ შეეძლო მოხვედრა, ბუნებრივია.

**— ობნინსკს ხომ არ გულისხმობთ?**

— არა, კურჩატოვის ლაბორატორია მოსკოვის მახლობლად, სერებრიანი ბორში, მდებარეობდა. ობნინსკი მეორე ცენტრი იყო. საერთოდ, ატომური მრეწველობისთვის ურალსა და ციმბირში სასწრაფოდ ააშენეს არაერთი ქალაქი. ნეტავი, ჩვენ დღეს ვიყოთ ისე უზრუნველყოფილნი ისეთი შესანიშნავი საავადმყოფოებით, კინოთეატრებითა და მაღაზიებით, როგორც იმ ქალაქების მცხოვრებნი. დიახ, იქ სუფევდა მკაცრი წესრიგი და კონტროლი, შეზღუდული იყო კავშირი გარე სამყაროსთან, მაგრამ, როგორც ცნობილია, არც ლოს-ალამოსის ბინადარნი დასეირნობდნენ ყოველდღე ბროდვეიზე.

**— თქვენ ყოფილხართ საიდუმლო ლაბორატორიებში?**

— ვყოფილვარ რამდენჯერმე მამასთან ერთად. ყველა მათგანი მისი უშუალო მონაწილეობით იყო აშენებული და მას ექვემდებარებოდა. მამა არ ყოფილა **გენერალ გროვსის** მდგომარეობაში, რომელიც მხოლოდ უზრუნველყოფდა **ოპენჰაიმერის** მოთხოვნათა შესრულებას. საზღვარგარეთ მოპოვებული მთელი ინფორმაცია მის ხელთ იყო, ამიტომ თავად კი არ ასრულებდა მეცნიერთა მოთხოვნებს, არამედ მეცნიერები მუშაობდნენ მისი მონაცემების გათვალისწინებით. ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის შემდეგ, 1945 წლის 20 აგვისტოს, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით, შეიქმნა სპეციალური კომიტეტი **„აბ“ („ატომური ბომბი“),** რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ **ლ. პ. ბერია** (თავმჯდომარე), **გ. მ. მალენკოვი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ბ. ლ. ვანნიკოვი, ა. პ. ზავენიაგინი, ი. ვ. კურჩატოვი, პ. ლ. კაპიცა, ვ. ა. მახნიოვი, მ. გ. პერვუხინი.** კომიტეტს ეკისრებოდა ურანის შიდაატომური ენერგიისა და ატომური ბომბის წარმოების, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სამრეწველო ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობა.

**— ასეთი ურთულესი სამეცნიერო კომპლექსის საკოორდინაციოდ ხომ უდიდესი ცოდნაა საჭირო!**

— მამას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო, **სახაროვის** ნაცვლად თეორიული გაანგარიშებანი ეწარმოებინა, მაგრამ, სამაგიეროდ, აბსოლუტურად ზუსტად იცოდა, სად გამოეყენებინა ისინი. მეცნიერთა მონაყოლიდან ვიცი: **რაც მამაჩემი სიცოცხლეს გამოასალმეს, ისინი ურიცხვ დაბრკოლებას წააწყდნენ.** თუმცა, მამამ მოასწრო უმთავრესი ამოცანის გადაწყვეტა. **იმ საბედისწერო დღეს მისთვის წყალბადის ბომბის გამოსაცდელად მზადყოფნა უნდა მოეხსენებინა. ჩვენ იგი ამერიკელებზე ერთი წლით ადრე შევქმენით.**

**— თქვენ იცნობდით ანდრეი სახაროვს?**

— ჩვენ საკმაოდ კარგი ნაცნობობა გვქონდა. ეს იყო ოჯახის მოყვარული მორცხვი ჭაბუკი. მახსოვს, მის წინააღმდეგ ბევრი გამოჩენილი მეცნიერი ილაშქრებდა...

**— რა ცოდვა ჰქონდა ასეთი?**

— უფროსმა კოლეგებმა, ალბათ, იცოდნენ სახაროვის განწყობილება, უფრო ზუსტად — მისი იდეოლოგიური მრწამსი. ამიტომ ცდილობდნენ, არ შემოეშვათ საკუთარ წრეში, საერთოდ არ გაეკარებინათ ახლოს.

**— თქვენ გინდათ, თქვათ, რომ სახაროვი მაშინაც დისიდენტი იყო?**

— შინაგანი ბუნებით, ალბათ, კი, თუმცა, გარეგნულად მოკრძალებულ, მარტო საკუთარი იდეებით გატაცებულ პიროვნებად რჩებოდა. მის გვერდით რომ არ აღმოჩენილიყო ისეთი აგრესიული ქალი, როგორიცაა **ელენე ბონერი,** იგი დარჩებოდა მსოფლიო მასშტაბის მეცნიერად, მაგრამ პოლიტიკაში არ გაერეოდა.

**— ორმოცდაათიანი წლების დამდეგს აშშ-ში გაასამართლეს ცოლ-ქმარი ლილიან და ეტელ როზენბერგები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის ატომური ბომბის საიდუმლოთა გაცემა. ისინი ინსინუაციის მსხვერპლნი გახდნენ თუ...**

— **ნიკიტა ხრუშჩოვმა** ამერიკაში ყოფნისას დაადასტურა, რომ **როზენბერგები** ჩვენი აგენტები იყვნენ და ამით დაარღვია დიპლომატიური თამაშის დაუწერელი კანონი: არ უნდე გასცე ის მზვერავი, რომელმაც ვაჟკაცობა გამოიჩინა და საკუთარი თავი თვითონ არ გასცა.

**— მიგაჩნიათ, რომ როზენბერგები საბჭოთა დაზვერვის აგენტები არ ყოფილან?**

— იქნებ იყვნენ კიდევაც, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამცირებს ჩვენი სპეციალისტების ღვაწლს, რომლებმაც დამოუკიდებლად შექმნეს სრულიად ორიგინალური, ამერიკულისგან განსხვავებული ბომბი.

**— თქვენ გინახავთ ატომური აფეთქება?**

**— მე ვესწრებოდი პირველი საბჭოთა ატომური ბომბის გამოცდას სემიპალატინსკში 1949 წელს. ვიყავი მომდევნო გამოცდებზეც.**

**— სადღაც წამიკითხავს, რომ ენრიკო ფერმიმ ატომური საშინელების დანახვის შემდეგ მანქანა ვერ წაიყვანა, ხოლო ოპენჰაიმერს ფსიქოლოგები ამშვიდებდნენო...**

— ბუნებრივია, რომ ამერიკელებმა ჩვენზე მეტი სტრესი განიცადეს. მათ ხომ პირველად ნახეს ამოქმედებული ეშმაკის მანქანა! ჩვენ თეორიულად უკვე ვიცოდით შემდგარ ექსპერიმენტზე, ამიტომ ეფექტმა შეგვძრა, მაგრამ ვერ განგვაცვიფრა. სტარტის წინ ყველანი განვიცდიდით, ვაითუ, ბომბი არ აფეთქდეს და უზარმაზარი ჯაფა წყალში ჩაგვეყაროსო! წარმატებით ჩავლილი გამოცდის შემდეგ კი ასეთი ანეკდოტი გავრცელდა: **ბერიას ჯიბეში ორი სია ედო, ერთში დასაჭერი ხალხი იყო ჩამოწერილი, მეორეში — დასაჯილდოებელი. ორივე სიაში ერთი და იგივე ხალხი იყო ჩამოთვლილი.** თუ სერიოზულად ვიმსჯელებთ, იმ დარგებში, რომლებსაც მამა ხელმძღვანელობდა, რეპრესიები არ ყოფილა, საერთოდ არ ყოფილა. კრიმინალური სიტუაცია ხშირად შექმნილა, მაგრამ იგი საკუთარ კადრებს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ერთ ასეთ ამბავს მოგიყვებით. სტალინს აცნობეს, რომ აკადემიკოსი **ი. ბ. ხარიტონი,** რომელმაც **ი. ბ. ზელდოვიჩთან** ერთად ურანის დაყოფის ჯაჭვური რეაქცია გათვალა და უშუალოდ ბომბის მექანიზმს ქმნიდა, ინგლისის ჯაშუშია. მამაჩემმა სტალინს ხელწერილი მისცა, რომ თავდებობს აკადემიკოს **ხარიტონს** და მზადაა, პასუხი აგოს, თუ ის ცნობა სიმართლე აღმოჩნდება და მეცნიერი დავალებას არ შეასრულებს. ამ ხელწერილს სტალინი სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა.

***გაგრძელება იქნება***





სერგო ბერია

## „მე ვესწრებოდი პირველი საბჭოთა ატომური ბომბის გამოცდას სემიპალატინსკში 1949 წელს. ვიყავი მომდევნო გამოცდებზეც!“

## არის ასეთი აზრი!



*— 33 წელია, ამერიკის ნებისმიერ მითითებას უმალ ვასრულებთ და რა მივიღეთ სანაცვლოდ? ვერც აფხაზეთი და სამაჩაბლო დავიბრუნეთ, ვერც ეკონომიკური აღმავლობის გზას დავადექით, ამ არასამთავრობოებმა კი ტრადიციები დაგვინგრიეს, სული და ცნობიერება გადაუგვარეს ერს! —* ***აცხადებს ცნობილი სპორტსმენი, პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, კასპის რაიონის ყოფილი გამგებელი ოლეგ იაძე და დასძენს:***

# ოლეგ იაძე:

# ნამდვილად არ ვიდარდებდი, ფაშისტური გერმანია სანქციებს თუ დამიწესებდა ან უვიზო მიმოსვლას გამიუქმებდა!

— ჩვენს შიდა საქმეებში უტიფრად ერევიან და გამჭვირვალობის კანონის მიღებას გვიშლიან, რომელიც სულ ახლახან საფრანგეთმა ზარ-ზეიმით მიიღო! უფრო მეტიც, ამერიკამ რამდენიმე დღის წინ უპატიებელი შეურაცხყოფა მოგვაყენა, როცა გამჭვირვალობის კანონის გაწვევის სანაცვლოდ ვიზალიბერალიზაცია და პირდაპირი ფრენები ქრთამად შემოგვთავაზა, თითქოს აქამდე ვინმე უშლიდა, „სტრატეგიული პარტნიორისათვის“ შეღავათები მიეცა. იტყუებიან! ძლივს საქართველოს ხელისუფლება მოწოდების სიმაღლეზე ვიხილეთ და ერთბაშად თავს დაგვაცხრნენ, სანქციების დაწესებით დაგვემუქრნენ... ისე კი, სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვიდარდებდი, ფაშისტური გერმანია სანქციებს თუ დამიწესებდა ან უვიზო მიმოსვლას გამიუქმებდა! ამ გადაწყვეტილებით ყურებზე ხახვსაც ვერ დაგვაჭრიან და ბარაქალა „ქართულ ოცნებას“, რომელმაც ბოლო პერიოდში რამდენიმე გამოცდა არნახული წარმატებით ჩააბარა და სწორედ იმ პოზიციაზე დადგა, რასაც 10 წლის წინათ მოვუწოდებდი. **ამერიკის ვერტიკალს კი პირში უნდა მივახალოთ, რომ მეგობრებს ასე არ ეპყრობიან და ეს ფაშისტური სანქცია გახლავთ!**

**— სანქცია რაღა მოსატანია, როცა ხელისუფლებას პირდაპირ დამხობას უპირებენ...**

— ორი წლის წინათ ამერიკიდან ჩამოსულმა სალომე ზურაბიშვილმა განცხადებები რომ აკეთა, უკვე ცხადი იყო, რომ გადატრიალება დაიწყო. საქართველოში რეზიდენტული ინსტიტუტის შესაქმნელად უზარმაზარი ფული დახარჯეს, თუმცა, იმ ლიდერთა შორის, რომლებიც გადატრიალების მოწყობაში არიან ჩართულები, ქართველი საზოგადოებისთვის არცერთი მათგანი ავტორიტეტს არ წარმოადგენს; პირიქით, ყველანი — **დეკანოიძეები, ბერძენიშვილები, ხაბეიშვილები, უჩა აბაშიძეები და სხვები** — დისკრედიტებული პერსონები არიან. სანთლით რომ ეძებოთ, მათ შორის ერთ ზნეობრივ ადამიანსაც ვერ იპოვით! იმის თქმა მინდა, რომ ბრძოლა, ფაქტობრივად, ზნეობასა და უზნეობას შორის მიმდინარეობს, ხოლო უზნეობა — განსაკუთრებით საქართველოში, სადაც მოსახლეობის 80 პროცენტი კონსერვატიული ღირებულებების მიმდევარია — ფეხს ვერასოდეს იკიდებდა!

**— სლოვაკეთის პრემიერს რობერტ ფიცოს ესროლეს. ევროკომისარი ოლივერ ვარჰეი კი ჩვენს პრემიერს ირაკლი კობახიძეს ფიცოს ბედის გაზიარებით დაემუქრა. რა კომენტარს გაუკეთებთ ამას?**




— მუქარა რეალურია. მათი მიზნების მოწინააღმდეგე ლიდერების მკვლელობა დასავლეთის ხელწერაა. არაერთი სახელმწიფოს არაერთი ლიდერი გაუსტუმრებიათ იმქვეყნად. **ოღონდ, ამჯერად, რაც ირაკლი კობახიძეს ევროკომისარმა საუბარში შეაპარა, მუქარასთან ერთად შანტაჟია, რათა სიკვდილის შიშით პრემიერი საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯზე დაეთანხმებინათ.** ამის მერე ევროკავშირთან რომელ პარტნიორობასა და კეთილგანწყობაზე შეიძლება საუბარი? მაგრამ ვაღიაროთ,

**დასავლეთის მთავარი სამიზნე ამჟამად პირადად ბიძინა ივანიშვილია, რომლის გარშემო ჩვენი ხელისუფლების ჯანსაღი ნაწილია შემოკრებილი. ბიძინა ივანიშვილს საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ!**

**— უახლოეს მომავალში ეს შესაძლებელია?**

— რუსეთიდან ბოლო წლებში არაერთი მინიშნება გვქონდა. ფაქტია, რომ კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში რეგიონულ წესრიგს ერთიანი და სტაბილური საქართველო სჭირდება. ისიც ფაქტია, რომ დასავლეთი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზას ფორმალურადაც არ გვთავაზობს; პირიქით, **დასავლეთიდან სულ სხვა მოწოდებები გვესმის, რომ მათთან ინტეგრაცია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დათმობას გულისხმობს.** სამწუხაროდ, საქართველოში ისეთი ჯგუფებიც გამოჩნდნენ, რომლებიც საჯაროდ აცხადებენ, რომ მზად არიან, ევროკავშირსა თუ ნატოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე შევიდეთ, რაც ამ ტერიტორიების სამუდამოდ დაკარგვის ტოლფასი იქნება. **ცხადია, ასეთ ჯგუფებს პატრიოტიზმზე ვერ დაელაპარაკები, ისინი საქართველოს კი არა, დასავლეთის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ და იმ სისხლიანი საქმეების გაგრძელებას აპირებენ, რასაც დასავლეთი აქამდეც აკეთებინებდა.**

„შინ ევროპაში“ და „ნატო-ნატოს“ ძახილში აფხაზეთსა და სამაჩაბლოს კოდორი და ახალგორიც მივაყოლეთ და მომავალში სხვა ტერიტორიებსაც დავკარგავთ! სამაჩაბლოსა და აფხაზეთის საქართველოსთვის დაბრუნება რუსეთის გარეშე ვერ მოხდება. **რუსეთი დარწმუნებული რომ იყოს, საქართველო მის წინააღმდეგ დასავლეთთან ფლირტს შეწყვეტს, დღესვე დააბრუნებდა ამ კუთხეებს!** ახლა ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, მისთვის ტერიტორიების დაბრუნებაა უპირატესი თუ დასავლეთის სტრუქტურებში ღირსებისა და დამოუკიდებლობის სრული დათმობის საფასურად შეღწევა.

სამწუხაროდ, აქციებზე დამსწრე სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეთა დიდ ნაწილს ჰგონია, რომ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებს და ვერ ხვდება, რომ უნებურად უცხოეთიდან დაფინანსებული რეზიდენტების ნების აღმსრულებლად იქცა. განათლების სისტემის მძაფრი კრიზისი რომ არა, აქციებზე ახალგაზრდების ასეთი სიმრავლე არ იქნებოდა. **განსაკუთრებით ვღიზიანდები, როდესაც აქციებზე „გლოვოსა“ და „ვოლტის“ კონკრეტულ კურიერებს ვხედავ. მიმიფურთხებია მათ მიერ მოტანილი პროდუქტისთვის!**

**— რახანია, მუსირებს აზრი, რომ აკერმანისა და სხვა თანამედროვე მეთოდოლოგიებით გაწვრთნილმა ორგანიზატორებმა ნებისმიერ მომენტში შეიძლება, ხალხმრავალ აქციაზე თავად იმსხვერპლონ მომხრეები, როგორც ეს კიევის მაიდანზე გააკეთეს...**

— სისხლისღვრის მიზნით, დიდი ხანია, დასავლეთელი ინსტრუქტორები გეგმავენ, საქართველოში შემოაპარონ უკრაინაში დაბანაკებული, საგანგებოდ გაწვრთნილი „ქართული ლეგიონის“ ბოევიკები **მამუკა მამულაშვილის** ხელმძღვანელობით. ჩვენმა ძალოვნებმა არ უნდა დაუშვან, რომ მათ საზღვარი გადმოლახონ, რაც ხელისუფლების დამხობის გარდა, რუსეთთან მეორე ფრონტის გახსნის წინაპირობა გახდება. მომხრე ვარ, აქციის იმ მონაწილეთა მიმართ, ვინც მშვიდობიანი გამოხატვის ფარგლებიდან გასულია — მოპყრობა კანონის ფარგლებში გამკაცრდეს იმგვარად, როგორც ეს ევროპაში და ამერიკაშია! ჩვენი პოლიციელები თავს იცავენ „მოლოტოვის კოქტეილებით“ შეიარაღებული აგრესიული ზონდერების წინაშე, მაშინ, როდესაც ამერიკაში კაპიტოლიუმის შენობაზე მოიერიშე აქციის მონაწილეებს იქაური პოლიცია პირდაპირ ცეცხლს უხსნის! ტელევიზიით ვიხილეთ, როგორ ეპყრობა ადგილობრივი პოლიცია საფრანგეთში იმ დემონსტრანტებს, რომლებიც სამართალდამცველებს ეურჩებიან! საქართველოშიც ანალოგიური მიდგომაა საჭირო ნებისმიერი ჯგუფის მიმართ, ვინც კანონს დაარღვევს!

***— როგორ დასრულდება ეს მოვლენები?***

— გამჭვირვალობის კანონი უკვე მიღებულია. რეზიდენტი პრეზიდენტის ვეტოსაც იოლად დავძლევთ და ვერც ხალხმრავალი აქციებით გაგვაკვირვებენ, რადგან 17 მაისს გამოჩნდა, რომ ქართველი საზოგადოების უმრავლესობა ევრო-ამერიკული ღირებულებებისაგან განსხვავებული ეროვნული, ტრადიციული და ქრისტიანული ღირებულებების მხარდამჭერია!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

# „შინ ევროპაში“ და „ნატო-ნატოს“ ძახილში აფხაზეთსა და სამაჩაბლოს კოდორი და ახალგორიც მივაყოლეთ და მომავალში სხვა ტერიტორიებსაც დავკარგავთ!“

ასავალ-დასავალი
2024 წლის 27 მაისი. №27 (263)
სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# თამაზ წივწივაძე ცოცხალი რომ იყოს!



თამაზ წივწივაძე 1941–2018

***თამაზ წივწივაძე ცოცხალი რომ იყოს! — ვინ იცის, ბოლო 6 წლის განმავლობაში რამდენჯერ გვიფიქრია და გვინატრია მისი შემოქმედების გურმანებს.***

ასეთები კი საქართველოში ცოტანი არა ვართ.

ცოტანი კი არა, ძალიან ბევრნი ვართ, ვინც ვიცით თამაზ წივწივაძის კრიტიკისა და პუბლიცისტიკის, მისი ძარღვიანი და, იმავდროულად, ბუმბულივით მსუბუქი, სასწაული იუმორითა და სარკაზმით შეკაზმული სიტყვის გემო, სურნელი და არომატი.

**თამაზ წივწივაძე ცოცხალი რომ იყოს!**

მონატრებების მეტი რა არსებობს: სამშობლოს მონატრება... მეგობრის მონატრება... სატრფოს მონატრება... ბავშვობის მონატრება... ბებიის ხელით მომზადებული კერძის მონატრება... ცხოვრებაში პირველად ყველასაგან მალულად მოწეული თამბაქოს ნაფაზმაც კი იცის მონატრება და კიდევ ბევრი რამე და ბევრი ვინმე შეიძლება, მოგენატროს ადამიანს.

**ჰო, თურმე, რესპონდენტიც შეიძლება, მოგენატროს.**

**სხვის მაგივრად რომ არ ვილაპარაკოთ, მარტო ჩვენ რამდენჯერ მოგვნატრებია თამაზ წივწივაძე, როგორც რესპონდენტი.**

**თამაზ წივწივაძის,** როგორც კრიტიკოსისა და პუბლიცისტის მონატრებას, ასე თუ ისე, უშველი — გადმოიღებ თაროდან მის წიგნებს და ხელთავიდან გადაიკითხავ **„ლოზუნგების ქვეყანას“, „ბრიშა ბიძიას“** და კიდევ სხვა პუბლიცისტურ შედევრებს; ანდა **„ლიტერატურული საქართველოს“** ფოლიანტებში ჩაძვრები და იქ მოიკლავ თამაზ წივწივაძის ჰაეროვანი სიტყვის მონატრებას, მაგრამ ინტერვიუს რას გაუხერხებ? **რესპონდენტ თამაზ წივწივაძეს საიდან მოიყვან? მასთან გაბაასების სიამოვნებას როგორ დაიბრუნებ?**

ერთი-ორჯერ ვცადეთ ჩვენ მაგის გაკეთება და ბატონი თამაზის გარდაცვალების შემდეგ მასთან მოდელირებული ინტერვიუები ჩავწერეთ... ვითომ აქედან იქ — ზეციურ საქართველოში გავესაუბრეთ, ვალაპარაკეთ თავის სტილში და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები შევაფასებინეთ... მკითხველთა გამოხმაურებითა და რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, მთლად ურიგოდაც არ გამოგვსვლია, მაგრამ ეგ მაინც სუროგატული ამბავია, მხატვრული ხრიკი თუ რაღაც ამისთანა, რაც ვერანაირად ვერ იქნება ისეთი ნამდვილი, როგორებიც იყვნენ **თამაზ წივწივაძე და მისი კალამი, თამაზ წივწივაძე და მისი სიტყვა, თამაზ წივწივაძე და მისი ფილიგრანული სატირა.**

**თამაზ წივწივაძე ცოცხალი რომ იყოს!**

მისი სიტყვა და კალამი, მისი ძალუმი შემოძახილი და შეგონება საქართველოს განსაკუთრებით ახლა სჭირდება, ამ პოლიტიკური ადუღების დროს, ამ რთული და მძიმე მოვლენების ფონზე, როცა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო ლამის ყოფნა-არყოფნის მიჯნას მიუახლოვდა...

**რას იტყოდა, რას დაწერდა, რას დაიძახებდა დღეს თამაზ წივწივაძე?**

დარწმუნებული ვართ, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მოღვაწეობის გამღმერთებელ **თამაზ წივწივაძეს** შხამიანი ისარივით მოხვდებოდა გულზე ის, რაც ამასწინათ იკისრეს ნეოლიბერალური იდეოლოგიისა და პროპაგანდის ბანგით გამობრუჟულმა ნორჩმა აქტივისტებმა, რომლებმაც დიდი ილიას საკრალური ტრიადიდან **„სარწმუნოება“** გააქრეს და ლოზუნგი **„მამული, ენა, ერთობა“** გამოჩორკნეს.

ამის შემხედვარე **თამაზ წივწივაძე,** ალბათ, თავისივე სიტყვას გაიხსენებდა, 1997 წელს, ილიას 160 წლის იუბილეზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში რომ წარმოთქვა და შემდეგ თავის **„ლიტერატურულ საქართველოშიც“** გამოაქვეყნა:

*„ძვირფასო თანამემამულენო! **საქართველომ უნდა მიაღწიოს იმას, რომ მის მიწაზე აღარ შეიძლებოდეს ილია ჭავჭავაძის მოკვლა...** არადა, ჩვენდა საუბედუროდ, ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული პარტიები და პარტიული კლანები ხელის აუკანკალებლად გაიმეტებენ ილიას...“*

რომ შეხედავდა **თამაზ წივწივაძე,** როგორ ცდილობს დღევანდელი პატარა საქართველო, საკუთარი თავი თავადვე ეყუდნოდეს, როგორ ლამობს 30-წლიანი მოჯადოებული წრიდან თავის დაღწევასა და მოოქროვილი ბორკილების გაწყვეტას, ალბათ, ისევ იმას იტყოდა, რაც თქვა და დაწერა 1997 წელს, ილია ჭავჭავაძის 160 წლის იუბილეზე:

*„ბატონებო! ილიას არსებობის აზრი საქართველოზე ფიქრი და საქართველოსთვის ბრძოლაა! ჩვენ ჩვენი წარსულის, აწმყოსა და მომავლის შეფასების უცთომელი კრიტერიუმები გვაქვს — ილიას ფილოსოფია, ილიას ესთეტიკა, ილიას მორალური კოდექსი, ილიას მიერ შემუშავებული კანონთა კრებული... სწორედ ილიას ყურით უნდა გავიგონოთ, ილიას თვალით უნდა დავინახოთ, ილიას ენით გამოვთქვათ, ილიას თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ საგნები, მოვლენები, ადამიანები, ხალხები, ქვეყნები!..“*




**ასე წერდა თამაზ წივწივაძე!**

**ასე იტყოდა თამაზ წივწივაძე!**

**თამაზ წივწივაძე ცოცხალი რომ იყოს!**

ხოლო **თამაზ წივწივაძის** დიდი და მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელსაც სიკვდილი ვერასოდეს დაემუქრება, მისი ერთგული მკითხველისათვის კიდევ ერთხელ ხდება ხელშესახები სულ ცოტა ხნის წინათ გამოცემული წიგნის სახით, რომელსაც ჰქვია **„რაგინდ დიდი გული გქონდეს...“**

წიგნის შემდგენელია **თამაზ წივწივაძის და,** ცნობილი ჟურნალისტი, 120 წლის საბავშვო ჟურნალ „დილას“ მთავარი რედაქტორი, **ქალბატონი დოდო წივწივაძე,** წინასიტყვაობაში კი ვკითხულობთ:

*„**თამაზ წივწივაძე** — ეს სახელი და გვარი მუდამ ასოცირდება მძაფრ კრიტიკულ წერილებთან, ირონიასა და სარკაზმამდე მისულ იუმორთან, არადა, მწერლის შემოქმედება საკმაოდ მდიდარია წერილებით, სადაც ის გამოწვლილვით შეისწავლის ამა თუ იმ კოლეგის შემოქმედებას, აღფრთოვანებას გამოხატავს პოეტისა თუ პროზაიკოსის მიერ მიგნებული მხატვრული სახეებით, სიყვარულითა და სითბოთი გაჯერებული სტრიქონებით ეხმიანება იუბილარ თანამოკალმეებს... ამ წიგნით შევეცდებით, მკითხველს თამაზ წივწივაძის — კრიტიკოსისა და პუბლიცისტის, მეგობრისა და კოლეგის — ეს შედარებით ნაკლებად ცნობილი მხარე წარმოვუჩინოთ“.*

**„რაგინდ დიდი გული გქონდეს...“**

წინ გვიდევს ქალბატონი **დოდო წივწივაძის** მიერ საჩუქრად მორთმეული **თამაზ წივწივაძის** ახალი წიგნი, რომელმაც ცოტა ხნით უნდა გაგვინელოს მისი კალმის ნაყურის მონატრება.

ცოტა ხნით!

მერე კი თავიდან მივუბრუნდებით ამ ახალ წიგნსაც ისევე, როგორც დროგამოშვებით ვუბრუნდებით ხოლმე ძველებს — ნაჩუქარს თავად **თამაზ წივწივაძის** ხელით.

**„რაგინდ დიდი გული გქონდეს...“**

რა თქმა უნდა, ეს სათაური **თამაზ წივწივაძის** წიგნისათვის გალაკტიონისაგან არის ნასესხები: **„დღე გაფითრდა იაგუნდის, დგას ღრუბლების ჯგუფები, რაგინდ დიდი გული გქონდეს, მაინც დაიღუპები“.**

**თამაზ წივწივაძეს** გალაკტიონი ძალიან უყვარდა... და კიდევ, თამაზ წივწივაძეს ძალიან უყვარდა საკუთარი მკითხველი, რომელსაც წიგნის დასაწყისშივე უმხელს: **„გულში როდემდე უნდა ვმალო — მიყვარხარ, მკითხველო!“**

**და ჩვენ გულში როდემდე უნდა ვმალოთ თამაზ წივწივაძის, როგორც უფროსი მეგობრისა და ძვირფასი რესპონდენტის მონატრება!**

არა, ამას გულში ვერ დამალავ, რაგინდ დიდი გული გქონდეს!

**თამაზ წივწივაძე ცოცხალი რომ იყოს...**

**ჯაბა ხუბუა**

ლიტერატურული საქართველო

# გივი ალაპიშვილი:

# დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში თავად რუსების დახმარებით აფხაზეთსაც დავიბრუნებთ და სამაჩაბლოსაც!

***ქართველმა ფერმწერმა და გრაფიკოსმა გივი ალაპიშვილმა, რომლის ნამუშევრებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა და პლანეტის უმდიდრესი და სახელგანთქმული ადამიანების კოლექციებშია დაცული, ახლახან ერეკლე მეორის უზარმაზარი ტილო დახატა. რა იდეა ჩააქსოვა მხატვარმა გმირი მეფის სახების განხორციელებაში, ამის გასარკვევად მას თბილისში, ტოვსტონოგოვის ქუჩაზე, მდებარე სახელოსნოში ვესტუმრეთ.***

**გივი ალაპიშვილი:** — რეალიზმი ნიშნავს, ასახო ის რეალობა, რასაც ხედავ. ხატვას სელის ზეთში ვამჯობინებ. არ დამითვლია, რამდენი ნამუშევარი მაქვს შესრულებული, ვარაუდით, 400-მდე იქნება, მაგრამ ნახატები სახლში არ მიჩერდება, მალევე იყიდება. უამრავი ნამუშევარი დავტოვე ავსტრიასა და ესპანეთში, როცა ევროპაში ვმოღვაწეობდი. ძალიან ბევრი ნახატი ინახება რუსეთშიც, თუმცა, მათი საკმაო ნაწილი, მათ შორის, „იმპერატრიცა ეკატერინე მეორე“ და „პეტრე პირველი“, რომლებიც მოსკოვში, ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, იყო დაცული, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დაიტაცეს და უკვალოდ გაქრა. მრავალი ნახატი, მათ შორის, ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი, ოთარ შალიკაშვილი, ზურაბ წერეთელი, არაბეთის პრინცი, თელ-ავივის მერია, ახმედ კადიროვი და სხვები პლანეტის ცნობილი ადამიანების კერძო კოლექციებში ინახება.

**— ერეკლე მეფის დასახატად რამ გიბიძგათ?**

— ერეკლეს მერე ქართველებს, ფაქტობრივად, მეფე აღარ გვყოლია. მისმა შვილებმა ვერ გასწიეს მეფობის ჭაპანი. კაცი ამდენი ჭრილობით მოხუცებულობის ჟამსაც ხმალს იქნევდა და არნახულ პატივისცემას იმსახურებს. იმ ძნელბედობის ჟამს ერთადერთი გამოსავალი რუსეთთან ხელშეკრულების დადება იყო და რა უნდა ექნა? ახლაც მსგავს, შეიძლება ითქვას, უარეს მდგომარეობაში ვართ! ეროვნული ცნობიერება თითქმის წაშლილია, ქართველი ერის დიდი ნაწილი ლუკმაპურის საშოვნელად ემიგრაციაში გაილალა; ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა აღარ არსებობს, დამოუკიდებლობიდან არაფერი შეგვრჩა ფორმალური სტატუსის გარდა და დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის დედანიც კი დაკარგულია! **დასავლეთიდან ისეთი დავალებები გვესმის, ზნეობის მიმდევარ ადამიანს სირცხვილისგან გული გაუსკდება!** ეს ზნედაცემული დასავლეთი რუსეთს პირდაპირ ეომება, ომში ქართველების ჩასათრევად ყველა ზომას მიმართავს, **არადა, ჩვენთვის გამოსავალი რუსეთთან დაპირისპირებაში კი არა, მეგობრული ურთიერთობების აღდგენაშია!**

რუსეთისგან განსხვავებით, დასავლეთი ვერ უზრუნველყოფს საქართველოსთვის ვერც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ვერც ეკონომიკის აღორძინებას. თავის დროზე, როდესაც საქართველოს თურქეთი და ირანი უპირებდნენ გადაყლაპვას, ერეკლემაც ბევრი იფიქრა გამოსავალზე და ბოლოს რუსეთთან კავშირის დამყარების მყარი გადაწყვეტილება მიიღო. **სწორედ ამ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით ფიზიკურად გადარჩა და გამრავლდა ქართველი ერი, მოაღწია 21-ე საუკუნემდე!** ამჟამად საქართველო კიდევ უფრო მძაფრი განსაცდელის წინაშე დგას და მხოლოდ ბრძნული გადაწყვეტილება გადაარჩენს. ერეკლე მეფის დახატვით ქართველ ხალხსა და ხელისუფლებას ასეთი გადაწყვეტილების აუცილებლობაზე მივანიშნებ!

**— მაგრამ რუსეთთან საქართველოს ურთიერთობას უამრავი ნეგატიური ეპიზოდიც ახლავს... ოკუპირებულ ტერიტორიებს ვინ დაგვიბრუნებს?**

— ათიოდე წლის ვიყავი და ზაფხულს კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში მცხოვრებ ბებიასთან ვატარებდი. მეზობელს თხებისა და ცხვრების მცველად უზარმაზარი ნაგაზი ბობა ჰყავდა მიჩენილი, რომელსაც უამრავი მგელი და აფთარი დაეგლიჯა. დღისით ძაღლი დაბმული იყო, რადგან მისი ადამიანებსაც ეშინოდათ და მხოლოდ ღამით უშვებდნენ. ერთხელაც ორღობეში მეგობრებთან შესახვედრად გავრბოდი, როცა ბობამ მსხვილი ჯაჭვი აიწყვიტა, მაღალ ღობეს გადმოევლო და პირდაფჩენილი გამომენთო. განწირულს ბებიას და მეზობელი ქალების სასოწარკვეთილი კივილიც მომესმა, მაგრამ ანაზდად პაპის დარიგება გამახსენდა — **ძაღლს ქვა არ ესროლო, ჯოხი არ მოუღერო, აგრძნობინე, რომ საფრთხეს არ წარმოადგენ.** გონება მოვიკრიბე და მიწაზე დავჯექი. ყეფა-ღრენით მოირბინა და ყნოსვა დამიწყო. დათაფლული ხმით რომ მივეფერე, კუდიც ამიქიცინა. მივხვდი, აღარაფერს დამიშავებდა და გავთამამდი, უზარმაზარ თავზე ხელი გადავუსვი. პასუხად მეგობრული წკმუტუნით ხელები ალერსიანად ამილოკა. იმგვარად დასრულდა ფათერაკი, რომ ბობას საყელურში ხელი წავავლე, ფერება-ფერებით თავის ბუნაგთან მივიყვანე და განცვიფრებული მეზობლების თვალწინ ჯაჭვითაც დავაბი!

**— ეს ამბავი ახლა რად გაგახსენდათ?**

— ძლევამოსილი იმპერიებით



**„ერეკლე მეფის დახატვით ქართველ ხალხსა და ხელისუფლებას ასეთი გადაწყვეტილების აუცილებლობაზე მივანიშნებ!“**

## კვირგვინოსნები

**ავთანდილ ვარსიმაშვილი**
*თავისუფალი თეატრის დამაარსებელი, რეჟისორი*



თეატრმა **მოქალაქეობრივი პოზიცია** უნდა გამოხატოს თავისი სპექტაკლებით და არა ქაღალდზე დაწერილი დეკლარაციებით.

„ახალი თაობა“

**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*



ეკონომიკური მდგომარეობით ქვეყანაში **ისეთი არაფერი ხდება, რომ ან ბანკებს, ან ვალუტის გაცვლით კურსს შეექმნას საფრთხე.** უნდა ვივარაუდოთ, რომ „ქართული ოცნება“ ფლობს რაღაც ისეთ ინფორმაციას, რის გამოც დააჩქარა ამ კანონის მიღება.

„კვირის პალიტრა“

**ნიკა გვარამია**
*პარტია „ახალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ახლა გავიგე, რომ **ნატა ფერაძეს** ოჯახთან ერთად მოუწია ქვეყნის დატოვება, რადგან **დაჭერას უპირებდნენ სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით.** მეგობრებო, სამშობლოს ასე კარგავენ ადამიანები: **ჯერ — ერთეულებს, მერე ყველა პატრიოტს უწევს ქვეყნის დატოვება.**

„რეზონანსი“

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



დღეს ქვეყანა ეკონომიკურად წინ მიდის, **ნელ-ნელა საქართველო დამოუკიდებლობის რელსებზე დგება** და ისეთი ხელისუფლებაა სათავეში, დარწმუნებული **ვარ, ბოლომდე გაიყვანს ქვეყანას სამშვიდობოს.** „იმედინიუსი“

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ვინც **კენჭების სროლას** იწყებს, მერე მას **ლოდებს ესვრიან.** ეს სამწუხარო ისტორიული ჭეშმარიტებაა.

„ალია“

# „ქართველისათვის რუსი ყოველთვის გაცილებით ახლობელი იქნება, ვიდრე – ევროპელი ან ამერიკელი!“

გარშემორტყმულმა საქართველომ აქამდე ამ პოლიტიკით მოაღწია! რუსეთთანაც ხომ ანალოგიური დამოკიდებულება გვაქვს... გვიღრენდა, დასაგლეჯად გვეტანებოდა, რადგან დასავლეთთან ფლირტის გამო ჩვენგან საფრთხეს და მტრულ დამოკიდებულებას გრძნობდა! ნელ-ნელა რწმუნდება, რომ ჩვენგან საფრთხე აღარ ელის. **ევროპას და ამერიკას ჩვენ საზარბაზნე ხორცად ვუნდივართ; მათგან განსხვავებით, რუსებს საქართველო მოკავშირედ სჭირდებათ.**

**რუსის ბუნება ისეთია – თუ მის ძალას ვაღიარებთ და მის ინტერესებს საფრთხეს არ შევუქმნით, ოდენ ტკბილი სიტყვით დავიმორჩილებთ და მიტაცებულ ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ!**

რუსის ხასიათს კარგად აუღო ალღო ჩვენმა დიდმა თანამემამულემ იოსებ სტალინმა, დაიმორჩილა და სათავეში მოექცა. მათ — მძლავრი იმპერია, ხოლო ქართველებს ამ იმპერიის ძალებით დაცულ საზღვრებში საამური ცხოვრება შეუქმნა! რუსები ხომ სიცოცხლეს სწირავდნენ შეძახილით **„სამშობლოსათვის! სტალინისათვის!“** დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში თავად რუსების დახმარებით აფხაზეთსაც დავიბრუნებთ და სამაჩაბლოსაც!

უბრალო რუსების უმრავლესობას ქართველები და ქართული კულტურა გულწრფელად უყვარს. რუსებს და ქართველებს 240-ზე მეტი წლის თანაცხოვრების განმავლობაში საერთო კულტურა და ურთიერთობის ტრადიციებიც გაუჩნდათ, ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთის წინაშეც არაერთხელ ჩავჭრილვართ, მაგრამ **ქართველისთვის ყოველთვის რუსი გაცილებით ახლობელი იქნება, ვიდრე — ევროპელი ან ამერიკელი** და, რაც უნდა გზები აგვირიონ, ისევ და ისევ ერეკლე მეფის სიტყვებით რომ ვთქვათ ბარათაშვილის უკვდავი პოემიდან: **დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!**

**— მაგრამ ახალი თაობის ნაწილი მაინც „შინ ევროპაშიო“ გაიძახის.**

— **ეს ბავშვები მე ევროპას ვერ მასწავლიან! მიცხოვრია ავსტრიაში, იტალიაში, პოლონეთში.** თავად ევროპელები ბუნებით კონსერვატორები არიან, მაგრამ ევროპის თანამედროვე ხელისუფლება — **ევროკავშირი — არ გამოხატავს ევროპელი ხალხების ნებას და მისწრაფებებს!** ხოლო, რაც საქართველოს მიმართ ევროკავშირს მოთხოვნები გააჩნია, მიუღებელია ჩვენი ეროვნული იდენტობისთვის, ასევე ზნეობის მქონე თითოეული მოქალაქისთვის!

ვიმეორებ — დღევანდელი რუსეთი, სადაც მამათმავლობა კანონით იზღუდება, მენტალობით გაცილებით ახლოა ქართულ ტრადიციულ ზნეობასთან. **მომხრე ვარ, მამათმავლობა საქართველოშიც კანონის ძალით ისჯებოდეს, როგორც ეს სტალინის დროს იყო!** თურმე, მართლა რა მრავალრიცხოვანი აგენტურა გვყოლია საქართველოში, რომელიც ჩვენი ახალი თაობის გადაბირებას, ეროვნული ცნობიერების ჩარჩოებიდან მათ გადაყვანას, სარწმუნოებისგან მათ გამიჯვნას ლამობს! მინდა, ვისარგებლო და „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან შევევედრო მათ — **ბავშვებო, გონს მოდით! გაიაზრეთ, ვის სამსახურში აღმოჩნდით და ფარად ვინ გიყენებთ!**

**— „ასავალ-დასავალს“ ხშირად კითხულობთ?**

**– ყოველი ორშაბათის გათენებას მოუთმენლად ველოდები. დილიდანვე ვაკიდან მარჯანიშვილის მოედნისკენ ტაქსით მივდივარ და, თუნდაც დამაგვიანდეს, გაზეთების გამყიდველს პაატა ხოხობაშვილს ჩემთვის ყოველთვის ექნება გადანახული „ასავალ-დასავალის“ ეგზემპლარი!**

ავდივარ სახელოსნოში და ყველა გვერდს ინტერესით ვკითხულობ. **ეს ის გაზეთია, რომელიც ზუსტად გამოხატავს საკითხების მიმართ ჩემს დამოკიდებულებას, ჟურნალისტების მიერ სტატიებში ჩაქსოვილი ემოციებიც კი ჩემეულია!**

განცვიფრებული ვარ, როგორ უდრეკად და შემართებით დაუპირისპირდა „ასავალ-დასავალი“ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს, ამხილა ადამიანების წამება, ბანკებისა და მევახშეების თავგასულობა. სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ნაშთების გარშემო დღემდე არიან გაერთიანებულნი უცხოეთიდან მართული და დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, პარტიები და ცალკეული პირები: **მევახშეები, ზონდერები, თაღლითები, ათასი ჯურის კრიმინალები.** მევახშეების მხრიდან წნეხი და ძალმომრეობა საკუთარ თავზე მეც ვიწვნიე, ამიტომ მჯერა თქვენი გაზეთის, რომელიც დღემდე თამამად და უშიშრად ამხელს ყოველ უღირსს, ყოფილ თუ მოქმედ მოხელეს!

**— ამჟამად რას საქმიანობთ?**

— სხვადასხვა ქვეყანაში დაინტერესებული არიან ჩემი ნამუშევრების გამოფენის მოწყობით. ამჟამად რუსეთიდან არის ინტერესი და ვმუშაობთ ჩემი ნამუშევრების თავმოსაყრელად, რაშიც უანგაროდ მეხმარება ჩემი მეგობარი, ცნობილი ისტორიკოსი **მამუკა კარტოზია.** სხვათაშორის, ნახატების ნაწილი მოსკოვში, ტრეტიაკოვის სახელობის გალერეაშია დაცული. სამწუხაროდ, ჩემი ნახატები თბილისის ომის დროს გალერეაში გაჩენილმა ხანძარმაც გაანადგურა.

**— რა შინაარსის იქნება ნამუშევარი, რომელსაც ახლო მომავალში დახატავთ?**

— ორიოდე თვის წინ ერეკლე მეფე ტყუილად არ დამიხატავს! ამ ნამუშევარში ჩავაქსოვე ჩემი პოზიცია და საქართველოს მომავალი გეზიც. რუსეთ-საქართველოს მეგობრობის აღსანიშნავად ჩაფიქრებული მაქვს სერიალის — **ვახტანგ მეექვსის, გრიბოედოვის და ვორონცოვის დახატვა,** ხოლო ამ სერიალის აპოგეა ჩემს გონებაში ჯერჯერობით მხოლოდ კონტურის სახით არსებობს, რადგან პოლიტიკური მოვლენები ჯერ ისევ მიმდინარეობს და შედეგის სახე არ მიუღია.

**ერეკლე მეფის ღვაწლი ახალი საქართველოს იდეურ საფუძვლად უნდა იქცეს. ამიტომ მინდა, ბოროტებაზე გამარჯვებული სიკეთის, მართლმადიდებელ ქვეყნებს შორის გაბრწყინებული სამშობლოს სურათი შევქმნა, რაც, წმინდა წერილის წინასწარმეტყველების მსგავსად, უეჭველად აღსრულდება!**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***



**„რუსის ხასიათს კარგად აუღო ალღო ჩვენმა დიდმა თანამემამულემ იოსებ სტალინმა, დაიმორჩილა და სათავეში მოექცა!“**

*__გივი ალაპიშვილი__ დაიბადა ბათუმში __1949 წლის 21 ოქტომბერს.__ 1968-1973 წლებში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, 1973-1976 წლებში კი — უჩა ჯაფარიძის შემოქმედებითი სახელოსნო თბილისში. __გამოფენები:__ 1998-2000 — თანამედროვე ხელოვნების გალერეა, თბილისი, საქართველო; 1994 — პერსონალური გამოფენა, ავსტრია; 1985 — პერსონალური გამოფენა, გერა, გდრ; 1977 — იაპონია; 1976 — უნგრეთი; 1976 — ფინეთი. ნამუშევრები დაცულია: ეროვნული გალერეა, თბილისი, საქართველო; ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი, რუსეთი. ცნობილი ადამიანების (ზურაბ წერეთლის, ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის, რამზან კადიროვის, რიჩარდ კოენის და სხვების...)კერძო კოლექციებში. სახელგანთქმული უნგრელი მხატვრის, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ილუსტრატორის მიხაი ზიჩის სახელობის პრემიის ლაურეატი.*




**„განცვიფრებული ვარ, როგორ უდრეკად და შემართებით დაუპირისპირდა „ასავალ-დასავალი“ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს, ამხილა ადამიანების წამება, ბანკებისა და მევახშეების თავგასულობა!“**

## კვირგვინოსნები

**გიორგი კობერიძე**
*ანალიტიკოსი*



არ არის გამორიცხული, **ჩინეთი მალე ვიხილოთ ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ** დასავლეთის წინააღმდეგ.

„კვირის პალიტრა“

**ნოდარ ხარშილაძე**
*„სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელი*



საქართველოს ხელისუფლებას **უკვე აქვს ყვითელი ბარათი** და აფრთხილებენ, რომ **შემდეგი იქნება წითელი.**

„ახალი თაობა“

**თიკა მახალდიანი**
*მომღერალი*



**როცა ქვეყანაში არეულობაა, არავის აინტერესებს შენი სიმღერა.** მე თვითონაც ხასიათების ადამიანი ვარ, ყველაფერს ემოციურად აღვიქვამ. **არ მაქვს ხალისი, რომ ვაკეთო სიმღერა და ვიფიქრო ჩემს კარიერაზე.**

„სარკე“

**ანა ამილახვარი**
*მსახიობი*



32 წლის ვარ და რამდენჯერ ვიდექი ქუჩაში, არ მახსოვს. მომბეზრდა! **„ოცნების“ წინა მთავრობაც და იმის წინაც გადავაყენეთ. ვფიქრობდი, რომ ეს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ არ მთავრდება.** არ მინდა, პოლიტიკაზე რამე ვიცოდე. მხოლოდ ჩემი საქმის კეთება მინდა, მაგრამ **პოლიტიკა მეჭრება ოჯახსა და საქმეში.**

„სარკე“

**ირაკლი ქვანია**
*მოქანდაკე*



საფრანგეთის სენატის თავმჯდომარემ **ჩემი გაკეთებული პატარა უფლისწულის ქანდაკება რომ ნახა,** გვითხრა — გვაჯობეთო.

„თბილისელები“



# იგორ კვესელავა: მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტს ძვლები ავტომატის კონდახით ან სხვა მსგავსი საგნით დაუმტვრიეს!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ ბესარიონ გუგუშვილისა და რობიზონ მარგველანის უცნაურ ქცევას აღწერს და წალენჯიხის რაიონის სოფელ ულურიაში, კახა მოლაშხიას ოჯახში, მათ სტუმრობას იხსენებს:***

— წინააღმდეგობები, რომელიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში **მანანა არჩვაძე-გამსახურდიას, ბესარიონ გუგუშვილს, რობიზონ მარგველანსა** და პირველი პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრებს შორის არსებობს, ცხადზე ცხადია. მაგალითად, როგორც **ბესარიონ გუგუშვილი** ამტკიცებს, ქალბატონი მანანა მას ასეთ რამეს ეუბნებოდა — *„ბატონო ბესარიონ, თქვენ უნდა თქვათ, რომ ზვიადი ბრძოლაში მოკლეს! მე არ მაწყობს მისი თვითმკვლელობა. ამის თქმას მე ყოველთვის მოვასწრებ. ამას თუ არ იტყვით, მაშინ მე იძულებული ვიქნები, თქვენ დაგაბრალოთ ზვიადის მოკვლა!“*

ნამდვილად უთხრა თუ არა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ ბესარიონ გუგუშვილს ეს, ამის კვლევით საქართველოში შესაბამისი ორგანოები ჯერ არ დაინტერესებულან. არც იმის ძიებით შეუწუხებია ვინმეს თავი, რაც 2005 წელს გახდა ცნობილი და **გუგუშვილსა** და **მანანა არჩვაძე-გამსახურდიას** შორის გაფორმებულ „გარიგება-შეთანხმებას“ ადასტურებს. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ **კონსტანტინე ზ. გამსახურდიას** კომისიის მიერ მოპოვებული მასალები აბსოლუტურად ეწინააღმდეგება და ძირშივე აბათილებს იმ ზღაპრებს, რომელსაც **გუგუშვილი და მარგველანი** გვიყვებიან. უფრო მეტიც, **ბესარიონ გუგუშვილმა** ვიკიპედიაში გამოაქვეყნა ზვიად გამსახურდიას ე.წ. „წერილი“, რომელიც პირველმა პრეზიდენტმა თითქოსდა „თვითმკვლელობის“ წინ დაწერა... „წერილში“ ვკითხულობთ — *„ნათელი გონებით მე ამ ქმედებას ვასრულებ საქართველოს მმართველი რეჟიმის პროტესტის ნიშნად, რადგან მე არ მაქვს საშუალება, როგორც პრეზიდენტს, სიტუაცია მოვაგვარო და აღვადგინო კანონიერი წესრიგი!“* ხედავთ, რასთან გვაქვს საქმე?

**— მსგავსი „წერილი“ ბუნებაში მართლა არსებობს? გუგუშვილმა „წერილის“ დედნის ფოტოპირი გამოაქვეყნა?**

— „წერილის“ დედანი არ არსებობს, ასეთი რამ არავის უნახავს, თუმცა, **გუგუშვილი** ამტკიცებდა, რომ ასეთი „წერილი“ არსებობდა. საერთოდ, **ბესარიონ გუგუშვილი** მთელი ამ წლების განმავლობაში ძალიან მოხერხებულად არიდებდა და არიდებს თავს ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებათა შემსწავლელ ნებისმიერ კომისიასთან თუ საგამოძიებო უწყებასთან თანამშრომლობას. **გუგუშვილი** ამის მიზეზად სამ გარემოებას ასახელებს:

1. ლეგიტიმურად არ ცნობს საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას;
2. არსებობს „შეთანხმება-ხელშეკრულება“ პრეზიდენტის ოჯახთან, რომლის თანახმადაც ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მოწმეები არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდნენ გამოძიებაში;
3. გამოძიების წამოწყება და განახლება თავიდანვე არასამართლიან პრინციპზეა აგებული — „ზვიად გამსახურდია თავს არ მოიკლავდა!“

ცნობისათვის, ბესარიონ გუგუშვილი ამასაც კი ირწმუნებოდა: *„ზვიად გამსახურდიას პისტოლეტიდან ჯერ კიდევ ბოლი ამოდიოდა, მიცვალებულის სხეული მოძრაობდა... ამიტომ მარგველანმა ხელიდან გამოგლიჯა პისტოლეტი, კიდევ რომ არ გაესროლა. იმ მომენტში, სიბნელეში გაურკვეველი იყო, პრეზიდენტი ცოცხალი იყო თუ მკვდარი!“* აი, ასეთ შეუსაბამობებთან გვაქვს საქმე... ზვიად გამსახურდია რომ სხვაგან არის მოკლული და იმ საწოლში მერე არის ჩაწვენილი, ამას ადასტურებს **კარლო ღურწკაიას** ცოლის **ლუდმილა ღურწკაიას** განცხადებაც, რომელიც, სხვათაშორის, ძალიან საეჭვო ვითარებაში არის გარდაცვლილი: **სიკვდილამდე დაახლოებით ერთი საათით ადრე პრეზიდენტს ეცვა პიჟამა, ხოლო საწოლში მოკლულ ზვიადს უკვე კოსტიუმი ემოსა და თავქვეშ ბიბლიოთეკიდან წამოღებული წიგნები ჰქონდა ამოდებულიო.** არც ის წიგნები და არც ბალიში არსად ჩანს! ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ **ბესარიონ გუგუშვილი** თეთრი ფერის „ზაპოროჟეცით“ მოძრაობდა და პრეზიდენტის მკვლელობის ამბავს საგულდაგულოდ მალავდა!

**— მაინც რა იყო ამ საშინელი სიმართლის დამალვის მიზანი?**

— ეს ძნელი სათქმელია, თუმცა, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, **გუგუშვილი** ამ ყველაფერს როგორ და რა ვითარებაში მალავდა! აი, მაგალითად, როდესაც ტელევიზიით გახმაურდა — ზვიად გამსახურდიამ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლეო! — გუგუშვილი ერთ-ერთ ოჯახში სუფრას უჯდა და ილხენდა. ტელევიზიით გაკეთებული განცხადების შემდეგ ოჯახში ატყდა საშინელი ამბავი, ყველა გლოვამ და მწუხარებამ მოიცვა, მაგრამ **ბესარიონ გუგუშვილი** წამოდგა და განაცხადა — **ეს სიცრუე და ჩვენ მიერ მიზანმიმართულად გავრცელებული სიყალბეაო!**

დღემდე მიკვირს, გუგუშვილს რაში სჭირდებოდა ამის თქმა. ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გამომწვევი მიზეზების ჟურნალისტური გამოძიების დეტალები ადასტურებს, რომ პრეზიდენტს მეორე ნატყვიარიც ჰქონდა. მაგალითად, **სოსო თორია** აცხადებდა: გროზნოს პროზექტურაში ცხედრის დათვალიერებისას პათოლოგანატომებმა დააფიქსირეს ჭრილობა, რომელიც მცირე კალიბრიანი იარაღიდან ნასროლი ტყვიით იყო გამოწვეული! პრეზიდენტს საფეთქლის გარდა ხელის ზედა ნაწილშიც ჰქონდა მიყენებული ჭრილობა ძალიან წვრილკალიბრიანი იარაღით! ეს ჭრილობა გროზნოში ხილული გახდა მას შემდეგ, რაც პათანატომებმა ჭრილობაში შუნტი შეიყვანეს. ნაღდი ამბავია ისიც, რომ გროზნოს პროზექტურაში ზვიად გამსახურდიას ცხედარს ოფიციალური ექსპერტიზა არ ჩატარებია.

**— მაშინ რა გამოდის, ზვიად გამსახურდია სინამდვილეში „სტეჩკინით“ არ არის მოკლული და პირველი პრეზიდენტი სხვა იარაღით მოკლეს?**

— დიახ, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კილონახევრიანი „სტეჩკინი“ მოკლულ **ზვიად გამსახურდიას** ხელში დააჭერინეს, როგორც „თვითმკვლელობის იარაღი“, რითიც მკვლელებმა თუ მკვლელების ხელის დამფარებლებმა და ხელშემწყობებმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვეს. ყველა ჭკუათამყოფელი და, მითუმეტეს, პროფესიონალი ექსპერტი, თანხმდება იმაში, რომ კილონახევრიანი „სტეჩკინი“, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი იარაღია და საბჭოთა ტანკისტების შეიარაღებაში შედიოდა, არ შეიძლება, თვითმკვლელს





ლუდმილა ღურწკაია და მისი სახლი სოფელ ძველ ხიბულაში

**„ლუდმილა ღურწკაიას თქმით, სიკვდილამდე დაახლოებით ერთი საათით ადრე პრეზიდენტს ეცვა პიჟამა, ხოლო საწოლში მოკლულ ზვიადს უკვე კოსტიუმი ემოსა და თავქვეშ ბიბლიოთეკიდან წამოღებული წიგნები ჰქონდა ამოდებული. არც ის წიგნები და არც ბალიში არსად ჩანს!“**

## კვირგვინოსნები

**ია მეტრეველი**
*საქართველოს რეჟიმის მიერ მოკლული ბუტა რობაქიძის დედა*



მე, როგორც **ბუტას დედა,** ვიტყვი, რომ ჩემი შვილი აბსოლუტურად უდანაშაულოდ მომიკლეს. ასევე **სანდრო გირგვლიანიც.** ნაციონალებმა 160 ბიჭი ტყუილად დახვრიტეს ქუჩაში იმიტომ, რომ შიში დათესილიყო. ეს **საააკაშვილის** ბრძანება იყო — **ხელი არ აგიკანკალდეთ, ადგილზე ესროლეთო... იური ვაზაგაშვილი** შვილის საფლავზე ააფეთქეს, **ირინა ენუქიძე** სასაფლაოზე მოწამლეს. მე პოლიციელმა გამაფრთხილა, რომ **ჩემი ლიკვიდაციაც დაავალეს** და ასე გადავრჩი. ეს იყო მართლა რეჟიმი და უბედურება.

„კვირის პალიტრა“

**ირმა სოხაძე**
*მომღერალი*



**ჩემზე დიდი ქოცი და ხელისუფლების მომხრე ძნელია, რომ საქართველოში მოძებნოთ,** სულ მეშინია ნაცების რევანშის, მაგრამ რომელი შავი ფული იზამდა იმას, რაც ამ კანონის შემოტანამ გააკეთა?! **რომელი მცდელობა დააპირისპირებდა ასე ნახევარ ქვეყანას მეორე ნახევართან?!** გადაცემა წავიყვანო კი არა, სახლიდან გასვლა არ მინდა! **დღემდე ტრავმული შიში მაქვს წინა ხელისუფლების დაბრუნების.**

„სარკე“

**ლელა რაზიკაშვილი**
*ვაჟა-ფშაველას ფონდის თავმჯდომარე*



ახალგაზრდებო, თქვენ ხართ თავისუფალი თაობა, **თქვენ ვერ შეეგუებით ნაცების სისასტიკეს.** ევროპული გზა არის ქართველი ხალხის არჩევანი! **დღეს ის ხალხი, ვინც ქვეყანაში რუსული მმართველობის სტანდარტი შემოიტანა ქუჩაში ხალხის ხოცვით, წამებით და ა.შ., ევროპულობას გვასწავლის! ამაზე მეტი დისკრედიტაცია წარმოუდგენელია!** ჩვენთვის ევროპული გზა არის ღირებულებები, მათ შორის, **გამჭვირვალობა და თანასწორობა!**

„კვირის პალიტრა“

ხელში შერჩენოდა! გარდა ამისა, იმ პოზიციიდან — ზემოდან ქვემოთ — საიდანაც ზვიად გამსახურდიას ტყვია მოხვდა, შეუძლებელია, თვითმკვლელმა ისეთი მძლავრი იარაღიდან გაისროლოს, როგორიც „სტეჩკინია“. ეს ყოვლად წარმოუდგენელია და ფიზიკის კანონებს ეწინააღმდეგება.

**— ვის ოჯახში განაცხადა ბესარიონ გუგუშვილმა — ზვიადი ცოცხალია, ინფორმაცია მისი თვითმკვლელობის შესახებ მიზანმიმართულად ჩვენ გავავრცელეთ, ასეა საქიროო?**

— ეს მოხდა **კახა მოლაშხიას ოჯახში,** წალენჯიხის რაიონის სოფელ ულურიაში, სადაც სუფრას თამადობდა ძალიან კარგი პოეტი **რინოს კვარაცხელია** სოფელ ნაკიფუდან, რომელიც 2014 წელს გარდაიცვალა. დარწმუნებული ვარ, მას კახა მოლაშხიას ოჯახში გამართული პურობის შესახებ მოსაყოლი და გასახსენებელი ბევრი დარჩა. როგორც **კახა მოლაშხია** იხსენებს, არც გუგუშვილს და არც რობიზონ მარგველანს, რომლებიც სუფრას უსხდნენ და ქეიფობდნენ, მწუხარების არაფერი ეტყობოდათ. არადა, ზვიადი უკვე ერთი კვირის მკვდარი იყო! დიახ, ეს ყველაფერი ხდებოდა **1994 წლის 6 იანვარს,** როცა ტელევიზიამ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდიამ „თვითმკვლელობით“ დაასრულა სიცოცხლე!

**— ეს ისტორია ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეში ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. მაინც რა გამოაცხადა პროგრამა „მაცნემ“ და რა თქვა გუგუშვილმა?**

— საინფორმაციო პროგრამა „მაცნემ“ 1994 წლის 6 იანვარს გამოაცხადა, რომ, **მანანა არჩვაძე-გამსახურდიას** ინფორმაციით, ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა! ამის გაგონებაზე **კახა მოლაშხიების** ოჯახში ატყდა ტირილი და ერთი უბედურება. სიტუაციის განსამუხტავად და ხალხის დასაშოშმინებლად **ბესარიონ გუგუშვილი** წამოდგა და **მანანა არჩვაძე-გამსახურდიას** მიმართ აღტაცება გამოხატა — ქალბატონი მანანა ჭორების გავრცელებაში ძალიან გვეხმარებაო! გეკითხებით თქვენ და ვეკითხები მთელ ქართველ საზოგადოებას — აი, ამის შემდეგ რა ვიფიქროთ და ჩვენ, მკვლევარებმა და მეცნიერებმა, რა დასკვნა გამოვიტანოთ?

**— ანუ მაშინ, როცა ზვიად გამსახურდია უკვე ერთი კვირის მოკლული იყო, კახა მოლაშხიას ოჯახში, სოფელ ულურიაში, ბესარიონ გუგუშვილი სუფრის გარშემო მსხდომთ არწმუნებდა — ზვიადი ცოცხალია და ყოჩაღ მანანა არჩვაძეს, ასე კარგად რომ გვეხმარება პრეზიდენტის თვითმკვლელობის შესახებ ჭორების გავრცელებაშიო?**

— დიახ, სწორედ ასე იყო! რატომ იქცეოდა **ბესარიონ გუგუშვილი** ასე, ამას შესაძლოა, ერთადერთი ლოგიკური ახსნა ჰქონდეს — არ უნდოდათ, ყველაფერი ეთქვათ და საზოგადოება აპათიაში ჩაეგდოთ! მაგრამ **ბესარიონ გუგუშვილისა და რობიზონ მარგველანის** საქციელს გამართლება არცერთ ვარიანტში არა აქვს, რადგან, ჩემი ინფორმაციით, ის სუფრა იყო ძალიან ხალისიანი, შიგადაშიგ ისმოდა სიმღერაც და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არც გუგუშვილს და არც მარგველანს არაფერი ეტყობოდათ იმისა, რომ ზვიად გამსახურდია, რომელსაც ცოცხლად აცხადებდნენ, უკვე ერთი კვირის მკვდარი იყო!

ბუნებრივად დაისმის კითხვა — **თუ ბესარიონ გუგუშვილი და რობიზონ მარგველანი კახა მოლაშხიას ოჯახში ილხენდნენ, მღეროდნენ, აფერისტობდნენ, მსახიობობდნენ და ხალხს არწმუნებდნენ — ზვიადი სინამდვილეში ცოცხალია და ეს ყველაფერი ჩვენ და ქალბატონმა მანანამ ერთად დავგეგმეთ, რათა შევარდნაძის ხუნტას გზა-კვალი ავურიოთო! — რა გარანტია გვაქვს, რომ ერთიც და მეორეც დღესაც ზუსტად ისევე არ გვატყუებენ — ზვიადმა „სტეჩკინით“ თავი მოიკლაო?!**

1994 წლის 7 იანვარს მოვლენები კიდევ უფრო საინტერესოდ განვითარდა... იმ დღეს პრეზიდენტის გარემოცვის წევრებს, რომლებიც უკვე სოფელ ჯაღრაში იყვნენ, რაციით ესაუბრნენ. გუგუშვილმა აქ უკვე „აღიარა“ — პრეზიდენტი ძალიან ცუდად იყო, დაუძლურებულმა სტრესი ვერ გადაიტანა და თავი მოიკლაო!

**— რაციით ვინ ესაუბრა გუგუშვილსა და მარგველანს?**

— რაციით მათ გროზნოდან დაუკავშირდნენ. **კახა მოლაშხია,** რომლის ოჯახშიც **გუგუშვილი და მარგველანი** ქეიფობდნენ, ადასტურებს, რომ სტუმრებს ერთი დიდი ჩანთა ამერიკული დოლარებით ჰქონდათ სავსე და იმ ჩანთაში 50-ათასიანი რუსული რუბლის კუპიურებიც იყო. **ბესარიონ გუგუშვილმა** წვერ-ულვაში გაიპარსა, ადგილობრივი გამგებლის დახმარებით აფხაზეთიდან დევნილის საბუთი გაიკეთა და სამეგრელოში სხვა გვარით დაიწყო მოძრაობა...

**— მაინც რა გვარი მიიღო ბესარიონ გუგუშვილმა?**

— **ბესარიონ გუგუშვილი** დევნილის ყალბი საბუთის თანახმად, **„კობერიძე“** გახდა! სხვათაშორის, სწორედ იმ პერიოდში **მოლაშხიების** ოჯახს სოფელ ულურიაში **ჯემალ გამახარიაც** ესტუმრა. გამახარია „ბელორუსის“ მარკის ტრაქტორით მივიდა გუგუშვილთან. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ **გუგუშვილი** მოლაშხიების სახლიდან სწორედ ამ „ბელორუსის“ ტრაქტორით წავიდა...

**— ანუ გუგუშვილი მოლაშხიებისას ერთი თვის განმავლობაში იყო?**

— დიახ, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში **გუგუშვილი და მარგველანი** კახა მოლაშხიას ოჯახში იყვნენ. საინტერესოა, ამ ყველაფრის შესახებ რას იტყვის **ჯემალ გამახარია!** მთელ ამ ისტორიაში **ბესარიონ გუგუშვილი** ერთადერთი ადამიანია, რომელიც ამტკიცებს, რომ იმ საშინელ და წყეულ ღამეს, **კარლო ღურწკაიას სახლში,** იქ, სადაც პრეზიდენტი მოკლეს, „ტაშტის დავარდნის ხმა გაიგონა“. თუმცა, ყველა დანარჩენი დაკითხული, ვინც იქ იყო, ერთხმად აცხადებს, რომ სინამდვილეში გაიგონეს „ყრუ, დახშული ხმა“. სხვათაშორის, **გუგუშვილს** საკუთარი მოსაზრება აქვს პრეზიდენტის ჩალეწილ ნეკნებზე, ბოქვენისა და მენჯის ძვლებზე. ბესარიონ გუგუშვილის მტკიცებით, ძვლების დამტვრევა შესაძლოა, გამოეწვია რუსის ჯარის მიერ გროზნოს დაბომბვას. თუმცა, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომლის, პათანატომ **ნინო კიკაბიძის** დასკვნით, შეუძლებელია, მიწაში ჩაფლული პრეზიდენტის ძვლები გროზნოს დაბომბვას დაეზიანებინა. ზვიად გამსახურდიას ძვლები დამტვრეული და ჩალეწილია ბლაგვი საგნის ზემოქმედებით. ჩვენც მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტს ძვლები ავტომატის კონდახით ან სხვა მსგავსი საგნით დაუმტვრიეს.


პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მთავრობის სახლის ე.წ. ბუნკერში მცველებთან ერთად
პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსი რობიზონ მარგველანი

**„როგორც კახა მოლაშხია იხსენებს, არც გუგუშვილს და არც რობიზონ მარგველანს, რომლებიც სუფრას უსხდნენ და ქეიფობდნენ, მწუხარების არაფერი ეტყობოდათ. არადა, ზვიადი უკვე ერთი კვირის მკვდარი იყო!“**


**„ბესარიონ გუგუშვილი დევნილის ყალბი საბუთის თანახმად, „კობერიძე“ გახდა!“**


ჯემალ გამახარია

**„საინტერესოა, ამ ყველაფრის შესახებ რას იტყვის ჯემალ გამახარია!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***
***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**სალომე ქურასბედიანი**
*პარლამენტარი*



**ვენეციის კომისიის დასკვნის ტექსტი გაჯერებულია მიკერძოებული შეფასებებით,** თითქოს საპროტესტო აქციები სრულიად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, როცა **ვიხილეთ სამართალდამცავებზე თავდასხმის, შტურმის, ბლოკირებისა და ქონების დაზიანების უამრავი ფაქტი.**

„ინტერპრესნიუსი“

**ზაზა ხატიაშვილი**
*უფლებადამცველი*



ჩემთვის **„ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან,** ორივეს **სააკაშვილის** რეჟიმს ვეძახი, **მურუსიძე და ჩინჩალაძე** ამათაც ჰყავთ და იმათაც ჰყავდათ, **„ზონდერ-პროკურორები“ და „ზონდერ-მოსამართლეებიც“** იმათაც ემსახურებოდნენ და ამათაც ემსახურებიან, თან უმეტესად, ერთი და იგივე ხალხი.

„ალია“

**ოთარ ზურაბიშვილი**
*სალომე ზურაბიშვილის ძმა*



ამ კანონის რისკები არის ის, რომ **ჩამოაჩრჩოს მთლიანად არასამთავრობო ორგანიზაციების მოძრაობა.** წინასაარჩევნო პერიოდში ეს ნიშნავს, რომ **ძნელად დასაცავი იქნება ჩვენი ოპოზიციის პოზიციები.** „რეზონანსი“

**ბუბა კუდავა**
*ისტორიკოსი*



ყველაზე ცუდად ის ხელისუფლება ამთავრებს, ვისაც **ხალხის პროტესტის არ ესმის.**

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე მოლაშვილი**
*სულხან მოლაშვილის ძმა*



როგორც კი რუსეთი შევიდოდა უკრაინაში, **მიხეილ სააკაშვილი** უნდა ყოფილიყო აქ ხელისუფლებაში და **მეორე ფრონტი უნდა გახსნილიყო აფხაზეთში და სამაჩაბლოში.**

„TV იმედი“



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი-ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# ვისაც კორონა შეეყრება, ეპშტაინ-ბარის ვირუსი უაქტიურდება!

***როგორც ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი აღნიშნავს, „კოვიდ-19“-მა ადამიანის ორგანიზმში დიდი ცვლილებები გამოიწვია და სხვადასხვა დაავადება წარმოშვა. კოვიდპანდემიის შემდეგ განსაკუთრებით იმატა ალერგიების, მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და სხვა პათოლოგიების რიცხვმა... რაც ყველაზე სამწუხაროა, გაიზარდა ზოგიერთი სახის სიმსივნით დაავადებულ ადამიანთა რაოდენობა:***

— კოვიდპანდემიის დასრულებიდან თითქმის ორი წელი გავიდა და ერთი საინტერესო ფაქტი სახეზეა — ძალიან იმატა ისეთი ადამიანების რიცხვმა, რომლებიც კოვიდის გადატანის შემდეგ უჩივიან:

**1.** აუხსნელ და არამოტივირებულ დაღლილობის შეგრძნებას;

**2.** ძილის დარღვევას;

**3.** მეხსიერებასთან დაკავშირებულ პრობლემებს;

**4.** ყურადღებისა და კონცენტრაციის დაქვეითებას;

**5.** ცნობიერების ერთგვარ დაბინდვას;

**6.** კიდურების დაბუჟებას;

**7.** კუნთების აუხსნელ ტკივილს.

ზოგიერთი მათგანი აღნიშნავს, რომ მუდმივად დასჩემდა მისთვის აქამდე უჩვეულო ტემპერატურა, რომელიც 37,1-37,5 გრადუს ცელსიუსის ფარგლებში მერყეობს. ასეთი პაციენტები ექიმიდან ექიმთან დადიან, იტარებენ ყველანაირ გამოკვლევებს, მაგრამ ხელშესახებ მიზეზს, თუ რით არის გამოწვეული ეს მოვლენები, ექიმები ვერ ადგენენ. ზოგიერთი პაციენტი თვითმკურნალობასაც კი მიმართავს და ღებულობს სხვადასხვაგვარ ვიტამინებსა თუ მიკროელემენტებს, მაგრამ ხელშესახები შედეგი არც აქ ჩანს... მეცნიერები ამ ფაქტზე დაფიქრდნენ და ამ მოვლენის აღსანიშნავად შემოიღეს ასეთი ტერმინი — **პოსტკოვიდური სინდრომი,** ანუ გახანგრძლივებული კოვიდი — „ლონგკოვიდი“. სამწუხაროდ, მეცნიერებს არ ესმოდათ პრობლემის არსი და პაციენტებს ვერც ადეკვატურ მკურნალობას უნიშნავდნენ. უფრო მეტიც, ზოგიერთ ავადმყოფს, რომლებსაც ანალიზებში არავითარი ცვლილება არ აღენიშნებოდა, ექიმები სიმულანტებად მიიჩნევდნენ, რომლებიც თავიანთ ავადმყოფობას აზვიადებდნენ. ასეთი ადამიანები არცთუ იშვიათად ხვდებოდნენ თვით ფსიქიატრთანაც კი.

**— კოვიდი მეც გადავიტანე, მაგრამ არცერთი ზემოხსენებული ჩივილი ჯერჯერობით არ მაქვს!**

— ზემოხსენებული ჩივილები კოვიდგადატანილთა **მხოლოდ 33 პროცენტს** აღენიშნება. უნდა ვაღიაროთ, ეს ძალიან მაღალი მაჩვენებელია და იმას ნიშნავს, რომ ყოველი სამი კაციდან ერთი აღნიშნული სიმპტომებით იტანჯება. მეცნიერები უკანასკნელ დრომდე ვერ ხსნიდნენ, თუ რა იყო ამ ყველაფრის მიზეზი. გამოითქვა ასეთი მოსაზრებაც: „კოვიდის ვირუსი ზოგიერთი ადამიანის ორგანიზმში მუდმივად ხომ არ რჩება, ანუ ვირუსს პერსისტენციის თვისება ხომ არა აქვს?“ პერსისტენცია ნიშნავს პათოგენის უნარს, დიდხანს დაყოს ადამიანის ორგანიზმში. ეს თეორიაც მცდარი აღმოჩნდა და საბოლოოდ გაირკვა, რომ კოვიდის ვირუსი ადამიანის ორგანიზმში არ რჩება!

**— მაშ, რაშია საქმე?**

— ამ საკითხის შესწავლის საქმეში გადატრიალება მოხდა ჩინეთში, ქალაქ უხანში, საიდანაც კოვიდპანდემია დაიწყო. უხანის უნივერსიტეტის კლინიკაში დაადგინეს, რომ არავითარი „პოსტკოვიდური სინდრომი“, ანუ „გახანგრძლივებული კოვიდი“ არ არსებობს! ჩინელი მეცნიერები დაინტერესდნენ, ხომ არ ჰგავდა ე.წ. **„პოსტკოვიდური სინდრომი“** ყველასთვის კარგად ნაცნობი **ჰერპესვირუსის** სიმპტომებს. მოგეხსენებათ, ბუნებაში ჰერპესვირუსის ასზე მეტი სახეობაა ცნობილი და აქედან ადამიანისთვის საშიში მხოლოდ რვა სახეობაა. ამ სახეობებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია **ჰერპესის მეოთხე ტიპი,** რომელსაც **ეპშტაინ-ბარის ჰერპესვირუსი** ეწოდება. ჩვენ ამ ვირუსის შესახებ დაახლოებით ერთი წლის წინათ დაწვრილებით ვისაუბრეთ და მკითხველს შევახსენებთ, რომ იგი ადამიანთა თითქმის 100 პროცენტს აქვს! ეპშტაინ-ბარის ვირუსი ორგანიზმში თუ ერთხელ შეიჭრა, იქიდან აღარ გამოდის და სხეულში მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს საშიში ვირუსი მიძინებულია და ადამიანმა ხშირად მისი არსებობის შესახებ არაფერი იცის. სხვადასხვა ფაქტორის გავლენით, როგორიცაა სტრესი, იმუნიტეტის დაქვეითება, არასწორი კვება, სიგარეტი, ალკოჰოლი და ა.შ. ეპშტაინ-ბარის ვირუსი შესაძლოა, ნებისმიერ წამს გააქტიურდეს.







**— მაინც რა სიმპტომები ახასიათებს გააქტიურებულ ეპშტაინ-ბარის ვირუსს?**

— ეს სიმპტომები შესაძლოა, იყოს:

**1.** თავის ტკივილი;

**2.** მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები;

**3.** ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითება;

**4.** ტვინის დაბინდვა;

**5.** არამოტივირებული დაღლილობის შეგრძნება;

**6.** კუნთებისა და სახსრების ტკივილი;

**7.** ძილის დარღვევა;

**8.** აუხსნელი დეპრესია ან პირიქით, გაღიზიანება;

**9.** ლიმფური ჯირკვლების გადიდება;

**10.** ხშირი ანგინები და სხვა უამრავი გამოვლინება.

როგორც ვხედავთ, **ეპშტაინ-ბარის ვირუსის** სიმპტომები ზუსტად ემთხვევა ე.წ. **„პოსტკოვიდურ სინდრომთან“** დაკავშირებულ ჩივილებს! ჩინელმა ექიმებმა შეისწავლეს ე.წ. „პოსტკოვიდური სინდრომით“ დაავადებული 185 ადამიანი. პაციენტების 70 პროცენტს ეპშტაინ-ბარის ვირუსი გააქტიურებული ჰქონდა, რასაც ანტისხეულების მაღალი მაჩვენებელიც ადასტურებდა. ჩინელი ექიმების კვლევები უფრო გააფართოეს ამერიკელმა და თურქმა ექიმებმა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კოვიდზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელმა, დოქტორმა **ჯეფრი გოლდმა** გამოაქვეყნა სენსაციური დასკვნა: *„ჩვენი კვლევები აჩვენებს, რომ ე.წ. „გახანგრძლივებული კოვიდის“ მრავალი სიმპტომი შესაძლოა, დაკავშირებული იყოს არა „სარს-კოვ-2“ ვირუსთან, არამედ ეპშტაინ-ბარის ვირუსის რეაქტივაციასთან, რაც „კოვიდ-19“-ით არის გამოწვეული!“* ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, **ვისაც კორონა შეეყრება, ეპშტაინ-ბარის ვირუსი უაქტიურდება!** ყველაზე საინტერესო და პარადოქსული ის არის, რომ **ეპშტაინ-ბარის ვირუსი იმათ კი არ უაქტიურდებათ, ვინც კორონა მძიმედ გადაიტანა, არამედ იმათ, ვისაც ეს ვირუსი შედარებით მსუბუქ ფორმებში შეეხო!**

**— კოვიდის მიერ გააქტიურებული ეპშტაინ-ბარის ვირუსი რამდენად სახიფათოა?**

— ზემოხსენებული სიმპტომების გარდა უეცრად გამძვინვარებულმა ეპშტაინ-ბარის ვირუსმა შესაძლოა, გამოიწვიოს:

**1.** ხშირი და სხვადასხვა ფორმის ალერგიები;

**2.** ტონზილიტი;

**3.** ჰაიმორიტი;

**4.** ჰეპატიტი და თვით ისეთი უმძიმესი დაავადებაც კი, როგორიც გახლავთ კიბო! საქმე ის არის, რომ გააქტიურებული ეპშტაინ-ბარის ვირუსი იბუდებს იმუნური სისტემის B ლიმფოციტებში და სხვა ვირუსებისგან განსხვავებით მას კი არ თრგუნავს, არამედ აიძულებს, უსასრულოდ დაიყოს. ამით ეპშტაინ-ბარის ვირუსი B ლიმფოციტებს „უკვდავს“ ხდის. თუმცა, ასეთ დროს ხშირია დარღვევები, რაც შესაძლოა, სიმსივნის გარკვეული სახეობების — **ბერკიტის ლიმფომის, ჰოჩკინისა და არაჰოჩკინის ლიმფომების** გამომწვევი გახდეს! ბოლო დროს ამ ტიპის სიმსივნეების მომრავლებას სწორედ კოვიდის მიერ გააქტიურებული ეპშტაინ-ბარის ვირუსის ზემოქმედებას ვუკავშირებ!

დავაკვირდი ერთ ფაქტსაც — **იმატა ისეთი პაციენტების რიცხვმა, რომლებსაც სხვადასხვა სახის ალერგია აღენიშნებათ.** ვგულისხმობ ალერგიულ დერმატიტს, საკვებისმიერ ალერგიას, ალერგიულ რინიტს, ჭინჭრის ციებას, ანუ ურტიკარიას, კვინკეს შეშუპებას და ა.შ. როგორც პაციენტები მეუბნებიან, მათ ეს სიმპტომები გაუჩნდათ მხოლოდ კორონას გადატანის შემდეგ.

**— რა არის გამოსავალი და როგორ უნდა მოისპოს ეპშტაინ-ბარის ვირუსი?**

— ამ ვირუსს ვერანაირად ვერ მოვსპობთ, მაგრამ შესაძლებელია გააქტიურებული ეპშტაინ-ბარის ვირუსის ისევ მიძინებულ მდგომარეობაში გადაყვანა, როცა ის უხიფათო გახდება! არსებობს ანტივირუსული პრეპარატი **აციკლოვირი,** მაგრამ როგორც მას, ისე ქიმიურ ანალოგებს უამრავი გვერდითი მოვლენა ახასიათებთ და, რაც მთავარია, ყველა ეს საშუალება პრობლემას მხოლოდ დროებით ხსნის. უკვე ყველა თანხმდება იმაში, რომ ეპშტაინ-ბარის ვირუსის დამარცხება მხოლოდ ჰომეოპათიური მედიცინით არის შესაძლებელი! ათასობით პაციენტი ღებულობს ანტივირუსულ ჰომეოპათიურ საშუალებებს და უამრავ მათგანს ჩემთან საუბრისას აღუნიშნავს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომი, რომელიც კოვიდის გადატანის შემდეგ განუვითარდათ, უმოკლეს დროში გაუქრათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეპშტაინ-ბარის ვირუსი ჰომეოპათიურმა და ანტივირუსულმა პრეპარატმა დათრგუნვილ და მიძინებულ მდგომარეობაში დააბრუნა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №46-49, 51-52, 2024 წლის №1-22*

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

# ედუარდ შევარდნაძის საიდუმლო




**შევარდნაძე** თავის მემუარებში ცალკე თავს უძღვნის ბუშ-გორბაჩოვის ყბადაღებულ მალტის შეთანხმებას, რომელიც კუნძულ მალტაზე (უფრო სწორად, მალტის წყლებში ჩამომდგარ ამერიკულ და საბჭოთა ხომალდებზე) 1989 წლის 2-3 დეკემბერს შედგა. რეიგანი, რომელიც ორი ვადით პრეზიდენტობის შემდეგ, 1988 წელს დაემშვიდობა თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტს, უკვე აღარ გახლდათ ამერიკის ლიდერი და მისი ადგილი საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა რეიგანის კაბინეტის ვიცე-პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა-უფროსმა დაიკავა.

მემუარისტი ასე აღწერს მალტის ისტორიული შეხვედრის პერიპეტიებს:

> ***„1988-1989 წლებში სრულიად ახალ საფეხურზე ავიდა ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, რამაც, ბუნებრივია, მთელ მსოფლიოზე კეთილი გავლენა მოახდინა.***
>
> ***ამ სამშვიდობო პროცესის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ბუშისა და გორბაჩოვის მალტის შეხვედრას*** *(1989 წლის 2-3 დეკემბერი),* ***რომელიც წინარე მოვლენათა ლოგიკური განვითარების შედეგი იყო.***
>
> ***მალტაზე ჩვენ დიდი ხომალდით ცოტა ადრე ჩავედით და მალტის ხელმძღვანელობას შევხვდით. ბუში თავისი თანმხლები პირებით ცოტა გვიან ჩამოვიდა სამხედრო გემით — კრეისერით“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 159).*

რა თქმა უნდა, ასეთი დონის შეხვედრებისას, თითოეულ თუნდაც უმნიშვნელო დეტალს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს: ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი ბუში მალტაზე მოგვიანებით ჩავიდა და თან ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის კრეისერით — ამერიკული დომინანტობის დემონსტრირება იყო!

მაგალითად, **ბუშს** მარტივად შეეძლო, საპრეზიდენტო თვითმფრინავით ჩაფრენილიყო მალტაზე და იქიდან კატერით მისულიყო **გორბაჩოვთან** შესახვედრად, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტმა სწორედ სამხედრო კრეისერით გადაადგილება არჩია.

შემდეგ შევარდნაძე იხსენებს:

> ***„ზღვაზე დიდი ღელვა დაიწყო. ძლივს მიაყენეს ნავი კრეისერს, ამერიკის პრეზიდენტი რომ გადმოსულიყო. პირველად მცველი ჩამოვიდა, მერე — პრეზიდენტი. მოულოდნელად ბუშს რკინის კიბეზე ფეხი დაუცდა და დაიზიანა, თუმცა, ჩვენს გემამდე მაინც გამოაღწია. იმ ღამეს საბჭოთა ხომალდზე დარჩა, მოლაპარაკებაც ჩვენს გემზე გაიმართა“*** *(იქვე, გვ.159).*

რა თქმა უნდა, შევარდნაძეს უპრობლემოდ შეეძლო, არც კი ეხსენებინა კრეისერიდან ჩამოსვლისას რკინის კიბეზე **ბუშის** ფეხის დაცდენის ამბავი, მაგრამ ეს ხაზგასმით აღნიშნა: ალბათ, უფრო იმის სადემონსტრაციოდ, როგორ დეტალურად მახსოვს ყველაფერიო!

თანაც ეს მთხრობელის ერთგვარი დრამატურგიული ხრიკია: ამერიკის პრეზიდენტის კიბეზე ჩამოფხატება ორდინარული ამბავი ნამდვილად არ არის და არც მალტის ისტორიულ შეხვედრაზე ფეხმტკივანი ბუშის ჯდომა გახლავთ ბანალური ისტორია.

მოკლედ, შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრეზიდენტი **ბუში** გორბაჩოვთან მოსალაპარაკებლად საბჭოთა გემზე მივიდა და ის კი არა, ღამითაც იქ დარჩა.

ამერიკის პრეზიდენტის ამ ნაბიჯსაც აქვს თავისი ლოგიკური ახსნა:

**ბუშს გორბაჩოვი თავისთან, ამერიკულ სამხედრო კრეისერზე რომ მიეყვანა, ეს ძალიან დამამცირებელი იქნებოდა ისედაც დასუსტებული და დამცირებულ მდგომარეობაში მყოფი საბჭოთა იმპერიისა და მისი გენსეკისთვის.**

ამიტომ ბუშის სტუმრობა საბჭოთა გემზე უფრო ძლიერის რევერანსი იყო სუსტისადმი, ამ უკანასკნელის სახის შენარჩუნებისათვის.

მემუარისტი კი აღტაცებული გვიყვება, ამერიკის პრეზიდენტი ღამითაც კი ჩვენს გემზე დარჩაო:

> ***„ასეთი რამ ადრე სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა. აქ გაფორმდა მალტის ცნობილი ხელშეკრულება. მაშინ სახელმწიფოს მეთაურებმა განაცხადეს, რომ ამერიკა და საბჭოთა კავშირი ამიერიდან ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნები აღარ არიან, ამ ორ ქვეყანას შორის მტრობის ეპოქა დასრულდა“*** *(იქვე, გვ. 159).*

მემუარისტი მალტის ისტორიულ სამიტთან დაკავშირებით კიდევ ერთ პიკანტურ დეტალს იხსენებს:

> ***„აქვე ერთი, სხვათათვის შეუმჩნეველი, მაგრამ ჩემთვის ნიშანდობლივი და იქნებ მომავლის განმსაზღვრელი რამ მოხდა.***
>
> ***ბუში და გორბაჩოვი რაღაც ინფორმაციასთან დაკავშირებით ვერ შეთანხმდნენ: გორბაჩოვმა შეუსწორა, ასე არ არისო. ბუშმა შესწორება არ მიიღო: „ეს ინფორმაცია შევარდნაძისგან მოდის“. გორბაჩოვმა გადმომხედა. ბუშმა დაამატა: „ჩვენ ვენდობით შევარდნაძეს“.***
>
> ***უხერხული სიტუაცია შეიქმნა. გორბაჩოვს არაფერი უთქვამს, მაგრამ რომ იტყვიან, „გაშავდა“, არ ესიამოვნა. ბუშს კი ეგონა, კარგი საქმე გამიკეთა“*** *(იქვე, გვ. 159).*

შევარდნაძე კონკრეტულად არ ასახელებს, რა სადავო საკითხის განხილვისას წამოაძახა ბუშმა გორბაჩოვს — ეს ინფორმაცია შევარდნაძისაგან მოდისო. და რადგან ამ შეხვედრაზე არც შევარდნაძემ უარყო ეს, ესე იგი, მართლაც ასე იყო: **ამერიკის პრეზიდენტმა სათავისოდ გამოიყენა შევარდნაძის პოზიცია გორბაჩოვის დასადუმებლად!**

და სწორედ ამიტომ „გაშავდა“ ბრაზისაგან საბჭოთა ლიდერი!

თუმცა, შევარდნაძე ამას გორბაჩოვის ეჭვიანობას აბრალებს, ჩემს მზარდ ავტორიტეტს ველარ იტანდაო:

> ***„ამ დროისთვის მე უკვე ვგრძნობდი, რომ გორბაჩოვის დამოკიდებულება ჩემ მიმართ აღარ იყო ისეთი, როგორიც ადრე. თითქოს გაცივდა და გამერიდა, თითქოს აწუხებდა ჩემი მზარდი ავტორიტეტი, პოპულარობა... დასცდა კიდეც ჩემი გადადგომის შემდეგ, ვიცე-პრეზიდენტად მინდოდაო შევარდნაძის გადაყვანა. მოკლედ, ჩემი აქტიური პოლიტიკიდან ჩამოცილება სურდა. ვიცე-პრეზიდენტი საბჭოთა კავშირში რა იქნებოდა, ყველამ იცოდა — ერთი უფუნქციო კაცი*** *(რა თქმა უნდა, შედარებით)“. (იქვე, გვ. 160).*

ის კი არა, შევარდნაძე აქეთ ამხელს გორბაჩოვს „პერესტროიკის“ „წმინდა“ საქმისადმი ღალატში:

> ***„ბოლო ხანებში გორბაჩოვს ვეღარ ვცნობდი. თავისი წამოწყებული საქმისადმიც და ძველი თანამებრძოლებისადმიც სხვაგვარად იყო განწყობილი. რეაქციული ძალები თავად მასში ამარცხებდნენ „პერესტროიკას“. სწორედ ამან მიიყვანა ქვეყანა რეაქციული გადატრიალების მცდელობამდე შემდგომში განვითარებული მოვლენებით“*** *(იქვე, გვ. 160).*

მემუარისტის ეს აშკარა თვითტკბობა გასაგებია და ეს არაერთხელ აღგვინიშნავს, მაგრამ...

შევარდნაძე მალტის ისტორიული შეხვედრის შესახებ ამ პიკანტური დეტალების თუნდაც საინტერესო აღწერის იქით, საგულდაგულოდ მალავს და ცოცხალი თავით არ ამბობს მთავარ სათქმელს — რატომ გაიმართა ბუშ-გორბაჩოვის შეხვედრა და რა შეთანხმება გაფორმდა ამერიკა-საბჭოთა კავშირს შორის. შევარდნაძე იმიტომაც მალავს ასე საგულდაგულოდ მალტის შეთანხმების არსს და დეტალებს, რომ სწორედ იქ გადაწყდა ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგისა და გავლენის სფეროთა გადანაწილების გეოპოლიტიკური რუკაც.

დავაკვირდეთ ამ შეხვედრის თარიღს: **1989 წლის 2-3 დეკემბერი,** ანუ უკვე მომხდარია 9 აპრილის თბილისის სისხლიანი ტრაგედია და ამის კვალობაზე საბჭოთა ბლოკის აღმოსავლეთ ევროპის მთელ სოციალისტურ ბანაკში დაწყებული ანტიკომუნისტური წინააღმდეგობა, რაც ამ ქვეყნების გარდაუვალი განთავისუფლებისკენ იყო მიმართული!

**ანუ თბილისის 9 აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ ცხადყო, რომ საბჭოთა იმპერიაში შემავალ რესპუბლიკებსაც და, მით უფრო, აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს აღარ სურდათ კრემლის დიქტატის ქვეშ ცხოვრება!**

ჰოდა, მალტის შეთანხმებაც სწორედ ამ რღვევის პროცესის გაფორმება იყო: ამერიკამ საბჭოთა კავშირს დაუტოვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და სანაცვლოდ დაათმობინა აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნები!

ზუსტად ცნობილი არ არის, მალტის შეხვედრაზე გორბაჩოვმა და ბუშმა მოილაპარაკეს თუ არა ბალტიის სამი რესპუბლიკის მომავალ ბედზეც, მაგრამ, დიდი ალბათობით, ეს საკითხი მაშინ ბოლომდე ვერ გადაწყდა, რადგან გორბაჩოვს ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინა, რომ რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკა შეიძლებოდა, კრემლის მარწუხებიდან გაეთავისუფლებინა და ამით, ფაქტობრივად, „მწვანე შუქი“ აენთო „დომინოს პრინციპით“ საბჭოთა კავშირის დაშლისა და ნგრევისთვის.



**მიხეილ გორბაჩოვისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა ჯორჯ ბუშთან. მალტა, 1989 წლის 2-3 დეკემბერი**

## როგორ გაუბრაზდა გორბაჩოვი მალტის ისტორიულ სამიტზე ბუშთან შეხვედრისას ედუარდ შევარდნაძეს!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2024 წლის №22

# სვიმონ მასხარაშვილი: შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ ყამარი, რომელიც ამირანმა მოიტაცა, სპარსულად ცეცხლს ნიშნავს!



***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი წინამდებარე საგაზეთო ინტერვიუში საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ბოლო დროს ანატოლიაში, „მუცლიან გორაზე“ აღმოჩენილ ტაძარზე, რომელიც დედამიწაზე უძველესი ნაგებობაა:***

— უეჭველია, რომ მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი სწორედ ჩვენი რეგიონია — **კავკასია, წინა აზია, შუამდინარეთი და მთელი ტერიტორია სპარსეთის ყურემდე.** დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის მეათე ათასწლეულში გამყინვარების ბოლო ეტაპი დასრულდა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირებენ გეოლოგები ბიბლიაში აღწერილ პროცესს, რასაც მსოფლიო წარღვნა ჰქვია. წარღვნის ყველაზე დიადი კვალი ჩვენს რეგიონში გამორჩეულად არის აღბეჭდილი — სამჯერ გაიზარდა შავი ზღვის ფართობი, რომელიც ხმელთაშუა ზღვას შეუერთდა, გაჩნდა აზოვის ზღვა და ყირიმის ნახევარკუნძული. ყველანაირი გეოლოგიური კვლევით ეს ასეა. წარღვნამდელი კაცობრიობა ძირითადად დაკავებული იყო შემგროვებლობითა და მონადირეობით, მაგრამ წარღვნის შემდეგ მოხდა უმნიშვნელოვანესი პროცესი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ. საქმე ეხება ცეცხლსა და მის მართვას.

**— ადამიანი ცეცხლს ხომ უხსოვარი დროიდან იცნობს?**

— ცხადია, ადამიანი ცეცხლს წარღვნამდეც იცნობდა. ბოლოს და ბოლოს, ცეცხლი ბუნებრივი კატაკლიზმების — ელვის, ტყის ხანძრების, ვულკანური ლავის ამოფრქვევის შედეგად ბუნებაში თავისით ჩნდება, მაგრამ წარღვნის შემდეგ ადამიანმა ისწავლა ცეცხლის დანიშნულებისამებრ გამოყენება, მისი მართვა, ანუ მოხდა ის, რასაც ანტიკურმა აზროვნებამ უწოდა მითი ამირანის, ანუ იმავე პრომეთეს შესახებ. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ **ყამარი,** რომელიც ამირანმა მოიტაცა, სპარსულად ცეცხლს ნიშნავს. ბერძნული მითოლოგიის თანახმად კი, პრომეთემ პირდაპირ ღმერთებს მოსტაცა ცეცხლი და ადამიანებს დედამიწაზე ჩამოუტანა, რისთვისაც ის დასაჯეს და კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვეს. სხვათაშორის, უძველეს ხურიტულ ტექსტებში ჩვენ ვხვდებით **ამირანის** წინარე სახეს — **არამ-ხუტუს,** რომელიც ასევე კავკასიონის მთაზე მიაჯაჭვეს. კაცობრიობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადავიდოდა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე, თუ ვერ ისწავლიდა ცეცხლის მართვის საიდუმლოების ამოხსნას — გამოცხობას, შეწვას, გაგრილებას, სტერილიზაციას და ა.შ. ეს ყველაფერი ენაშია შენახული და დაცული.

**— მაინც როგორ არის დაცული? დაასახელეთ!**

— მაგალითად, აქადურ და უძველეს აღმოსავლურ ენებში, მათ შორის, ძველ სპარსულში, დაცულია ტერმინი **„ქურუმი“,** რაც სწორედ ცეცხლთან და **„ქურასთან“** გახლავთ დაკავშირებული. **ქურუმი** არის ის ბრძენი და მცოდნე, რომელმაც ცეცხლის მართვის საიდუმლოება იცის. ქართულ ენაში **„ქურუმის“** შესატყვისია უძველესი, ქრისტიანობამდელი ტერმინი — **„მღვდელი“.** „მღვდელი“ მომდინარეობს „ნაღვერდლიდან“ და ისიც დაკავშირებულია ცეცხლის „გაღვივებასთან“, ანუ კაცთან, რომელმაც, ქურუმის მსგავსად, ცეცხლის მართვა, მისი საიდუმლოება იცის! ეს ყველაფერი აქ ხდება, კავკასიაში, რადგან ქართულშიც, ბერძნულშიც და ხურიტულშიც ცეცხლის მომტაცებელს ღმერთები სწორედ კავკასიის ქედზე აჯაჭვავენ და არა ზაგროსის ან სხვა მთიანი მხარის მწვერვალზე.

ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, ცეცხლის მართვის სიბრძნის დაუფლების შემდეგ კაცობრიობა გადადის მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე და ეუფლება მედიცინას, რასაც ბერძნული მითოლოგია ისევ და ისევ საქართველოს, კოლხ მედეას უკავშირებს. სახელწოდება **„მედიცინაც“** კოლხი მედეადან მოდის. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ბერძნულ მითთა შორის ყველაზე ძველი არის **მითი არგონავტების შესახებ**, რომელიც, ჩვენი აზრით, არა ძველი წელთაღრიცხვის მე-13, არამედ ძველი წელთაღრიცხვის მე-18-17 საუკუნეებით უნდა დავათარიღოთ!

**— ამას რითი ასაბუთებთ?**

— „არგონავტიკაში“ დასახელებული გმირები ძველი წელთაღრიცხვის მე-13-12 საუკუნეებში მომხდარი ტროას ომის დროს ცოცხლები აღარ არიან, რაც იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ ეს მოვლენები სხვადასხვა დროს მოხდა. **ჩემი აზრით, „არგონავტიკაში“ აღწერილია ამბავი, როცა ინდოევროპელი ტომები დუნაისპირეთიდან და უკრაინის დღევანდელი ტერიტორიიდან პირველად გამოვიდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზიდან და შემოვიდნენ შავი ზღვის აუზში.** ამ ხალხს ყველაფერი ნასწავლი ჰქონდა პროტოხეთებისგან, ანუ ხათებისგან, რომლებსაც ისინი შეერწყნენ. სხვათაშორის, ტერმინი **„ელინი“** ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნემდე არ არსებობს. ჰომეროსი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-9-8 საუკუნეებში ცხოვრობდა, „ელინს“, ანუ „ბერძენს“ არ იცნობს. ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნის ცნობილი ავტორი **აპოლონიოს როდოსელი** „არგონავტიკაში“ პირდაპირ წერს, რომ ოქროს საწმისი სინამდვილეში იყო ოქროთი და ცხვრის ტყავით შემკული წიგნი, რომელშიც კირბებით, ანუ უძველესი კოლხური დამწერლობით შესრულებული და დაცული გახლდათ ინფორმაცია მეტალურგიისა და მედიცინის შესახებ! დიახ, ამას წერს და აღიარებს თვით ბერძენი ავტორი, ანუ საქართველოდან ბერძნებმა გაიტაცეს ცოდნა, მოიპარეს ადამიანის განკურნებისა და ლითონის დამუშავების საიდუმლო. **ვერც მეტალურგია და ვერც მედიცინა ცეცხლის მართვის გარეშე ვერ განვითარდებოდა!**

**— არ დაგვავიწყდეს, რომ ხორბლის უძველესი ჯიშები — მახა, ზანდური და თავთუხი სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე, პროტოქართულ სივრცეშია დაფიქსირებული!**

— აბსოლუტურად გეთანხმებით! თან ეს ის ენდემური ჯიშებია ხორბლისა, რომლისგანაც მოხდა სელექცია. ხორბლის უძველესი ჯიშები აღმოჩენილია ტავროსის მთიანეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ხუთი მდინარის — ჭოროხის, მტკვრის, არაქსის, ტიგრისისა და ევფრატის სათავეა და სადაც ედემის ბაღი იყო. იგივე ითქმის ვაზზეც. სწორედ საქართველოშია ნაპოვნი უძველესი ღვინისა და ქვევრის ნიმუში. აი, ამ ხუთი მდინარის სათავეებს შორის ჩერდება კიდობანი, მოდის ნოე და ახორციელებს პირველ კულტურულ აქტს — მიწის კულტივაციას! ანუ კულტურა იწყება მიწათმოქმედებით. პური და ვენახი — ღვინო, რომლებიც სწორედ პროტოქართულ სამყაროსთან არის დაკავშირებული, გახლავთ ადამიანის კულტურული მოღვაწეობის თავდაპირველი პროდუქტები, რომელთა გარეშეც ზიარება არ ხდება! მოგეხსენებათ, ლიტურგიის დროს პური და ღვინო გარდაისახება მაცხოვრის სისხლად და ხორცად და ადამიანი ეზიარება. წარწერების მიხედვით დადასტურებული და დამტკიცებულია, რომ სწორედ ამ ხუთი მდინარის სათავეებთან ცხოვრობდნენ უძველესი ქართველური ტომები — მესხები და ასევე ხურიტები. პური და ღვინო არის უწმინდესი საკვები, რომელიც პროტოქართველებმა კაცობრიობას აჩუქეს. ამერიკაში,






**„საქართველოდან ბერძნებმა გაიტაცეს ცოდნა, მოიპარეს ადამიანის განკურნებისა და ლითონის დამუშავების საიდუმლო!“**

**„აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკაში“ პირდაპირ წერს, რომ ოქროს საწმისი სინამდვილეში იყო ოქროთი და ცხვრის ტყავით შემკული წიგნი, რომელშიც უძველესი კოლხური დამწერლობით შესრულებული და დაცული გახლდათ ინფორმაცია მეტალურგიისა და მედიცინის შესახებ!“**

## კვირგვინოსნები

**მაია ორჯონიკიძე**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი*



**საზარელი დღე იყო პირდად ჩემთვის 2012 წლის 1 ოქტომბერი,** მთელი საღამო გაუჩერებლად ვტიროდი. უკვე ვიცოდი, რა ელოდებოდა ჩემს სამშობლოს: **გასაბჭოება, რუსეთის თარეში და ქვეყნის ნგრევა.** „იმედინიუსი“

**გიორგი გრიგოლია**
*სააკაშვილის კონსილიუმის წევრი, ექიმი*



დღეს ჩვენ კი არა, **არცერთი ჩვენზე უფრო მდგრადად მყოფი ქვეყანა არ არის დამოუკიდებელი,** იმიტომ იქმნება ევროსაბჭოები და ალიანსები. „იმედინიუსი“

**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**ხაზარაძემ** პირდაპირ თითის ქნევით დაიწყო აქციიდან. ნაღდად ყველამ ვიცით, **ვინ არის „ჯანსაღი“ მევახშე მამუკა „არაჯანსაღი“ ამბიციებით. გაერთიანების გარეშე „ოცნებას“ ვერ მოვიშორებთ!** „პირველი არხი“

**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელოს“ ლიდერი*



ჩვენ ნაცმოძრაობასთან **ერთ სიაში არ ვიქნებით,** ვერანაირი არგუმენტი ვერ დამარწმუნებს. „რეზონანსი“

**ბაჩო დოლიძე**
*პარტია „ახალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**უამრავი სპეცრაზმელი უკვე იდენტიფიცირებულია,** ვინც ძალადობდა აქციის მონაწილეებზე, **სულ მალე დაიდება მათი სახელები და გვარები.** „ახალი თაობა“

**იაგო კაჭკაჭიშვილი**
*სოციოლოგი*



ძვირფასო ხელისუფლებავ, კარგად დათვალეთ, **თქვენი მოსატყუებელი კბილები** რამდენი და როდის გამოიცვალა ამერიკამ. „რეზონანსი“




ავსტრალიაში, კანადაში, რუსეთში, უკრაინაში, სადაც კი პური ითესება, ყველაფერი აქედან არის წასული. მახა, ზანდური და თავთუხი — ხორბლის უძველესი ქართული ჯიშები შემდეგ უკვე დაუქვემდებარეს სელექციას და მიიღეს ის, რაც მიიღეს, ანუ პურის ენდემური ჯიშები მხოლოდ აქ არის. ამ ყველაფრის შემდეგ აუცილებლად უნდა შევჩერდეთ ე.წ. **„მუცლიან გორაზე“**, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ნამდვილი მოვლენაა... დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, უძველესი ანატოლიის სამხრეთით, სწორედ იმ ტერიტორიაზე, სადაც მესხები და ხურიტები ცხოვრობდნენ, აღმოჩნდა დასახლება და მეგალითები, რომელიც თვით იერიქონის დასახლებაზე ძველია!

**— მოდით, მკითხველს შევახსენოთ, რა არის იერიქონი!**

— იერიქონი არის უძველესი ქალაქი პალესტინაში, სადაც მსოფლიოში უძველესი დასახლების კვალი აღმოჩნდა. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ იერიქონში ხალხი ძველი წელთაღრიცხვის მე-9 ათასწლეულში ცხოვრობდა. ბოლო დროს ანატოლიაში, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, მომხდარი აღმოჩენა იერიქონის დასახლებაზე, სულ მცირე, ათასი წლით არის ხნოვანი და ძველი წელთაღრიცხვის მე-10 ათასწლეულით თარიღდება.

**— ადგილობრივ თურქულ ენაზე ანატოლიაში აღმოჩენილ უძველეს დასახლებას რა ჰქვია?**

— თურქულად ამ ადგილს **„გიობეკლი-თეფე“** ჰქვია, რაც ქართულად **„მუცლიან გორას“** ნიშნავს. ეს არის მთელ დედამიწაზე უძველესი მეგალითური ტაძარი, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, თვით იერიქონზე ძველია. ძეგლი 1996 წელს გათხარა გერმანელმა არქეოლოგმა **კლაუს შმიდტმა**, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა, რომ იპოვა საკურთხეველი. არის ვარაუდი, რომ ის ატონიანი ლოდები, რომლებიც აქ სვეტებად არის გამოყენებული, შესაძლოა, ბეტონის ნაირსახეობა იყოს. უძველესი ტაძრის ქვებზე გამოსახულია თავწაკვეთილი ადამიანები და გრაფიკული ნახატები, რაც, სავარაუდოდ, დიდი კლიმატური კატასტროფის ამსახველია... რაც ყველაზე მთავარია, ტაძარში აღმოჩნდა ზოდიაქოს ნიშნები. „მუცლიან გორაზე“ ნაპოვნი ადამიანების **დნმ** სწორედ „J-2“-ია. ეს არის ზუსტად ის დნმ, რომელიც ჩვენ — ქართველებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, ჩერქეზებს, აფსუებსა და ისტორიულად უძველეს კავკასიელ ერებს აქვთ. აქვეა აღმოჩენილი ხორბლის უძველესი ქართული ჯიშებიც. საერთოდ, ქრონოლოგიურად თუ გავყვებით, თვით „მუცლიან გორაზე“ უფრო ძველი გახლავთ თრიალეთის მეზოლითურ-პალეოლითური კულტურა. ბრიტანელმა მეცნიერმა **ჩაილდმა** შემოიტანა ასეთი ტერმინი — „ნაყოფიერი ნახევარმთვარე“, რომელიც შუამდინარეთიდან პალესტინამდე ვრცელდება და მიჩნეულია ცივილიზაციის აკვნად. სწორედ ამ „ნაყოფიერი ნახევარმთვარის“ მეზობლად მდებარეობს კავკასია. სხვათაშორის, იერიქონში აღმოჩენილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ადგილობრივია თუ შეძენილი, არავინ იცის, მაგრამ ის ხორბალი და პროდუქცია, რომელიც „მუცლიან გორასა“ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე იქნა ნაპოვნი, აშკარად ადგილობრივია.

**— გამყინვარების ბოლო პერიოდის კულტურა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირდება, რომელია?**

— ეს არის პალეოლითურ-მეზოლითური პერიოდის **თრიალეთის კულტურა**, მერე მოდის **შულავერის**, მერე — **მტკვარ-არაქსის**, მერე — ისევ **თრიალეთის კულტურის უფრო გვიანდელი ფენა**, რომელსაც აგრძელებს **კოლხური კულტურა.** კოლხური კულტურის დროს საქართველოში უკვე სახელმწიფოებრივი გაერთიანებები არსებობდა და სიცოცხლე ჩქეფდა!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება***

## კვირგვინოსნები

**გიორგი კეპულაძე**

*ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ დამფუძნებელი*



თუ ჩავიხსნებით საერთაშორისო საფინანსო ინსტრუმენტებიდან, **გავღარიბდებით და 90-იანი წლები მოგვენატრება.**

„ახალი თაობა“

**სალომე სამადაშვილი**

*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*



**ამერიკა რჩება ქართველი ხალხის მოკავშირედ,** ის, ვინც წინ გადაეღობება ამ მეგობრობას — **ბიძინა და მისი ბანდა დაისჯება.**

„ინტერპრესნიუსი“

# ერთსა კაცსა ბლისკინელსა...

***ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში თეატრალურ ინსტიტუტში ენის გასატეხ სავარჯიშოთა შორის სტუდენტებს ამ სტრიქონების გარკვევით გამოთქმასაც სთხოვდნენ: „ერთსა კაცსა ბლისკინელსა, ბლის კალათით ბლის ხიდზედა ბალი გააქვს და გამოაქვს...“***

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან **ენტონი ბლინკენსა** და მისი პოლიტიკური ხროვის სხვა **ბლისკინელებს**, რომლებიც ამერიკის ხელისუფლების სათავეში უკანასკნელ დღეებს ითვლიან, საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მეტად **დავით კეზერაშვილის, ეკა გიგაურის, ბაია პატარაიასა და ნინო ლომჯარიას** ფეხსტამლები და ნიფხვები ეძვირფასებათ... **მათთვის საქართველო არის კოლონია, ხოლო ირაკლი ალასანია, დავით თევზაძე, დავით უსუფაშვილი, თინა ხიდაშელი, გიგა ბოკერია, დავით პაჭანიძე, ნიკუშა გვარამია, ბათუ ქუთელია** ის ფასდაუდებელი განძია, რომელთა მეშვეობითაც შეერთებული შტატების კოლონიური ადმინისტრაცია საქართველოს მართავს!

სწორედ ამერიკის კოლონიურმა ადმინისტრაციამ აარიდა სააკაშვილს პასუხისმგებლობა **ზურაბ ჟვანიასა და გურამ შარაძის** მოკვდინებისათვის, ხოლო **ბადრი პატარკაციშვილი** პირდაპირ მოაშთეს, რათა საქართველოს ნაძირალა პრეზიდენტისთვის 2008 წლის აგვისტოს ომის გასაჩაღებლად მოედანი მოესუფთავებინათ.

მთელი ამ ამბის ტრაგიკომედია ის არის, რომ ზემოხსენებული ბლისკინელისგან განსხვავებით, რომელსაც **„ბლის კალათით ბლის ხიდზედა“ ბალი გაჰქონდა და გამოჰქონდა, ბლინკენსა** და **ბაიდენს** სინამდვილეში არავინ არაფერს ეკითხება. მიუხედავად ამისა, ამ მართლაცდა პატრონაძაღლებულებმა, რომლებსაც დიადი ამერიკელი ხალხი სულ რამდენიმე თვეში თეთრი სახლიდან კინწისკვრით გამოაგდებს, მაოხრებელი გზირისა არ იყოს, **გადაწყვიტეს, პატარა საქართველოს ზურგში ხანჯალი ჩასცენ და სულის მოთქმის საშუალება არ მისცენ.**

გვებრძვიან, გვმტრობენ და გვასანქცირებენ იმიტომ, რომ პატარა საქართველო უკრაინის ომში არ ჩაერთო!

მსოფლიო პოლიტიკის ეს ბოროტი ჯამბაზები საქართველოს კი არა, იღბლად გადარჩენილი შუმერული, ხეთური და ქალდეური ცივილიზაციის პირდაპირ კულტურულ მემკვიდრეობას, **„ჩაკრულოს“, „ხასანბეგურას“, „ხორუმს“, „სულიკოს“**, ცეკვა **„ქართულს“, „ოროველასა“** და იმ **„ჭარი ჭარალეს“** ასანქცირებენ, რომელსაც დაახლოებით 3 ათასი წლის წინათ ურარტუელები უხვ მოსავალსა და ნაყოფიერ წელიწადს ევედრებოდნენ...

ყოვლად წარმოუდგენელია ამერიკას მართავდნენ სახელმწიფო მდივანი **ენტონი ბლინკენი** და პრეზიდენტი **ჯოზეფ ბაიდენი,** რომელსაც **ბრეჟნევი და გორბაჩოვი** ცოცხალი ჰგონია. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ **ბლინკენს** ამერიკელი სტუდენტები და სამოქალაქო აქტივისტები უკვე სენატის შენობაში უვარდებიან და უყვირიან, რომ ის **„ომის კრიმინალია“!** აშკარაა, რომ ამერიკას სინამდვილეში ის ყბადაღებული საიდუმლო მთავრობა მართავს, რომლის შესახებაც ამერიკელ ახალგაზრდობას სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე პრეზიდენტი **კენედი** აფრთხილებდა.

ასეა თუ ისე, ამერიკის მოქმედმა სახელმწიფო მდივანმა ქართველებს სანქციები დაგვიანონსა — **ვინც „რუსულ კანონს“ მხარს დაუჭერს, იმას ოჯახის წევრებთან ერთად ამერიკაში არ შემოვუშვებთო!**

ეს რომ სააკაშვილის ტელეკანალიზაციებმა შეიტყვეს, მივარდნენ, მაგალითად, **ალუდა ლუდუშაურს** და გამომწვევად ჰკითხეს — **ამერიკაში რომ დადიოდით და „სელფებს“ იღებდით, აწი რას იზამთო?** — **აწი ყაზბეგში გადავიღებ სელფსო!** — იყო პასუხი...

ბლინკენი და ბაიდენი როლებში ისე შეიჭრნენ, **ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალიც** კი დაასანქცირეს — **აქაოდა, როგორ გაბედეთ და „ჰამასის“ ხელმძღვანელობასთან ერთად ბენიამინ ნეთანიაჰუს დაპატიმრების სანქცია გაეცითო!**

როგორც ცნობილია, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია 123 ქვეყანაზე ვრცელდება, **ანუ ბლინკენმა და ბაიდენმა, ფაქტობრივად, 123 სახელმწიფო დაასანქცირეს, რაც უკვე კლინიკური შემთხვევაა!**

ბლინკენი და ბაიდენი რომ დასაბმელები და გასაკოჭები არიან, ამის შესახებ ამერიკელმა სენატორმა **ტედ კრუზმა** უკვე საქვეყნოდ განაცხადა, როცა ბლინკენს მიმართა — **„ბატონო მდივანო, თქვენ ხელმძღვანელობთ თანამედროვეობის უმძიმეს საგარეო პოლიტიკურ კატასტროფას. როდესაც ჯო ბაიდენი გახდა პრეზიდენტი, მან მემკვიდრეობით მიიღო მშვიდობა და კეთილდღეობა მსოფლიოში. ახლა ჩვენ გვაქვს ორი ომი ერთდროულად — ყველაზე საშინელი ომი ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ყველაზე საშინელი ომი ახლო აღმოსავლეთში ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში. მჯერა, რომ ორივე ომი გამოიწვია ამჟამინდელი ადმინისტრაციის თანმიმდევრულმა სისუსტემ. თქვენი საგარეო პოლიტიკა ზუსტად ეწინააღმდეგება იმას, რაც რაციონალური ამერიკული საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეებისთვის. ეს ადმინისტრაცია მუდმივად ძირს უთხრის მათ, ასუსტებს და თავს ესხმის!“**

ვფიქრობთ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია!

მსოფლიო კინემატოგრაფის ცოცხალმა ლეგენდამ ფრენსის **ფორდ კოპოლამ** ამ რამდენიმე დღის წინათ თავისი ახალი ფილმის პრეზენტაციაზე ასეთი რამ თქვა — **„ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის დამფუძნებლები რომის რესპუბლიკის კანონებსა და სამთავრობო სტრუქტურებს ჰბაძავდნენ, დღეს უკვე თვითგანადგურებისკენ მიემართება. რაც ხდება ამერიკაში, ჩვენს რესპუბლიკაში, ჩვენს დემოკრატიაში, ზუსტი ანალოგია იმისა, თუ როგორ დაკარგა რომმა თავისი რესპუბლიკა ათასობით წლის წინ... საკუთარმა პოლიტიკამ მიგვიყვანა იქამდე, რომ შესაძლოა, დავკარგოთ ჩვენი რესპუბლიკა!“**

ეს არის დიაგნოზი თანამედროვეობის უდიდესი ხელოვანისა, რომელმაც მსოფლიო კინოინდუსტრიაში არაერთი შედევრი შექმნა...

სხვათაშორის, დაახლოებით ასეთივე დიაგნოზი დაუსვა „ამერიკულ დემოკრატიას“ **კონსტანტინე გამსახურდიამ**, რომელმაც ცნობილ პუბლიცისტურ წერილში — **„ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი“** დაწერა — **„ოდესღაც მთელი ქვეყანა იცინოდა იმის გამო, რომ ზოგიერთი ინგლისელი მეტიჩარა, სნობი ჟურნალისტი ყოველი ეროვნების კაცს, ლამანშს გადაღმა წარმოშობილს, უცქეროდა, როგორც უკულტუროსა და ვიგინდარას. პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ ასეთი სნობისტური ყოყოჩობა დასჩემდათ ამერიკელებს, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებიდან ევროპაში ჩამოსულ გაზეთის მჯღაბნელებს, დიპლომატებსა და ვითომდაც მწერლებს: ისინი ზევიდან დასცქერიან არა მარტო აზიელებს, არამედ თვით ევროპელებსაც!“**

ამპარტავნობამ, ცუდმედიდობამ და მითუფრო ცრუქაქუნობამ, როცა ავღანეთიდან გამოიქცევი და თალიბებს 190 მილიარდი დოლარის იარაღს დაუტოვებ, ბევრი სახელმწიფო დაანგრია და დაშალა!

საქართველო მარადიული ქვეყანაა და **ამერიკელ ბლინკენებსაც** გაუძლებს და იმ რუსი მეიგავე **ივანე კრილოვის** სამშობლოსაც, რომელიც ბლინების ჭამის დროს დაიხრჩო!

***დიტო ჩუბინიძე***




**საქართველო მარადიული ქვეყანაა და ამერიკელ ბლინკენებსაც გაუძლებს და იმ რუსი მეიგავე ივანე კრილოვის სამშობლოსაც, რომელიც ბლინების ჭამის დროს დაიხრჩო!**





# დიასახლისების საყურადღებოდ

## ჩვეულებრივი საგნების არაჩვეულებრივი გამოყენება

# ლიმონი



● ხორცსაკეპი მანქანა და სახეხი გამოყენების შემდეგ ლიმონით გაწმინდეთ. მისი წვენი დანებს გაასუფთავებს და დეზინფექციას გაუკეთებს.

● **დაჭრილი ვაშლი და მსხალი რომ არ გაშავდეს, ლიმონის წვენი მოასხით.**

● ლიმონის წვენი იმავე რაოდენობის თბილი წყლით გააზავეთ და ბამბის ტამპონით ტანსაცმელზე ჩაისგან დატოვებულ ლაქებს გადაუსვით, შემდეგ კი წყალში გაავლეთ.

● **ბაცი ფერის თეთრეულის გარეცხვამდე სარეცხ მანქანაში ნახევარი ლიმონის წვენი ჩაამატეთ.**

● თუ ყელი გტკივათ, ლიმონი შუაზე გაჭერით, ერთი ნახევარი ქვაბში ჩაწურეთ, მეორე კი მთლიანად ჩადეთ და ნელ ცეცხლზე გააცხელეთ, სანამ კანი ოქროსფერი არ გაუხდება. შემდეგ წვენი გადაწურეთ და გააგრილეთ, 1 ჩაის კოვზი თაფლი შეურიეთ და პატარ-პატარა ყლუპებით დალიეთ.

● **რამდენიმე ლიმონი მინის ლარნაკზე დააწყვეთ და სასტუმრო ოთახი ან სამზარეულო გაალამაზეთ.**

# დიეტა ტემპერამენტის მიხედვით

***ქოლერიკები, სანგვინიკები, ფლეგმატიკები და მელანქოლიკები შეიძლება სულ სხვადასხვაგვარად იკვებებოდნენ. აქედან გამომდინარე, გახდომის საშუალებებიც ინდივიდუალური უნდა იყოს. მაგალითად, ქოლერიკებისათვის ყველაზე ძნელია კვების მკაცრი რეჟიმის დაცვა, ისინი თითქმის ყველაფერს გეახლებიან. სანგვინიკები კი ცნობილი გურმანები არიან. დიეტა ტემპერამენტის მიხედვით ერთობლივად შეიმუშავეს დიეტოლოგებმა და ფსიქოლოგებმა.***

ფიცხი და იმპულსური **ქოლერიკებისათვის** რეკომენდებულია **პუნქტუალური დიეტა.**

**დილის საუზმე** — უშაქრო ყავა ან ჩაი.

**მეორე საუზმე** — მაგრად მოხარშული კვერცხი.

**სადილი** — 200 გრ საქონლის მოხარშული ხორცი.

**სამხარი** (2 საათის შემდეგ) — 250 გრ უცხიმო ხაჭო.

**ვახშამი** (2 საათის შემდეგ) — 1 ცალი ვაშლი ან სხვა ხილი, უშაქრო ჩაი.

ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ ტემპერამენტიანი ქოლერიკების გასახდომად გამიზნული დღის რეჟიმი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პროდუქტების სწორად შერჩევა.

**სანგვინიკებს,** როგორც სტრესისადმი ყველაზე უფრო მდგრადებს, **ფაფის დიეტას** ურჩევენ ხოლმე. **10 დღის განმავლობაში** მხოლოდ **ფაფა** უნდა მიირთვან ნებისმიერი სახით და კომბინაციით, მაგრამ **რძე, შაქარი** და **მარილი** აკრძალულია. კვირაში რამდენჯერმე აუცილებელია **მშრალი ბურღულის** ჭამა. ამ სახით ის ეგრეთ წოდებულ **„ჯაგრისის“** ეფექტს ქმნის და ხელს უწყობს ორგანიზმიდან **შლაკების და ტოქსინების გამოდევნას. სანგვინიკებს** უფლება ეძლევათ, ჭამონ მაშინ, როცა მოშივდებათ. შეუძლიათ, დალიონ **მწვანე ჩაი** და **წყალი**.

**ფლეგმატიკებისათვის,** რომლებსაც უჭირთ ხოლმე ჩვეულებების შეცვლა, **ზარმაცი დიეტა** შემუშავდა.

**საუზმე** — 250 მლ ფორთოხლის წვენი და 1 პროდუქტი არჩევით: 50 გრ სიმინდის ფანტელი უცხიმო რძით, გახუხული ქატოს პური 30 გრ ყველით, 30 გრ დაღერღილი ხორბლის პური და 1 ბანანი, კარაქიანი ბუტერბროდი და მაგრად მოხარშული კვერცხი.

**სადილი** — სალათის 3 ფურცელი, 1 ფორთოხალი, გახუხული პური ქათმის ხორცით და ყველით (საქონლის ხორცით და კიტრით, თინუსით და პომიდვრით), 250 მლ იოგურტი ან მაწონი.

**ვახშამი** — 150 გრ მოხარშული ინდაურის ხორცი, 75 გრ შემწვარი კარტოფილი, 200 გრ მაწონი ან იოგურტი.

**მელანქოლიკებს** დიეტის ნაცვლად **ლიმონიან-თაფლიანი განტვირთვის დღეები მოუხდებათ.**

განტვირთვის დღის განმავლობაში შეგიძლიათ, დალიოთ საგანგებო გასახდომი სასმელი: გამოწურეთ რვა ლიმონის წვენი, დაუმატეთ 3 სუფრის კოვზი თაფლი, გააზავეთ ეს ნარევი 1,5 ლიტრი უგაზო მინერალური წყლით და დაამატეთ 1 ჩაის კოვზი ცხარე წითელი წიწაკა. კარგად აურიეთ. ეს სასმელი მეტად ეფექტიანად ებრძვის შიმშილის გრძნობას. ლიმონიან-თაფლიანი განტვირთვის ჩატარება, მაქსიმუმ, 36 საათის განმავლობაში შეიძლება, თანაც — კვირაში მხოლოდ ერთხელ.



# ბოსტნეულს თუ ამზადებთ

● ბოსტნეული უშუალოდ მოხარშვის ან შეწვის წინ გაასუფთავეთ, თორემ ბევრი ვიტამინი დაიკარგება.

● **ვიტამინების შესანარჩუნებლად მოსახარშ ბოსტნეულს არასოდეს დაასხათ ცივი წყალი — მხოლოდ ცხელი.**

● ხახვი მოშუშვისას ოქროსფრად დაიბრაწება, თუკი წინასწარ ფქვილში ამოავლებთ, ხოლო სტაფილო უკეთ შეწითლდება, სულ ცოტა შაქრის ფხვნილს თუ მოაყრით.

● **ლობიო და ბარდა უმჯობესია, უმარილო წყალში მოხარშოთ და საბოლოოდ მომზადებამდე ცოტა ხნით ადრე შეაზავოთ. პარკოსნები უფრო სწრაფად რომ მოიხარშოს, 3-4 საათით ცივ წყალში ჩაალბეთ. ამბობენ, თეთრი ლობიოს კერძი უფრო გემრიელი გამოვა, თუ წყალს, რომელშიც იხარშება, ადუღებისთანავე გადააქცევთ, ახალს დაასხამთ და რამდენიმე კოვზ მცენარეულ ზეთს დაუმატებთ.**

● კარტოფილი თავდახურულ ჭურჭელში უნდა მოხარშოთ. მარილი წყლის ადუღებისთანავე დააყარეთ. თუმცა, კარტოფილი უფრო სწრაფად მოიხარშება და გემრიელიც იქნება, თუ საშუალო ზომის ნაჭრებად დაჭრით, მდუღარე წყალს დაასხამთ და 1-2 კოვზ მარგარინს დაუმატებთ.

● **კარტოფილი რომ არ ჩაგეხარშოთ, ადუღებისთანავე წყლის ნაწილი გადააქციეთ, მხოლოდ ნახევარი დატოვეთ, ქვაბს მჭიდროდ დაახურეთ თავსახური და ხარშვა ნელ ცეცხლზე განაგრძეთ. კერძი კიდევ უფრო გემრიელი გამოვა, თუ ცოტაოდენ ცხიმს, წვრილად დაჭრილ მწვანილს ან 1-2 კბილ წვრილად დაჭრილ ნიორს ჩაახარშავთ.**

● გაუფცქვნელი კარტოფილის მოხარშვისას კანი რომ არ დასკდეს, მარილიან წყალში მოხარშეთ ან ჩანგლით რამდენიმე ადგილას დაჩხვლიტეთ.

● **ახალ კარტოფილს კანი ადვილად მოსცილდება,15-20 წუთით ცივ წყალში თუ ჩაყრით. შეიძლება აგრეთვე კარტოფილი პარკში მოათავსოთ, ერთი მუჭა მსხვილი მარილი ჩააყაროთ, პარკს თავი მჭიდროდ მოუკრათ და მაგიდაზე აგორაოთ.**

● ჭარხლის ფოთლებისგან ტრადიციული ნიგვზიანი ფხალის გარდა გემრიელი გარნირის დამზადებაც შეიძლება. კარგად გარეცხილი ჭარხლის ფოთლები წვრილად დაჭერით და 5-10 წუთის განმავლობაში მოშუშეთ, დაუმატეთ ცოტაოდენი მარილი, ქინძი, ოხრახუში და კამა, წვრილად დაჭრილი ან დანაყილი ნიორი და ბოლოს ზეთით ან არაჟნით შეაზავეთ.

● **ჭარხალი სანახევროდ მოხარშეთ, შემდეგ კი ცივ წყალში ჩადეთ ან სულაც ონკანს შეუშვირეთ და ის რბილი იქნება.**

● ყვავილოვანი კომბოსტო მომინანქრებულ ქვაბში მოხარშეთ. წყალში ლიმონის მჟავა ან ცოტა ძმარი ჩაუმატეთ და კომბოსტო სითეთრეს შეინარჩუნებს.

● **ბორშჩის ან ბოსტნეულის რაგუს მომზადებისას გახსოვდეთ, რომ სხვადასხვა ბოსტნეული სხვადასხვაგვარად იხარშება. ქვაბში ჯერ ჭარხალი უნდა ჩაყაროთ, მერე სტაფილო, კომბოსტო, ბოლოს — კარტოფილი, დამთავრებამდე 10 წუთით ადრე კი — მოშუშული ხახვი და მწვანილი.**

● წვნიან კერძებში უმჯობესია, გაფცქვნილი პომიდორი გამოიყენოთ. კანი ადვილად რომ გაეცალოს, პომიდორს დანის ბლაგვი მხარე გადაუსვით ან რამდენიმე წუთით მდუღარე წყალი დაასხით.

● **სალათას ჯერ მარილი მოაყარეთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეაზავეთ ზეთით, რადგან მარილი ზეთში არ იხსნება.**

● ბოსტნეულის ნახარში წყალი არ გადააქციოთ. მასში ბევრი ვიტამინი და ორგანიზმისათვის სასარგებლო მინერალური მარილია და მისგან მშვენიერი წვნიანის და სოუსის დამზადება შეიძლება.

# ზომათა შესაბამისობის ცხრილი

# ფეხსაცმელი



### მამაკაცის

| საქართველო | 37,5 | 38,5 | 39 | 39,5 | 40 | 41 | 41,5 | 42 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 6 | 6,5 | 7 | 7,5 | 8 | 8.5 | 9 | 9,5 |
| ევროპა | 38 | 38,5 | 39 | 40 | 40,5 | 41 | 42 | 42,5 |

| საქართველო | 43 | 43,5 | 44 | 44,5 | 45 | 46 | 46,5 | 47,5 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 10 | 10,5 | 11 | 11,5 | 12 | 12,5 | 13 | 14 |
| ევროპა | 43 | 44 | 44,5 | 45 | 45,5 | 46 | 47 | 48,5 |

### ქალის

| საქართველო | 34,5 | 35 | 35,5 | 36,5 | 37 | 37,5 | 38 | 38,5 | 39,5 | 40 | 41 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 5 | 5,5 | 6 | 6,5 | 7 | 7,5 | 8 | 8,5 | 9 | 9,5 | 10 |
| ევროპა | 35 | 35,5 | 36 | 37 | 37,5 | 38 | 38,5 | 39 | 40 | 40,5 | 40 |

### ბავშვის

| საქართველო | 17 | 18 | 19 | 21 | 22 | 23 | 25 | 26 | 27 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8c | 9c | 10c |
| ევროპა | 17 | 18,5 | 19,5 | 20 | 21 | 21,5 | 22 | 22,5 | 23,5 |
| სანტიმეტრები | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |

| საქართველო | 29 | 30 | 31 | 33 | 34 | 35 | 35,5 | 36 | 36,5 | 37 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 11c | 12c | 13c | 1y | 2y | 3y | 4y | 5y | – | 6y |
| ევროპა | 24 | 24,5 | 25 | 25,5 | 26 | 26,5 | 27 | 27,5 | 28 | 29 |
| სანტიმეტრები | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 22,5 | 23 | 23,5 | 24 |



# გულის ნევროზი. ტკივილები გულის არეში

***არტერიული წნევის დასაწევად და ნერვული სისტემის დასაწყნარებლად კარგია კოწახურის ქერქის ან ფესვების ნაყენის მიღება. 30 გრ მშრალ მასალას დაასხით 200 მლ სპირტი და დააყენეთ რამდენიმე დღის განმავლობაში. დალიეთ თითო სუფრის კოვზი ყოველ ერთ საათში.***

●

**ძახველის მწიფე ნაყოფები** დამდუღრეთ, დასრისეთ, თაფლში აურიეთ და დალევის წინ წყალში გააზავეთ.

●

**შავბალახა** — 1 წილი,
**ბერულა** — 1 წილი,
**კუნელის ყვავილები** — 1 წილი,
**ფითრი** — 1 წილი.

ერთი ჭიქა ნარევს 1 ლიტრი მდუღარე წყალი დაასხით. დააყენეთ რამდენიმე საათის განმავლობაში. გადაწურეთ და მიიღეთ თითო სუფრის კოვზი სამჯერ დღეში ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

●

ჰიპერტონიის საწყისი ფორმების დროს გამოიყენეთ შემდეგი საშუალება: **ლიმონი ან ფორთოხალი** კანიანად გახეხეთ, შაქარი მოაყარეთ და თითო ჩაის კოვზი მიიღეთ დღეში სამჯერ.

●

მაღალი წნევის დროს ყოველდღე მიირთვით **შავი მოცხარის** ახალი ნაყოფი. სასარგებლოა აგრეთვე კანიანად გამომცხვარი კარტოფილი, რომელიც კანიანადვე უნდა მიირთვათ.

●

2 სუფრის კოვზ **შავი მოცხარის გამხმარ ნაყოფს** დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, 10 წუთს ადუღეთ დაბალ ცეცხლზე, ერთი საათის განმავლობაში დააყენეთ, გადაწურეთ და მიიღეთ ნახევარნახევარი ჭიქა დღეში ოთხჯერ.

●

15 გრ **ვალერიანის ფესვებს** დაასხით 200 მლ გადადუღებული ცივი წყალი. დააყენეთ ერთი საათის განმავლობაში. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

●

15 გრ **შავბალახას** დაასხით 200 მლ წყალი. დააყენეთ დახურულ ჭურჭელში 12 საათის განმავლობაში. მიიღეთ მეოთხედი ჩაის ჭიქა 3-4-ჯერ დღეში ჭამამდე 1 საათით ადრე.

●

**ბერულა** — 60 გრ,
**კუნელის ყვავილები და ნაყოფი** — 40 გრ,
**უკვდავა** — 10 გრ,
**თეთრი არყის ხის ფოთლები** — 10 გრ,
**თავშავა** — 20 გრ,
**ვირისტერფას ფოთლები** — 20 გრ,
**მინდვრის შვიტას ყლორტები** — 30 გრ,
**ბოსტნის კამა** — 30 გრ.

1 სუფრის კოვზ დაფხვნილ ნარევს დაასხით 500 მლ მდუღარე წყალი, დააყენეთ ნახევარი საათის განმავლობაში. მიიღეთ 150 მლ დღეში სამჯერ ჭამამდე 10-15 წუთით ადრე. მკურნალობა ხანგრძლივია — დაახლოებით 1 წელი.

●

ერთმანეთში კარგად აურიეთ თითო ჭიქა **სტაფილოს** წვენი, **პირშუშხას** წვენი, 1 **ლიმონის** წვენი და 3-4 სუფრის კოვზი **თაფლი**. შეინახეთ გრილ ადგილას კარგად თავდახურული შუშის ქილით. მიიღეთ 1-2 ჩაის კოვზი სამჯერ დღეში ჭამის წინ.

●

ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ 500-500 გრ კურკებგამოცლილი **ლიმონი** კანიანად, კურკებგამოცლილი **ასკილის** ნედლი ნაყოფები და **შტოშის** ნაყოფები. დაუმატეთ 500 გრ თაფლი, კარგად აურიეთ. ერთი დღე-ღამის განმავლობაში დატოვეთ მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი სამჯერ დღეში ჭამის წინ.

●

100 გრ დანაყილი **ნიგოზი** აურიეთ 60 გრ **თაფლში**. მიირთვით 3-ჯერ ჭამამდე ერთი დღის განმავლობაში. მკურნალობის კურსი 1,5-თვიანია.

●

0,5 ჭიქა გახეხილი **წითელი ჭარხალი** 0,5 ჭიქა ყვავილების თაფლში აურიეთ და მიიღეთ 3-ჯერ დღეში ჭამამდე ნახევარი საათით ადრე 3 თვის განმავლობაში.

●

ჰიპერტონია თუ გაწუხებთ, ყოველდღე 1-2 კბილი **ნიორი** უნდა მიირთვათ.

●

**მინდვრის იონჯის ყვავილების** ნაყენს იღებენ ნებისმიერი ფორმის ჰიპერტონიის (მათ შორის, თირკმლის ფორმის) დროს.1 სუფრის კოვზ ყვავილებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ 1 საათის განმავლობაში. დალიეთ ნახევრი ჭიქა დღეში სამჯერ.

●

ხშირად მიირთვით ხახვი ნებისმიერი სახით. შეიძლება ნარევის მომზადება შემდეგი რეცეპტით.

3 კგ **ხახვისგან** გამოწურული წვენი, 500 **თაფლი**, 25 **კაკლის უღელი** და 500 მლ **სპირტი** კარგად აურიეთ. ათი დღით თბილ ადგილას დატოვეთ. გადაწურეთ და მიიღეთ თითო სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში.

●

20 გრ **იორდასალამის ფესვებს** დაასხით 300 მლ სპირტი. დააყენეთ თბილ ადგილას 7 დღის განმავლობაში. მიიღეთ სამჯერ დღეში ნახევარ ჭიქა წყალში გახსნილი 20-30 წვეთი.

●

1 სუფრის კოვზ **სვიის ფოთლებსა და ღეროებს** დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. დააყენეთ 1 საათის განმავლობაში, გადაწურეთ და მიიღეთ მესამედი ჩაის ჭიქა 3-4-ჯერ დღეში.

# ჰიპოტონია

**ასკილის ნაყოფი** — 1 სუფრის კოვზი,
**მანჯურიული არალიას ფესვები** — 1 სუფრის კოვზი,
**კუნელის ნაყოფი და ფესვები** — 1 სუფრის კოვზი,
**შავი ცირცელის ნაყოფი** — 1 სუფრის კოვზი,
**ორკბილას ფოთლები და ღეროები** — 1 სუფრის კოვზი,
**მრავალძარღვას გამხმარი ფოთლები** — 1 სუფრის კოვზი.

ყველაფერი კარგად აურიეთ და 2 სუფრის კოვზ ნარევს 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი დაასხით, დააყენეთ თერმოსში 4-5 საათის განმავლობაში. მიიღეთ სამჯერ დღეში ნახევარი ჭიქა თითო ჩაის კოვზი თაფლით.

●

50 გრ წვრილად დაფქული **ყავა,** 500 გრ **თაფლი** და 1 **ლიმონის წვენი** ერთმანეთში კარგად აურიეთ. მიიღეთ თითო ჩაის კოვზი ჭამიდან 2 საათის შემდეგ.

●

20 გრ **ბრტყელეკალას** გამხმარ ყვავილებს და ფოთლებს დაასხით ერთი ჭიქა ცივი წყალი,10 წუთის განმავლობაში ადუღეთ ნელ ცეცხლზე. მერე თბილად შეახვიეთ და დააყენეთ 30 წუთის განმავლობაში. გადაწურეთ და მიიღეთ თითო სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში, რათა ტონუსი და სისხლის წნევა მოგემატოთ.

●

სასურველია, დღის განმავლობაში ერთხელ მაინც გადაივლოთ გრილი (რომ შეეჩვევით, შემდეგ შეიძლება ცივი) წყალი ვაშლის ძმრით. ერთ ვედრო წყალში ერთი სუფრის კოვზი ძმარი გაურიეთ.

●

10 გრ გამხმარ **კვლიავს** დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, 30-40 წუთით თბილად შეახვიეთ და დააყენეთ. გადაწურეთ. მიიღეთ ჭიქის მესამედი 2-3-ჯერ დღეში ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

●

დაბალი წნევა ხშირად თუ გაწუხებთ, 2-3 კვირის განმავლობაში, დღეში ორჯერ, საუზმისა და სადილის წინ მიიღეთ 5-20 წვეთი **ჟენშენის** ნაყენი.

●

დღეში ორჯერ, საუზმისა და სადილის წინ უზმოზე მიიღეთ 20-30 წვეთი **ლიმონურას** ნაყენი ერთ სუფრის კოვზ წყალთან ერთად.

●

ძალზე სასარგებლოა ზაფხულობით ნამიან ქვებსა და ბალახზე, ზამთარში კი — თოვლზე ფეხშიშველა სიარული. 3-5 წამიდან უნდა დაიწყოთ და ყოველდღე 2-2 წამი მიუმატოთ. ასე უნდა ახვიდეთ 3-5 წუთამდე. თოვლზე გასეირნების შემდეგ ფეხები შალის ქსოვილით უნდა დაიზილოთ.

●

დღეში ორჯერ (მეტად არა) ჩაის ან ყავის დალევა მაღლა წევს წნევას. განსაკუთრებით სასარგებლოა **მწვანე ჩაი,** ის ნაზად მოქმედებს და 2-3 თვის განმავლობაში სისტემატურად თუ დალევთ, სტაბილურ ეფექტს იძლევა.

●

საშუალო ზომის 6 **ლიმონი** კარგად გარეცხეთ, თესლები გამოაცალეთ, ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ, დაუმატეთ 1 ლიტრი გადადუღებული ცივი წყალი და 500 გრ თხელი **თაფლი.** ეს ყველაფერი კარგად აურიეთ და 36 საათით მაცივარში შეინახეთ. მიიღეთ 50 გრ სამჯერ დღეში ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

# ზომათა შესაბამისობის ცხრილი
# ტანსაცმელი





### მამაკაცის

| საქართველო | 44-46 | 46-48 | 48-50 | 50-52 | 52-54 | 54-56 | 56-58 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | XS | S | M | L | XL | XXL | XXXL |
| გერმანია | 42-44 | 44-48 | 48-52 | 52-56 | 56-60 | 60 | – |
| საფრანგეთი-იტალია | 40-44 | 44-48 | 48-52 | 52-56 | 56-58 | – | – |
| დიდი ბრიტანეთი | 34-35 | 36-38 | 39-41 | 42-44 | 45-47 | 47-48 | – |
| სიმაღლე, სმ | 168 | 174 | 180 | 186 | 192 | 198 | 204 |

### ქალის

| საქართველო | 40 | 42 | 44-46 | 48 | 50-52 | 54 | 56 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | XS | S | M | L | XL | XXL | XXXL |
| გერმანია | 32-34 | 34-36 | 38-40 | 40-42 | 44-46 | – | – |
| საფრანგეთი | 34-36 | 38-40 | 40-42 | 44-46 | 46-48 | 50-52 | – |
| იტალია | 38-40 | 40-42 | 44-46 | 46-48 | 48-50 | – | – |
| დიდი ბრიტანეთი | 6-8 | 8-10 | 10-12 | 14-16 | 16-18 | – | – |
| სიმაღლე, სმ | 158 | 163 | 168 | 173 | 178 | 183 | 188 |

### ბავშვის

| სიმაღლე, სმ | 86 | 104 | 116 | 128 | 140 | 152 | 154 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ასაკი | 2 | 4 | 6 | 8 | 10 | 12 | 14 |
| აშშ | 3XS | 2XS | XS | S | M | L | XL |



# მიხეილ ცაგარელი: მთვარის ზემოქმედება ჯანმრთელობაზე

*არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ მთვარე გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ემოციებსა და ინსტინქტებზე, მის არსებაში მიმდინარე ფსიქიკურ პროცესებზე, ასევე შეუძლია, მართოს ადამიანის ქცევა და მთვარის ენერგიის გავლენით შესაძლოა მოდუნდეს ადამიანის ყურადღება. რომელი ორგანოებია დასუსტებული, როცა მთვარე კირჩხიბშია? რატომ უნდა მოვერიდოთ დატვირთვას, როდესაც მთვარე ლომის ზოდიაქოშია? რომელი დაავადების მკურნალობაა კარგი, როდესაც ლომის ნიშნის შემდეგ მთვარე გადავა ქალწულის ნიშანში? რომელი ორგანოებია ყველაზე დაუცველი და რა ოპერაციების ჩატარება არ შეიძლება, როდესაც მთვარე ქალწულშია? რომელი ორგანოები სუსტდება, როდესაც მთვარე სასწორშია? — ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი.*

**— ბატონო მიხეილ, მოგვიყევით მთვარის ზემოქმედებაზე, როცა ის კირჩხიბის, ლომის, ქალწულის, სასწორის ზოდიაქოებშია? რომელი ორგანოები სუსტდება ამ დროს და რა უნდა გავითვალისწინოთ?**

— **მთვარე კირჩხიბში. ამ პერიოდში დასუსტებულია მკერდი, კუჭი, საყლაპავი მილი, კუჭქვეშა ჯირკვალი, ნეკნები, ლიმფური სისტემა.** ამასთან, ადამიანებს, რომლებიც დილას არიან დაბადებულნი, კუჭის წვენის მჟავიანობა ეზრდებათ, ხოლო ღამე დაბადებულ ადამიანებს პირიქით — უმცირდებათ. ასეთ დღეებში აკრძალულია ოპერაციები კუჭსა და მკერდზე, სარძევე ჯირკვლებზე, ყველა სახის ბიოენერგეტიკული მკურნალობა, ალკოჰოლური სასმელების და ქიმიკატების მოხმარება. მეტ ყურადღებას საჭიროებს საკვები, მისი ვარგისიანობა, სასარგებლო თვისებები. არაა სასურველი არც შიმშილობა და არც საკვების დიდი რაოდენობით მიღება, ვინაიდან თხის რქა კირჩხიბის საპირისპირო ნიშანია. ამ დღეებში რეკომენდებულია ქვების და ტოქსინების მოცილებასთან დაკავშირებული პროცედურები. კერძოდ, მარილის დაგროვების, ართრიტის მკურნალობა. ასევე, ნებადართულია კბილების მკურნალობა და ამოღება, კბილების პროთეზირება. დასაშვებია ოპერაციები ფეხებზე, მუხლებზე და მყესებზე. კარგია მეტაბოლური დაავადებების, ჩიყვის მკურნალობა და პროფილაქტიკური პროცედურების ჩატარება.

**მთვარე ლომში. ასეთ დღეებში დასუსტებულია გული, გულ-სისხლძარღვთა სისტემა და ხერხემლის კუნთები.** ამიტომ ამ პერიოდში უნდა მოვერიდოთ დიდ დატვირთვებს, რადგან არსებობს გულის შეტევების, უკმარისობის, ინფარქტის ალბათობა. შეიძლება მიიღოთ გულის შეტევა ან გულის უკმარისობა. გარდა ამისა, იზრდება რადიკულიტების მიმართ მიდრეკილება და სისუსტე. აკრძალულია ოპერაციები გულზე, ზურგისა და გულმკერდის არეში. გარდა ამისა, ზედმეტი ფიზიკური დატვირთვა არაა მიზანშეწონილი, რადგან ამაზე ჩვეულებრივზე მეტი რესურსი და ენერგია დაიხარჯება, რაც ცუდად შეიძლება აისახოს ორგანიზმსა და ჯანმრთელობაზე. საქმე ისაა, რომ **ლომის ნიშნის შემდეგ მთვარე გადავა ქალწულის ნიშანში და შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სახის ტკივილები.** ამიტომ ლომში მთვარის ყოფნის დროს ფიზიკური ძალა ზომიერად უნდა დაიხარჯოს. სამაგიეროდ, ამ დღეებში დადებითად ჩაივლის სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის დაავადებების (კრუნჩხვები, ტრემორი) მკურნალობა. რეკომენდებულია ქვედა კიდურების, სახსრების დაავადებების, მხედველობის ორგანოების დაავადებების მკურნალობაც.

**მთვარე ქალწულში. ასეთ პერიოდში ყველაზე დაუცველი ორგანოებია ნაწლავები და კუჭ-ნაწლავის ტრაქტი** (სწორი ნაწლავის გარდა), **კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა, აპენდიქსი, მუცლის კუნთები, მწვავდება დიაბეტი.** ამიტომ ამ დღეებში ყურადღება უნდა მიაქციოთ დიეტის დაცვას. ნებისმიერი არასასურველი რისკების გვერდის ასავლელად იკრძალება ოპერაციები მუცლის ღრუზე, ნაწლავზე. ისეთი მარტივი ოპერაციები, როგორიცაა მუცლის თიაქრის ან ბრმა ნაწლავის ამოჭრა, შეიძლება ცუდად ჩატარდეს, გამოიწვიოს გართულებები, გაძნელდეს ჭრილობის შეხორცება და სხვა, მთვარის ქალწულში მოძრაობის დღეებში დასაშვებია სისხლისა და ღვიძლის გასაწმენდად რეკომენდებული პროცედურების ჩატარება, ასევე კანის დაავადებების მკურნალობა. ეს დრო სასიკეთოა კოსმეტიკური პროცედურებისთვის და პლასტიკური ქირურგიისთვის მოსამზადებლად. თავად ოპერაციები კი მეტად სასიკეთოა იმ დღეებში, როდესაც მთვარე იმოძრავებს სასწორის ზოდიაქოში.

**მთვარე სასწორში. ასეთ დღეებში სუსტდება თირკმლები, ენდოკრინული სისტემა. განსაკუთრებით კი პანკრეასი, ყელი, კანი, შარდის ბუშტი.** ამიტომ ამ ორგანოებს მეტი ყურადღება ესაჭიროება და დაუშვებელია მათი გადაღლა. შაქრის დიაბეტითა და პანკრეატიტით დაავადებული ადამიანები ამ დღეებში განსაკუთრებულად ფრთხილად უნდა იყვნენ. თუ წინა დღეს მიირთმევთ მძიმე საკვებს (როდესაც მთვარე ქალწულში მოძრაობდა), მაშინ მეორე დღეს (როდესაც მთვარე სასწორში შევიდა) ამან შეიძლება ცუდად იმოქმედოს პანკრეასზე და შესაძლებელია, გამოიწვიოს დაავადების გამწვავება და შეტევები. სამაგიეროდ, ეს დღეები სასიკეთოა პლასტიკური ქირურგიისთვის, კბილების ამოსაღებად, სმენის სამკურნალოდ და ყურების გასახვრეტად, ყირამალა დგომისთვის (წნევის დასარეგულირებლად), გრძნობათა ორგანოების გასავითარებლად. გარდა ამისა, ეს დღეები ძალიან კარგია წონის კორექციის პროცედურებისთვის, დიეტის დასაწყებად.

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

## 27 მაისი – 2 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
საქმიან პარტნიორებთან ძალზე მეგობრული ურთიერთობები ჩამოგიყალიბდებათ. ამის შედეგად შესაძლოა სამსახურებრივი მოვალეობების ნაწილიც კი ერთობლივად შეასრულოთ. მშვიდად გააანალიზეთ სიტუაცია და ადვილად გაართმევთ თავს ყველა სირთულეს. მატერიალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად არ გარისკოთ. სასიყვარულო სფეროში აუცილებელი გახდება გარკვეული ცვლილებების შეტანა. მოგზაურობა კი დადებითად ჩაივლის.

**კურო** (21.04-20.05)
თქვენი მთავარი მიზანი არსებული მდგომარეობის გამყარება და ფინანსური წარმატება იქნება. კარგი დროა უძრავ ქონებასთან ან ბინასთან დაკავშირებული საქმეების მოსაგვარებლად, საბუთების მოსაწესრიგებლად. ერიდეთ მაქინაციებს და ნუ გარისკავთ, რათა ზიანი არ მიაყენოთ საკუთარ ავტორიტეტს. თავს არაკომფორტულად იგრძნობთ, თუ ვერ მიიღებთ დახარჯული შრომის ადეკვატურ შექებას. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახსა და ბავშვებს. დასვენების საუკეთესო საშუალებას სპორტი და სეირნობა წარმოადგენს.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ამ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებები ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდება. გაიზრდება თქვენი მოთხოვნები, გაგიჩნდებათ ახალი მიზნები და ამოცანები, მიღწეული შედეგები ამბიციებს ბოლომდე ვერ დაგიკმაყოფილებთ, ამიტომ მოგინდებათ მათი დახვეწა და გაუმჯობესება. დადებითი ცვლილებებია მოსალოდნელი კარიერაში, პროფესიასა და სოციალურ სტატუსში. მოგზაურობისას არსებობს რომანტიკული თავგადასავლების ალბათობა, თუმცა, გადაწყვეტილებები ეცადეთ, წინასწარ გაიაზროთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
შესაძლოა, შეიცვალოს თქვენი სოციალური სტატუსი, სამსახური ან საქმიანობა. თუ საკმარისი ფინანსები არ გაქვთ, ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ქველმოქმედებისას ეცდებით, ხელმძღვანელმა პირებმა დაინახონ და დააფასონ თქვენი ძალისხმევა. დიდია ცდუნებების ალბათობა. მოერიდეთ როგორც პირად, ასევე სასიყვარულო ხასიათის საეჭვო კონტაქტებს. ძალიან ბევრს ნუ იმუშავებთ, რათა ზიანი არ მიაყენოთ ჯანმრთელობას. მოგზაურობისას სიფხიზლე გამოიჩინეთ უცნობ ადგილებში.

**ლომი** (23.07-23.08)
მიზნის მისაღწევად აუცილებელი იქნება ადრე დასახული გეგმების მშვიდად და გეგმაზომიერად შესრულება. მუშაობისას გამოიყენეთ ყველაზე თანამედროვე ტექნიკა და მეთოდები. შესაძლოა, პირადი ან საოჯახო პრობლემების გადაჭრა მოგიხდეთ, რაც დაუკავშირდება ურთიერთობებში ცვლილებებს. განწყობას გაგიუმჯობესებთ ახლო მოგზაურობა, სადაც შესაძლოა მეგობარი ან კარგი მრჩეველი შეიძინოთ. ჯანმრთელობის მდგომარეობას საფრთხე არ ემუქრება.

**ქალწული** (24.08-23.09)
სამსახურში მიუხედავად სირთულეებისა, მეტად ჰარმონიული და შემოქმედებითი სიტუაცია დამყარდება, რაც მოგცემთ საშუალებას დაასრულოთ ადრე დაწყებული საქმეები, ხოლო ახალ წამოწყებებს სასურველია, ხელი არ შეუშალოს თქვენმა მერყეობამ და გაუბედაობამ. ძველ მეგობრებთან ურთიერთობის აღდგენა გაგიხალისებთ ცხოვრებას. პირად ცხოვრებაში გადაწყვეტილების მიღებისას ნუ იჩქარებთ, ხოლო მოგზაურობისას გამოიჩინეთ სიფრთხილე, რათა არ გაცივდეთ ან ავად არ გახდეთ.

## 27 მაისი – 2 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
გაიზრდება სასიცოცხლო ძალები. თქვენ მეტად შრომისუნარიანი, მზრუნველი და ყურადღებიანი გახდებით. შეძლებთ ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას. კარგი დროა მოგზაურობებისა და მივლინებებისთვისაც. ოჯახში თავს დაცულად, მშვიდად და თავისუფლად იგრძნობთ. მიუხედავად ამისა, არ გარისკოთ, ინფორმაცია კარგად გადაამოწმეთ და ნუ ენდობით უცნობებს. ვნებები გაგილამაზებთ სასიყვარულო სფეროსა და პირად ცხოვრებას, თუმცა, ეცადეთ, საყვარელ ადამიანს არაფერზე დაწყვიტოთ გული.

**მორიელი** (23.10-22.11)
ახალ გარემოებებთან შეგუება არ გაგიჭირდებათ და ახალ პირობებში მუშაობა სასურველ შედეგს მალე გამოიღებს. მიუხედავად ამისა, საბუთების განხილვისას მეტი დაკვირვებაა საჭირო. ყურადღებით გადაამოწმეთ ყველა დეტალი და აუღელვებლად მიიღეთ გადაწყვეტილებები. ყურადღება დაუთმეთ ახლო ნათესავებსა და საქმიან პარტნიორებს. ეჭვის თვალით ნუ შეხედავთ მეგობრებს, რათა მათთან ურთიერთობა არ გაგიუარესდეთ. ქალაქგარეთ გამგზავრება დადებითად აისახება ჯანმრთელობაზე.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ეს ძალზე მნიშვნელოვანი პერიოდია, როდესაც შეიძლება გაუმჯობესდეს თქვენი ცხოვრება. ფინანსური წარმატება დამოკიდებული იქნება თქვენს მოთმინებაზე, კონტაქტურობაზე და საუკეთესო თვისებების გამოვლენის უნარზე. ეს სასიკეთო დროა მკურნალობისთვის, მოგზაურობისთვის, სწავლისთვის, ახალი ნივთების შეძენისთვის. გაიზრდება ახალი ინფორმაციის მიღების სურვილი და ინტერესი. ადრე დაწყებული სასიყვარულო ურთიერთობა შეიძლება ქორწინებით დაგვირგვინდეს.

**თხის რქა** (22.12-19.01)
კარიერაში წინსვლისთვის ბევრი შრომა დაგჭირდებათ, მაგრამ ეცადეთ, ზედმეტად არ გადაღალოთ გონება. პარტნიორებთან ერთად შესაძლებელი იქნება ძველი სირთულეების დაძლევა. იმპულსურად მოქმედებისას შეიძლება დამოკიდებული გახდეთ გარემოებებზე. საქმეები სწრაფ მოგებას ვერ მოგცემთ, ამიტომ ხანგრძლივ პროექტებზე გაამახვილეთ ყურადღება. მოგზაურობისას არ დაივიწყოთ სიფრთხილე, რათა თავი აარიდოთ ხიფათს. მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობასა და სწორ კვებასაც.

**მერწყული** (20.01-18.02)
კარგი დროა ცოდნის გასაღრმავებლად, შემოქმედებისა და თვითგამოვლენისთვის. ხელსაყრელი პერიოდია იურიდიული და ოფიციალური საქმეების მოსაგვარებლადაც. ფულადი სახსრების მიმართ საკმაოდ ფრთხილი იქნებით, რაც მოგცემთ საშუალებას, დაზოგოთ გარკვეული თანხა. რომანტიკულ ურთიერთობებში შესაძლოა, მოისურვოთ უჩვეულო გამოცდილების მიღება, რაც ბედ-იღბლის ცვლილებას გამოიწვევს. მოგზაურობა დადებითად ჩაივლის.

**თევზები** (19.02-20.03)
მოვლენები თქვენ გარშემო სწრაფად განვითარდება, ამიტომ ხშირად დაისვენეთ და ეცადეთ, არ გადაიღალოთ, რათა ავად არ გახდეთ. ფინანსურ კეთილდღეობაზე ოცნება დაუკავშირდება სახლისა და ცხოვრების გალამაზების სურვილს. ნუ გარისკავთ, პირად ურთიერთობებში შესაძლებელია სერიოზული ცვლილებები, საყვარელ ადამიანთან დაცილება ან სიმპათიის ცვლილება. მოგზაურობამ შესაძლოა, დამატებითი პრობლემები შეუქმნას თქვენს ჯანმრთელობას.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 27,30,31 მაისი და 1 ივნისი

**23 მაისი — სავსემთვარეობა;**
**6 ივნისი — ახალმთვარეობა.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 27 მაისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.32 საათზე, ჩადის 19.25 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 23.29 საათზე, ჩადის 07.25 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 01.57 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია (23.03-00.46). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ნუ გექნებათ იმის იმედი, რომ პარტნიორები ყველაფერს თავისთავად მიხვდებიან, უმჯობესია, შეათანხმოთ მათთან ყველაფერი. ნუ იქნებით აგრესიული და სულსწრაფი. ეფექტურია კუჭ-ნაწლავის, მკერდის მკურნალობა, ფეხით სიარული. მოერიდეთ მკვეთრ მოძრაობებს, სიმძიმეების აწევას, ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას, ვაჭრობას, ქორწინებას, ახალ კავშირებს. პოზიტიური დღეა მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებისთვის, კარგად მოფიქრებული საქმეებისთვის, ექსპერტიზისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ნადირობისა და თევზაობისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, კანი, კბილები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპებისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 28 მაისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.31 საათზე, ჩადის 19.26 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 08.38 საათზე (მთვარის მე-20 დღეა. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** ახალი საქმეების დასაწყებად აკონტროლეთ ხასიათში მომატებული შური, წყენა, ზღვარგადასული ამპარტავნობა. ნერვულ-დეპრესიული მდგომარეობა შეაწუხებს დღეს და ხვალ კუროს, ლომის, თხის რქის ზოდიაქოს ნიშნებს, ნუ ინერვიულებთ, მშვიდად გაატარეთ ეს დღე. საერთო მიზანი ბევრ ადამიანს გააერთიანებს. პარტნიორულ ურთიერთობებში მოსალოდნელია გეგმების შეცვლა, სპონტანური მოქმედება, დიდხანს ფეხზე ნუ იდგებით, უმჯობესია, იაროთ. ნუ ფორიაქობთ, არ აჰყვეთ ზედმეტ ფანტაზიებს, ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ. სასიკეთო დღეა საზოგადოებრივი და რეფორმატული საქმეებისთვის, სესხის ასაღებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული და ლიმფური სისტემა, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 29 მაისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოშია. ამოდის 04.30 საათზე, ჩადის 19.27 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 00.05 საათზე, ჩადის 09.54 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 02.40 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია. **ტენდენციები:** დღეს მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებს. სიბრძნის, სამართლიანობის და სიკეთის დღეა. შესაძლებელი იქნება ნოვატორული იდეების განხორციელება, პროგრამული სისტემის ათვისება, ნაკლებად იდექით ფეხზე, ჯობს სიარული. აიცილეთ ნერვიულობა, ნუ ფორიაქობთ, ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ. დღეს მანდილოსნები უფრო პრაგმატულად აზროვნებენ, დაუგდეთ ყური დედის რჩევებს. მოერიდეთ მცენარეების დარგვა-გადარგვას, ხელმძღვანელთან ურთიერთობას, სასიკეთო დღეა კბილების მკურნალობისთვის, ადგილსამყოფლის შესაცვლელად, სესხის ასაღებად, სახლის მშენებლობისთვის, ელექტრო, გაზ და კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ძოწი, ცირკონი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 30 მაისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.30 საათზე, ჩადის 19.28 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს თევზების ზოდიაქოში. ამოდის 00.35 საათზე, ჩადის 11.10 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 02.50 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00-04.34 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** პარტნიორული ურთიერთობების გადახედვის დღეა. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, თუ არა ხართ დარწმუნებული წარმატებაში. მოერიდეთ ანალიზების ჩაბარებას, ექოსკოპიას, ალკოჰოლური სასმელების, ნარკოტიკული ნივთიერებების, ფსიქოტროპული პრეპარატების მიღებას, ახალი ფეხსაცმლის ჩაცმას და ყიდვას. პოზიტიური დღეა შემოქმედებითი მუშაობისთვის, მგზავრობისთვის, იურისტებთან კონტაქტისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, ქორწინებისთვის, კონტრაქტის დასადებად, სასამართლო პროცესებისთვის, ქველმოქმედებისთვის. დაპირებებს ნუ გასცემთ, სესხი არ აიღოთ და არ გასცეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ტერფები, თვალები, ნერვული სისტემა. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, გაგატი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 31 მაისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.29 საათზე, ჩადის 19.29 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 01.00 საათზე, ჩადის 12.10 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 02.57 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღე კონფლიქტური და ავარიულია — იყავით ყურადღებით. კარგი დღეა შემოქმედებითი მუშაობისთვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი მიმართვისთვის, საზოგადოების წინაშე გამოსვლისთვის. არ ვარგა დაპირების გაცემა. პარტნიორულ ურთიერთობაში ნუ გაამჟღავნებთ საკუთარ გეგმებს, მოერიდეთ ტერფების მასაჟს, ანალიზების ჩაბარებას, ექოსკოპიას, ალკოჰოლურ სასმელებს, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ პრეპარატებს, საიდუმლო საქმეებსა და სიყვარულს, დღეს საიდუმლო ადვილად გამოაშკარავდება. სასიკეთო დღეა მგზავრობისთვის, იურისტთან კონტაქტისა და სასამართლო პროცესებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, კონტრაქტების დასადებად, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, ამეთვისტო, გაგატი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 1 ივნისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.29 საათზე, ჩადის 19.29 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში (07.40). ამოდის 01.23 საათზე, ჩადის 13.39 საათზე (მთვარის 24-ე დღეა, მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს და ხვალ მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს, თმის შეჭრას, ქორწინებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს, ხელშეკრულების დადებას. პარტნიორულ ურთიერთობაში შესაძლებელი იქნება რთულ საკითხებში შეთანხმების მიღწევა. ფიზიკურად და სულიერად ნუ გადაიღლებით, განსაკუთრებით ნუ გადაღლით თვალებს. ეფექტურია თირკმლების, ყელის, ენდოკრინული სისტემის, შარდსასქესო სისტემის, კანის დაავადებათა მკურნალობა. პოზიტიური დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 2 ივნისი , კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.28 საათზე, ჩადის 19.30 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 01.45 საათზე, ჩადის 14.54 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 03.10 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** მშვიდად გაატარეთ დღევანდელი დღე. სამყარო გამოცდას მოუწყობს თქვენს სულიერ მდგრადობას. ნუ გადაღლით თვალებს, არ ვარგა მძაფრი სურნელი. მოერიდეთ ქორწინებას, საფინანსო ოპერაციებს, ხელშეკრულების დადებას, სტომატოლოგიურ პროცედურებს, წესების დარღვევას. ნუ იქნებით სულსწრაფი, დაიოკეთ კამათისადმი მიდრეკილება. სასიკეთო დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, მგზავრობისთვის. კარგი დღეა ტურისტული ლაშქრობისთვის, სპორტული ღონისძიებისთვის. პოზიტიური დღეა ნიადაგის დამუშავებისთვის, ხეხილის შეწამლისთვის, სამღებრო სამუშაობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კბილები, თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, ძოწი, სერდოლიკი, წითელი იასპი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.






28 მაისი — ხსენება ღირსისა პახუმი დიდისა

✝ **27 მაისი. ორშაბათი.** მოწამისა ისიდორესი; მოწამისა მაქსიმესი; ღირსისა სერაპიონ სინდონიტისა; ლეონტისა, იერუსალიმელი პატრიარქისა.

✝ **28 მაისი. სამშაბათი. ღირსისა პახუმი დიდისა;** ღირსისა პიროს ბრეთელისა; აქილე ლარისელი ეპისკოპოსისა.

✝ **29 მაისი. ოთხშაბათი. ერგასის განზოგება. ღირსისა თეოდორე განწმედილისა;** მღვდელმოწამისა ალექსანდრესი, იერუსელიმელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: ვიტესი, მოდესტისა და კრისკენტიასი; ნეტარისა ყრმისა მუზა ქალწულისა; ღირსთა მამათა, წმიდა საბას ლავრაში გვემულთა; გიორგი მეორისა, მიტილენელი ეპისკოპოსისა.

✝ **30 მაისი. ხუთშაბათი.** მოციქულისა ანდრონიკესი და წმიდისა იუნიასი; მოწამეთა: სოლოქონისა, პამფამირესი და პამფალონ მხედართა; სტეფანესი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ **31 მაისი. პარასკევი. წმიდათა მამათა შვიდთა მსოფლიოთა კრებათა;** წმიდათა მოწამეთა ძმათა, დავითისა და ტირიჭანისა და დედისა მათისა თაგინესი; მოწამისა თეოდოტე ანკვირელისა და შვიდთა ქალწულმოწამეთა: ალექსანდრასი, ტეკუსასი, კლავდიასი, ფაინასი, ევფრასიასი, მატრონასი და იულიასი; მოწამეთა: პეტრესი, დიონისესი, ანდრიასი, პავლესი და ქრისტინესი; მოწამეთა: სვიმეონისა, ისააკისა და ბაქტისისა; მოწამეთა: ირაკლისი, პავლინესი და ბენედიმესი.

✝ **1 ივნისი. შაბათი. წმიდისა დედისა ჩვენისა მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინოსი;** იოანე გუთელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამეთა: პატრიკისა, პრუსელი ეპისკოპოსისა და მისთანა აკაკი, მენანდრო და პოლიენო ხუცესთა; მოწამისა კალუთა ეგვიპტელისა; კეთილმსახურისა მთავრისა დიმიტრი დონელისა.



1 ივნისი — ხსენება წმიდისა დედისა ჩვენისა მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინოსი

✝ **2 ივნისი. კვირა. აღდგომიდან მე-5, სამარიტელის კვირა. კრება მანგლისის ჯვარისა.** ღირსთა: ზაბულონისა და სოსანასი, ნინო მოციქულთა სწორის მშობელთა; მოწამეთა: თალალესი, ალექსანდრესი და ასტერისა; მოწამისა ასკალონისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ალექსი მოსკოველისა.



# მაღაზია «ბუკვისტა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 57-ე წელია,

# მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!




## 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ბატერფლაი; 7. პონტო; 12. ტატრა; 13. ლორია; 14. კრიტიკოსი; 15. მოპსი; 16. ლურჯი; 17. ვივატ; 18. ამერიკელი; 23. რელსი; 24. ფიჯი; 26. ნორიო; 27. ასტრონომია; 28. კიზი; 30. კომში; 31. ჭილი; 33. კარაბადინი; 37. ვარდი; 38. რვალი; 40. კაბრიოლეტი; 42. მეტანია; 46. ზებრა; 47. სემირამიდა; 52. მინდორი; 53. სირი; 55. პოსტამენტი; 56. ასკარიდი; 60. რიფტი; 61. პირამიდონი; 64. ლეკური; 65. გრანდი; 66. სტატისტიკა; 67. აბაზია.

შვეულად: 1. ბუკია; 2. ტეიდე; 3. რაინი; 4. ლეონე; 5. იტილი; 6. სტარტი; 7. პამირი; 8. ნაპალმი; 9. ოლივანი; 10. ტრავერსი; 11. გასტროლი; 19. მესია; 20. რურუა; 21. კონკა; 22. ლამბი; 24. ფაკირი; 25. ჯამნა; 28. კივი; 29. ზორგე; 31. ჭიქა; 32. ლოსი; 33. კუკი; 34. რაბლე; 35. ბრიჯი; 36. დელტა; 39. ლიბრი; 41. ტაი; 42. მამის; 43. ტონგა; 44. ნეონი; 45. აშიკი; 47. სიონი; 48. მიტრა; 49. რომბი; 50. მენტორი; 51. დვირი; 53. საფარი; 54. რაიონი; 57. კალია; 58. როკვა; 59. დირბი; 61. პას; 62. რქა; 63. მეი.

**მარტინიკაპიპეტიციალინონიუსინათლობაბრიკეტი**
**კამათელიანიონილიტრამალიბუხარაზიდანიავარია**

| კუნძული ვესტ-ინდოეთში (საფრანგეთის სამფლობელო) | წამლის ჩასაწვეთებელი მილაკი | ციმციმი | ვერნიერი | მონათვლასთან დაკავშირებული წეჩვეულება | აგურის სახით დაპრესილი მასალა |
|---|---|---|---|---|---|

| გაზაფხულის თვე | სახის ნაწილი | წერილობითი კოლექტიური თხოვნა | წმინდა ბატისტი | თვალისჩინის არმქონე | დიდი დათვი | დიდი ჯოხი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. სპორტული ცურვის სახეობა; 7. უძველესი სახელმწიფო შავი ზღვის პირას; 12. ჩეხური ავტომობილი; 13. ქართველი ფეხბურთელი, მეკარე; 14. ლიტერატორი, რომელიც ვისიმე ნაწარმოების და შემოქმედების კრიტიკას ეწევა; 15. ოთახის პატარა ძაღლი; 16. სპექტრის ერთ-ერთი ფერი; 17. გაუმარჯოს! (ლათ.); 18. გრემ გრინი „წყნარი ...“; 23. მატარებლის სამოძრაო ლითონის ძელი; 24. სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 26. სოფელი გარდაბნის რაიონში; 27. ცის სხეულების შემსწავლელი მეცნიერება; 28. ამერიკელი მწერალი („ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“); 30. ბია; 31. იგივეა, რაც პაპირუსი; 33. ასტროლოგიური, საწინასწარმეტყველო ძველი წიგნი; 37. ყვავილის დედოფალი; 38. ბრინჯაო; 40. ერთგვარი მსუბუქი ავტომობილი; 42. მუხლის მოდრეკა ლოცვისას; 46. ზოლიანი ცხენი; 47. ასირიის ლეგენდარული დედოფალი; 52. სწორი ბალახიანი ადგილი; 53. იგივეა, რაც ჩიტი; 55. კვარცხლბეკი, პიედესტალი; 56. ნაწლავების პარაზიტი ჭია; 60. დედამიწის ქერქის ხაზისებრი ტექტონიკური სტრუქტურები; 61. ამიდოპირინი; 64. კავკასიის ხალხებში გავრცელებული ცეკვა; 65. დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდებულება ესპანეთში; 66. მასობრივ მოვლენათა აღრიცხვა; 67. სიარულის უნარის დაკარგვა.

შვეულად: 1. ქართველი კომპოზიტორი; 2. ვულკანი კანარის კუნძულებზე; 3. მდინარე გერმანიაში; 4. იტალიელი რეჟისორი („... ერთხელ ამერიკაში“); 5. ვოლგის ძველი სახელი არაბულ ლიტერატურაში; 6. შეჯიბრის დაწყების მომენტი; 7. მთათა სისტემა შუა აზიაში; 8. ლაბისებრი საწვავი პროდუქტი; 9. მოყვითალო მწვანე მინერალი; 10. ალპინისტების გადასვლა რამდენიმე მწვერვალზე; 11. სხვა ქვეყნიდან ჩამოსული მსახიობის გამოსვლა; 19. ზღაპრული მხსნელი; 20. ქართველი ექსმოჭიდავე; 21. ტრამვაის წინამორბედი ტრანსპორტი; 22. იგივეა, რაც ბლანდი; 24. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი; 25. მდინარე ინდოეთში; 28. ახალზელანდიური უფრთო ფრინველი; 29. სსრკ-ის მზვერავი იაპონიაში; 31. ჩაის, ღვინის ცილინდრული ჭურჭელი; 32. ირმების ოჯახის ცხოველი, ცხენირემი; 33. ინგლისელი ზღვაოსანი; 34. ფრანგი მწერალი; 35. ბანქოს ერთგვარი თამაში; 36. ბერძნული „დ“-ს სახელი; 39. ბისტი თვალზე; 41. ტაილანდის ენა; 42. ალ. ყაზბეგი — „...მკვლელი“; 43. ველორიქშა ინდოეთში; 44. ქიმიური ელემენტი, გაზი; 45. იგივეა რაც არშიყი; 47. ტაძარი თბილისში; 48. ერთ-ერთი ძმა კარამაზოვებიდან (დოსტოევსკი); 49. გეომეტრიული ფიგურა; 50. ტელემაქეს გამზრდელი („ოდისეა“); 51. სატანვარჯიშო იარაღი; 53. ნადირობა აფრიკაში; 54. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული; 57. ნათესების მავნებელი მწერი; 58. ცეკვა; 59. სოფელი ქარელის რაიონში; 61. უარის თქმა თამაშის გაგრძელებაზე ბანქოში; 62. ყანწი; 63. მევიოლინე ვანესა....

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ნარდის სათამაშო კუბი | უარყოფითი მუხტის იონი | თიხის ჭურჭელი (ძვ.) | ოკეანისპირა კურორტი აშშ-ში | ფეხსაცმლის მკერავი | ევროპის სახელმწიფო | ზრდადაუსრულებელი ქათამი |
|---|---|---|---|---|---|---|

| მწვანილი | თელით დაფარული ადგილი | NBA-ის კალათბურთელი | ველი, მინდორი | ქალაქი უზბეკეთში | ფრანგი ექსფეხბურთელი | ავტოკატასტროფა |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




WWW.ASAVALI.COM
mail@asavali.com

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2024 წლის 27 მაისი – 2 ივნისი №23 (1541)
გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

